



**ახალი უმაღლესი
სასწავლებელი – ნიუნი
New Higher Education Institute – NEWUNI**

**სტუდენტთა მეთერთმეტე სამეცნიერო
კონფერენციის სტატიების კრებული**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024**

სარედაქციო კოლეგია:

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გარდაფხაძე – სამართლის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის რექტორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

დავით გეფერიძე – სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

ივანე სეხნიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი

ანნა მარუაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

მანანა ნანიტაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

ქეთევან ჯიჯეიშვილი – პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

მანანა ალადაშვილი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

**ქართული ენის რედაქტორი –
ზურაბ სანადირაძე**

© ჟრებული, 2024

გამომცემლობა „**ენიპერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსაძის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

ISBN 978-9941-33-653-9

ნია ჭელიძე
რეპაზ ავთანდილაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები

ხელმძღვანელი:
ქეთევან ირომაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი

**მშობლებსა და შვილებს შორის ალიმენტის დანიშვნის
თავისებურებანი ქართული კანონმდებლობისა და
სასამართლო პრაქტიკის მიხედვით**

ანოტაცია

ალიმენტი (Alimentum) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სარჩოს, რომელიც ვალდებულმა პირმა უნდა გადაუხადოს ალიმენტის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს. ალიმენტი, რომელიც წარმოადგენს ოჯახის წევრებს შორის ზრუნვის მოვალეობათა პროგრამიდან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის ვალდებულებას და, ამდენად, განიხილება ე.წ. კანონისმიერ სამართლებრივ ინსტიტუტად, საკმაოდ აქტუალური და პრობლემური საკითხია, როგორც ქართული, ისე უცხოური ქვეყნების სამართლებრივი რეალობისთვისაც. ალიმენტის სახეობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობელებსა და შვილებს შორის არსებული საალიმენტო ვალდებულება, რომელიც იწყება ბავშვის დაბადებით და, ძირითად შემთხვევაში, წყდება ბავშვის მიერ სრულწლოვანი ასაკის მიღწევით. მშობლის მიერ ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების საკითხი ძირითადად დგება განქორწინებისას, რა დროსაც პირს, რომლისგან მოშორებითაც ცხოვრობს ბავშვი, ფულადი თანხით უწევს პიროვნული ზრუნვის ნაკლებობის კომპენსირება. იმდენად, რამდენადაც ბავშვს გონებრივი თუ ფიზიკური მოუშენებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური ზრუნვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დაცული იყოს მისი ინტერესები. მშობელებსა და შვილებს შორის არსებულ, რო-

გორც რჩენის ვალდებულებებს, ისე მათი უზრუნველყოფის ფორმების სტანდარტებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან ერთად, ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტებიც. მათ შორისაა ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია, რომელიც ყველა მონაწილე სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებად უდგენს, მიიღოს ყველა საჭირო სამართლებრივი ზომა მშობლების მიერ საალიმენტო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე კვლევა ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების დადგენასთან ერთად, მიზნად ისახავს განსაზღვროს თუ რა ღირებულებითი დატვირთვა აქვს საალიმენტო ვალდებულებას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ასევე რა კრიტერიუმების საფუძველზე აკისრებს სასამართლო პირს საალიმენტო ვალდებულებას და როგორ ხდება ალიმენტის თანხის ოდენობის კალკულაცია ისე, რომ ერთი მხრივ, გათვალისწინებული იყოს სარჩოს გადამხდელი პირის მატერიალური მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს ალიმენტის მიმღები პირის (ბავშვის) ინტერესები. კვლევისას გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომლის ფარგლებშიც, ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება განსახილველ საკითხთან მიმართებით, შედარებული იქნება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებთან. საალიმენტო ვალდებულების არსისა და მისი ანაზღაურების ფარგლების სრულად და ყოველმხრივ განსაზღვრად, ისტორიულ მეთოდთან ერთად, ასევე გამოყენებულ იქნება, როგორც – დესკრიფციული, ისე ევოლუციური და შეფასებითი მეთოდები, ხოლო კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ პრაქტიკაში არსებული პრობლემები, რაც ერთგვარი გზაა დაგვანახოს მართლმსაჯულების სისტემის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ალიმენტი, ალიმენტის დანიშვნა, ალიმენტის მიმღები, ალიმენტის მოთხოვნა.

Abstract

Alimentum is a Latin-origin word meaning the sustenance that an obligated person must provide to the person entitled to request it. Alimentum represents a property obligation arising from the duty of care among family members, and as such, it is considered a so-called legal institution. It is a significant and problematic issue in both Georgian and foreign legal realities. Among the types of alimentum, the obligation between parents and children is particularly important. This obligation begins at the child's birth and usually ends when the child reaches adulthood. The issue of requiring a parent to pay alimentum for the benefit of the child typically arises during divorce, when the parent not living with the child must compensate for the lack of personal care with monetary support. Given that a child requires special care due to mental or physical immaturity, it is especially important to protect their interests. Both the internal legislation of the country and international and European legal acts on human rights protection establish the obligations of care between parents and children and the standards for their enforcement. Among these is the UN Convention on the Rights of the Child, which imposes a positive obligation on all participant states to take all necessary legal measures to ensure the fulfillment of parental alimentum obligations.

This research aims to determine the legal basis for imposing alimentum, as well as to define the value-laden significance of alimentum obligations in private legal relationships. It also seeks to identify the criteria on which courts base the imposition of alimentum obligations and the calculation of alimentum amounts, considering both the financial situation of the paying person and the best interests of the receiving person (the child).

The research will use a comparative legal method, comparing Georgian legislative regulation on the issue with that of Continental European law countries. To fully and comprehensively determine the essence of alimentum obligations and the scope of their compensation, descriptive, evolutionary, and evaluative methods will be used alongside the historical method. Analyzing specific court decisions will allow us to examine existing practical problems, thereby providing insights into the trends and perspectives of the justice system's development.

Key words: Alimony, Imposing alimony, Alimony recipient, Alimony request.

მშობლებსა და შვილებს შორის ალიმენტის დანიშვნის თავისებურებანი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

შესავალი

მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა მშობლებისგან შვილების წარმოშობის შედეგად. მშობლებს შვილების მიმართ აქვთ არა მხოლოდ პიროვნული მზრუნველობის გაწევის ვალდებულება, არამედ რჩენის მოვალეობაც. უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რჩენაში მოიაზრება საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და განათლება, ასევე ჯანდაცვა.¹ ვინაიდან, ბავშვს გონებრივი თუ ფიზიკური მოუმწიფებლობის გამო, სჭირდება სპეციალური ზრუნვა, აღნიშნული ვალდებულება მშობლებს წარმოეშობათ ჯერ

¹ იხ. Civil Code of Malta, Chapter 16, Article 19: (1) Maintenance shall include food, clothing, health and habitation. (2) In regard to children and others descendents, it shall also include the expense necessary for health and education. 22nd January, 1874, 15, www.justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid.

კიდევ ბავშვის დაბადებამდე და გრძელდება ბავშვის დაბადების შემდგომაც, ქორწინების არსებობისა და ბავშვის ამ ქორწინებაში დაბადების მიუხედავად. როგორც წესი, მშობლები საალიმენტო ვალდებულებას ასრულებენ ნებაყოფლობით, რაც გამოიხატება მათი მხრიდან შვილებისთვის საარსებო მინიმუმის შექმნით, მათი საკვებით, ტანსაცმლით, განათლებით და სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფით. ოჯახები, სადაც ორივე მშობელი თანაბარ როლს იღებს ბავშვის რჩენასა და აღზრდაში, ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის დანიშვნის საკითხი, როგორც წესი, ნაკლებად დგას. სასამართლოს მიერ იძულებითი მექანიზმების გამოყენების აუცილებლობა ხშირ შემთხვევაში სწორედ განქორწინებისას დგება, რა დროსაც ბავშვის რჩენის ტვირთი გადადის იმ მხარეზე, ვისთანაც ის ცხოვრობს. სწორედ ამიტომ, საალიმენტო თანხის გადახდის მიზნად მოაზრებულია ბავშვისთვის ცხოვრების იმ დონის შენარჩუნება, რომელიც მას განქორწინებამდე ჰქონდა.² ამ საკითხთან მიმართებაში, ერთ-ერთ კვლევაში მითითებულია: „ბავშვები განქორწინების ან მათი მშობლების დაცილების დროს განსაკუთრებით დაუცველები არიან. რაც მათ ამ სტრესული სიტუაციის დაძლევაში შეიძლება დაეხმაროთ, არის ოჯახური და იმავე სოციალური გარემოს შენარჩუნება.“³ ამდენად, სასამართლო ალიმენტის დაკისრებისას სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს.

გარდა ქვეყნის ნორმატიულ ბაზაზე არსებული საკანონმდებლო დანაწესებისა, მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ვალდებულება გათვალისწინებულია საერთაშორისო აქტებითაც, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს

² ელენე სიჭინავა, მავა ნუცუბიძე, ქეთი ჩუთლაშვილი „საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება განქორწინებისა და მამობის დადგენის საქმეებზე“, 2023, გვ. 40

³ Kovacek-Stanic G., Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, Sro maTa krebulsI: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 637.

კონვენცია⁴, რომელიც ადგენს მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილის რჩენის მოვალეობას და ამასთანავე, კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას მიიღოს ყველა საჭირო ზომა მშობლების მიერ საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად⁵ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონცეფცია, რომელიც ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის მიღებამდე გათვალისწინებული იყო ბავშვის უფლებათა დეკლარაციით,⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით⁷ და სხვა საერთაშორისო აქტებით. სასამართლო როგორც ალიმენტის დაკისრებისას, ისე ალიმენტის ოდენობის კალკულაციისას, გამოდის სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომლის მე-5 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება აქვთ საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ასევე სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

როგორც ვხედავთ, მშობლების მიერ საალიმენტო ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში საკმარისად შესწავლილი არ არის ალიმენტის დაკისრების საკითხი, რაზეც მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ საკითხთან მიმართებაში 2022 წლამდე არ ჩატარებულა არცერთი ემპირიული გამო-

⁴ უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია, 20 ნოემბერი, 1989, 27. IV

⁵ იქვე.

⁶ ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, 1959, 20 ნოემბერი.

⁷ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979, 18 დეკემბერი.

ყენებითი კვლევა, მცირეა სამაგისტრო ნაშრომების და სტატიების რაოდენობაც, რაც, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წინამდებარე ნაშრომს საალიმენტო ვალდებულებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების გასაანალიზებლად და სასამართლო პრაქტიკაში არსებული გამოწვევების დასადგენად.

1. ალიმენტის დაკისრება სასამართლოს მიერ

ალიმენტის დაკისრება თანამედროვე რეალობაში მეტად აქტუალური საკითხია. ამ მნიშვნელოვანი პროცესის გაძღოლას სჭირდება პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. ალიმენტის ვალდებულების დაკისრებას განსაზღვრავს სასამართლო, ყველა იმ ძირითადი უფლებების დაცვით, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის სრულფასოვნად აღზრდის უზრუნველყოფა. სასამართლო წარმოადგენს სუბიექტს, რომელმაც სწორად უნდა მოიძიოს ნორმა, განმარტოს იგი და გონივრულად მიუსადაგოს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, რათა მაქსიმალურად იქნას პრევენცირებული რომელიმე მხარის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა.

სასამართლოს მიერ ალიმენტის დანიშვნა ხდება ორ შემთხვევაში: 1) როდესაც ერთ-ერთი მეუღლე თავს არიდებს შვილის სასარგებლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულებას და/ან არ იღებს ხარჯებს ოჯახური მეურნეობის გაძღოლისათვის და 2) განქორწინებისას წარმოიშობა აუცილებლობა ბავშვის მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ მშობელს დაეკისროს ფულადი თანხის გაღების ვალდებულება.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საალიმენტო სარჩელის წარდგენის უფლება აქვთ: ერთ-ერთ მშობელს, მშვილებელს, ბავშვის მეურვეს ან მზრუნველს, ასევე საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც იზრდება არასრულწლოვანი. პრაქტიკაში არც თუ ისე იშვი-

ათად კანონიერ წარმომადგენლებს არ შეაქვთ სარჩელი ერთ-ერთი მშობლისათვის საალიმენტო ვალდებულების დაკისრების მიზნით, აღნიშნული ძირითად შემთხვევაში განპირობებულია ყოფილ მეუღლესთან ურთიერთობის სრულად გაწყვეტის სურვილით.⁸ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მშობელი ნებაყოფლობით არ ასრულებს შვილის რჩენის ვალდებულებას და ამასთან, არც სასამართლოშია შეტანილი სარჩელი ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებით, მთლიანად იზღუდება არასრულწლოვანი ან/და სრულწლოვანი, მაგრამ შრომიისუნარო შვილის კანონიერი ინტერესები – ის ვერ იღებს კანონით მისთვის მინიჭებულ გარანტიებს და რჩება სარჩოს გარეშე. სწორედ ამ მიზეზით, ვფიქრობთ, რომ სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლება ასევე უნდა ჰქონდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელსაც, მართალია, ასეთი უფლება კანონით პირდაპირ არ აქვს მინიჭებული, თუმცა გამომდინარეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საერთო კომპეტენციიდან.

სასამართლომ ალიმენტის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ალიმენტის გადამხდელი პირი იყოს სრულად გადახდისუნარიანი, შეძლოს დამოუკიდებლად აღნიშნული ვალდებულების შესრულება. ალიმენტის გადახდა შესაძლებელია ორი სახით განხორციელდეს: 1. საალიმენტო შეთანხმების ან 2. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ალიმენტის ოდენობა მხარეებმა უნდა შეათანხმონ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად: „თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო“, ⁹ რა თქმა უნდა, თითოეული მშობლის ან შვილის ოჯახური და მატერიალური მდგომარეობის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ ალიმენტს სასამართლო აკისრებს მხარეს არა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან,

⁸ ჯაფარიძე ქეთევან, „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, თბილისი, 2015, გვ. 155

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი.

არამედ მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. სასამართლო არ ზღუდავს მხარეს, რომ სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითოს როგორც სამომავლო, ასევე წარსული პერიოდისთვის ალიმენტის გადახდა, თუმცა სამ წელს არ უნდა აღემატებოდეს. წარსული პერიოდისთვის იმ შემთხვევაში მოითხოვს მოსარჩელე ალიმენტის დაკისრებას, თუ სასარჩელო მოთხოვნის დაყენებამდე ყველანაირი რესურსი იქნა გამოყენებული სარჩოს მისაღებად, თუმცა ალიმენტის გადამხდელმა პირმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

ალიმენტის დაკისრების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია საალიმენტო ვალდებულებით დადგენილი ოდენობის შეცვლა, თუ რომელიმე მხარე მიმართავს ამის უზრუნველსაყოფად იმ საფუძველით, თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების ოჯახური, მატერიალური მდგომარეობა, გაუმჯობესდა თუ გაუარესდა. საალიმენტო ვალდებულება არ უნდა იქნას გააზრებული იმგვარად, რომ მხოლოდ უფროსს ეკისრება უმცროსის მიმართ, მაგალითად მშობელს არასრულწლოვანი შვილის მიმართ. სასამართლომ ალიმენტი შესაძლოა დააკისროს სრულწლოვან შვილს შრომისუნარო მშობლების მიმართაც.

2. სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა

ლიტერატურაში სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება. ვინაიდან კანონმდებელი ერთმნიშვნელოვნად და მკვეთრად არ განსაზღვრავს დასაკისრებელი თანხის გამოანგარიშების წესს, სასამართლოს უწევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების მიხედვით დააკისროს ალიმენტვალდებულ პირს შვილის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულების გადახდა. აღნიშნული ერთი მხრივ საქმეს ურთულებს სასამართლოს, თუმცა, მეორე მხრივ, ერთი მაშტაბების გამოყენება როგორც მაღალი, ისე საშუალო თუ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახ-

ებისთვის, უსამართლო შედეგამდე გავიყვანდა. ამასთან, დაკისრებული ფულადი თანხის გადასინჯვა, როგორც გაზრდა, ისე მისი შემცირება დაინტერესებულ მხარეს სასამართლოსთვის მიმართვის შედეგად ნებისმიერ დროს შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ დღეს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 1214-ე მუხლით, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სსრკ-ის პერიოდში არსებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესისგან, კერძოდ, ადრე მოქმედი კანონმდებლობით, მხედველობაში მიიღებოდა მშობლის შემოსავლის წილობრივი განაკვეთი, რითაც იზღუდებოდა სასამართლო გაეთვალისწინებინა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური გარემოებები.¹⁰ ალიმენტის განსაზღვრისას, ალიმენტის მიმღები პირის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, სასამართლო პირველ რიგში მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელი პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას, ასევე ბავშვის ასაკს, სქესს და სხვა გარემოებებს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური ხასიათისაა. სასამართლო მხარეთა მატერიალური მდგომარეობის დადგენისას მხედველობაში იღებს ძირითად ხელფასს, ხელფასის ყველა სახის დანამატს, პენსიას ჰონორარებს, სტიპენდიებს და სხვ. დაკისრებული საალიმენტო თანხა პირველ რიგში უნდა ფარავდეს ისეთ საბაზო ცხოვრებისეულ მოთხოვნებს, როგორიცაა საკვები, ბინა, ტანსაცმელი, განათლება, ჯანდაცვა და სხვ. მშობელი ასევე ვალდებულია დაფაროს შვილის აღზრდისა და განათლების ხარჯები, მისცეს მას პროფესიული განათლება. ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენციის 31-ე მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია ბავშვის უფლება ჰქონდეს დასვენებისა და თავისუფალი დროის, თამაშის, კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში თავისუფლად მონაწი-

¹⁰ ჯაფარიძე ქეთევან მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები ქ. თბილისი, 2011 წ. გვ. 100

ლეობის შესაძლებლობა.¹¹ ამდენად, მშობლისთვის დაკისრებული თახხა უნდა ფარავდეს აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯებსაც.

3. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე¹² აღნიშნა, რომ **მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.**

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ალიმენტის არგადამხდელები ძირითადად არიან მამები, რომლებიც საალიმენტო ვალდებულების გადახდის მოვალეობისგან თავის არიდებას ცდილობენ სხვადასხვა საშუალებებით: საქმდებიან არალეგალურად და ამდენად, იფარება შემოსავლის წყარო – მათ ხელფასი „ხელზე“ მიეცემათ. არცთუ-ისე იშვიათად, ალიმენტვალდებული პირები თავიანთ მფლობელობას გადასცემენ თავიანთ ახლობლებს, მშობლებსა და ძმებს, რათა ამ ქონებიდან ბავშვმა ვერ შეძლოს კომპენსაციის მიღება. ასევე, ალიმენტის მოვალემ შეიძლება შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, გაემგზავროს საზღვარგარეთ, რაც კიდევ უფრო ართულებს სასამართლო წესით დანიშნული ალიმენტის აღსრულების საკითხს.

ასევე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებული მხარის ინიციატივით შეიძლება გადაისინჯოს ალიმენტის ოდენობა, კალკულირებული თანხა შემცირდეს ან გაიზარ-

¹¹ x. Kovacek-Stanic G., Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home, SromaTa krebulSi: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 639.

¹² იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1339-2018.

დოს სასამართლოს მიერ, რაც შეიძლება განპირობებული იყოს მხარის ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესებით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე¹³ მშობელი გაათავისუფლა რჩენის მოვალეობისგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო და განმარტა, რომ 1237-ე მუხლის თანახმად სასამართლო იყო უფლებამოსილი გაეთავისუფლებინა ალიმენტის გადახდისგან ვალდებული პირი, თუ არსებობდა ამის საპატიო მიზეზი. საპატიო მიზეზად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მატერიალური და ოჯახური პირობების გაუარესება, ავადმყოფობა და ა.შ. სხვა საქმეზე¹⁴ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ალიმენტის შემცირების საფუძველი შეიძლება გახდეს ინფლანცია, ეკონომიკური ვარდნა, ბავშვის ასაკის მატება და სხვა გარემოება.

4. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი

საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში ბავშვის ინტერესი უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს. მშობელთა განქორწინების შემდეგ დაცული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს ბავშვის მატერიალური მდგომარეობის უცვლელობაში ან გაუმჯობესებაში, დაუშვებელია განქორწინების შემდეგ შეილახოს არასრულწლოვნის უფლებები, მას არ უნდა დაერღვეს ის დღის წესრიგი, რომელიც მშობელთა ქორწინების პერიოდში ჰქონდა. ამ საკითხს ერთხმად ადასტურებს საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა. მაგალითად, თუ არასრულწლოვანი შვილი უცხოეთის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში იღებს განათლებას, ამ პოზიციის დათმობა დაუშვებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის მომენტში დამატებითი ხარჯების სახით უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რაც დამოკიდებულია იმ-

¹³იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას – 711 1041-07.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1339-2018.

აბე, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნაში მითითება აღნიშნულ საკითხზე. სერბეთის საოჯახო სამართლის დარგში შემუშავდა ახალი ნორმა, რომელიც ეხმიანება ბავშვისთვის ალიმენტის იმ მოცულობით გადახდას, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მისი ყოველდღიური საჭიროებები, ალიმენტის გადამხდელი მშობელის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით (საოჯახო სამართალი, 162-ე მუხლის მე-3 ნაწილი).¹⁵ ჩეხეთში, 2008 წელს, შემუშავებული კანონპროექტიც ადასტურებს იმას, რომ ბავშვს უფლება აქვს, განარგძოს ცხოვრება ისეთივე რეჟიმით, როგორც მშობელთა დაცილებამდე ცხოვრობდა. დედას კი ენიჭება უფლებამოსილება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად დააყენოს მოთხოვნა ზემოთხეხებული უფლების უზრუნველსაყოფად.¹⁶ ეს ნორმა პრევენციულ ხასიათს ატარებს, რამეთუ მშობლის მხრიდან თავისი შემოსავლის არაგონივრულად მოხმარება არასრულწლოვნისთვის თავიდან იქნეს აცილებული, საალიმენტო ვალდებულებებიდან გამომდინარე. გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ალიმენტის გადამხდელი პირის შემოსავლის დადგენა, შესაბამისად მან, შესაძლოა, ბოროტად გამოიყენოს მის სასიკეთოდ არსებული გარემოება და იმაზე ნაკლები ოდენობით იხადოს ალიმენტი, ვიდრე ეს მისი შვილის ცხოვრების უზრუნველყოფას სჭირდება. მჯერა, აღნიშნული ნორმა საკმაოდ ქმედით და ეფექტურ ასახვას ჰპოვებდა ქართულ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში შემოსავლის გამჭვირვალობა ჯერ კიდევ არ დგას დღის წესრიგში. ამდენად, ამ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული ლაფსუსების აღმოსაფ-

¹⁵ Kovacek-Stanic G., *Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home*, შრომათა კრებულში: *Family Finances*, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 639.

¹⁶ Verschraegen B., (Universities of Vienna, Austria, and Bratislava (Uninova), Slovakia), *Fiddler on the Roof: On the Ambiguity of Family Finances*, შრომათა კრებულში: *Family Finances*, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 796.

ხვრელად, რომელიც საალიმენტო ვალდებულების დაკისრებისას იჩენს თავს, აღნიშნული ნორმა ნოვაცია იქნებოდა ქართული საოჯახო სამართლისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით უტყუარად დასტურდება, რომ „ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნასა და თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში“.¹⁷

საერთაშორისო საკანონმდებლო სივრცეში საკმაოდ აქტუალურია მოსამართლის მიერ ფორმულების, ცხრილების და ამგვარი მეთოდოლოგიური საშუალების გამოყენება, რათა ბავშვის ასაკისა და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით გამოთვალოს ალიმენტის ოდენობა, რა თქმა უნდა, ალიმენტის გადამხდელი პირის შემოსავლის გათვალისწინებით. ეს პროცედურა კონკრეტული, ზუსტი ცხრილების მეშვეობით ხორციელდება, რაც, თავისთავად ეწინააღმდეგება მოსამართლის თვითნებობასა და არასანდოობას, რომ არ მიიღოს უსაფუძვლო გადაწყვეტილება. ინგლისში მოქმედებს ბავშვის ალიმენტის შესახებ კანონი (Child Support Act 1991), რომელშიც შემუშავებულია ალგებრული ფორმულები და გულისხმობს, რომ, როდესაც ალიმენტის გადამხდელი პირი საშემოსავლო ან სხვა ტიპის გადასახადს გადაიხდის, დარჩენილი შემოსავლიდან თანხის 50 პროცენტი უნდა ემსახურებოდეს საალიმენტო ვალდებულების შესრულებას.¹⁸

გერმანიაში არსებული ბავშვის ალიმენტის შესახებ კანონის (Kinderdesunterhaltsgesetz) თანახმად, ალიმენტის გადახდევინება შეიძლება განხორციელდეს, როგორც კონკრეტული თანხის ოდენობით (Individualunterhalt), ასევე სტანდარტულად, პროცენტის სახით

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე #ას-204-191-2014, 20/10/14, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, [26.04.2015].

¹⁸ Stark B., International Family Law, an Introduction, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, 211.

(Regelbetragz). კონკრეტული თანხის გამოთვლა სასამართლო პრაქტიკით დადგენილი ცხრილების მეშვეობით ხორციელდება (ყველაზე აქტუალური — Dusseldorfer Tabelle). სტანდარტული თანხების გადახდას კონკრეტული დოკუმენტი განსაზღვრავს (Regelbetrag-Verordnung), რომელიც ახალ კანონს თან ერთვის და ექვემდებარება აღმასრულებელი სუბიექტის მიერ შესწორებას. შეფასების საგანია სტანდარტული თანხების ოდენობა, რომელიც ემსახურება ე.წ. დინამიკური ალიმენტის უზრუნველყოფას (Unterhaltstitel in dynamisierter Form). დინამიკა თავისთავად გულისხმობს მუდმივ ლავირებას. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტული თანხები შეიცვლება ან თავად ალიმენტის გადამხდელი პირი ახალ ასაკობრივ კატეგორიაში გადავა, შესაბამისად, ავტომატურად დაკორექტირდება ალიმენტის მოვალის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა. ასეთივე ცხრილების მექანიზმს იყენებს ამერიკის შეერთებული შტატები (Child Support Enforcement Programme under Title IV-D of the Social Security Act); კანადაში სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმულა¹⁹ მოქმედებს, რომელიც ბოლო პერიოდში შეიცვალა ფედერალური ხელმძღვანელობის მითითებების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ბავშვისთვის განკუთვნილ ყოველთვიურ საალიმენტო დახმარებებს, ბუნებრივია, ალიმენტის გადამხდელის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. საალიმენტო დახმარებაში მოაზრებული თანხის პროცენტი იზრდება ბავშვთა რაოდენობის მიხედვით და ცვალებადია შემოსავლის დონეების მიხედვით. კანადაში, 1997 წელს, შემუშავდა ამ ქვეყნის რეალობაზე მაქსიმალურად მორგებული ფორმულათა სისტემა. განიხილავდნენ ოთხ ალტერნატიულ მოდელს, რომელიც ამერიკის შეერთე-

¹⁹ ამ ფორმულის შესახებ მითითებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებაში: Paras v. Paras, [1971] 1 O.R. 130 (C.A.), 134, kontino kontinos winaaRmdeg, Leonelli-Contino v. Contino, McLachhlin C. J., Major J., Bastarache J., Supreme Court of Canada 2006, Part 7 Case 4, <[http://www.ipsofactoj.com/international/2006/Part07/int2006\(07\)-004.htm](http://www.ipsofactoj.com/international/2006/Part07/int2006(07)-004.htm)> [29.10.13].

ბულ შტატებშიც გამოიყენებოდა: შემოსავლისა და განაწილების მოდელი, რომლის მიხედვითაც ბავშვმა მშობელთა შემოსავლის პროპორციულად უნდა მიიღოს საალიმენტო დახმარება, რომელსაც მათ განქორწინებამდე იღებდა; „დელავერის“ ან „მელსონის“ მოდელი (Delaware or Melson Model), რომლის დროსაც ძირითადი მოთხოვნა უნდა შესრულდეს იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, ბავშვი როგორ განაწილებს მშობლის შემოსავლის დარჩენილ ნაწილს; შემოსავლის პროცენტის მოდელი, რომლითაც, პოტენციურად, სახეზე იქნება ორივე მშობლის მხრიდან თავისი შემოსავლის იმავე პროცენტის დახარჯვა ბავშვზე, ხოლო არამეურვე მშობლის შემთხვევაში წილი განისაზღვრება კონკრეტული რეგულაციით; ბოლოს, შემოსავლის გათანაბრების მოდელი, რომლის ამოცანაა, მეურვე და არამეურვე მშობლების ცხოვრებისეული დონის ისე გათანაბრება, რომ არასრულწლოვნის ცხოვრების დონე, ფაქტობრივად, არ შეიცვალოს და არ გაუარესდეს მშობლების გაცილების შემდეგ.²⁰ შვედეთში აღნიშნული საკითხი სპეციფიკურად რეგულირდება, რაც გამოიხატება მშობლის წლიური შემოსავლის საბაზისო დახმარების პროცენტის მაჩვენებლის მიხედვით ალიმენტის გადახდაში. საალიმენტო ვალდებულების ობიექტების, ანუ ბავშვთა რაოდენობა გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავე დროს, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როგორია ალიმენტის გადამხდელის რეალური ქონებრივი მდგომარეობა. სსკ-ის 1214-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენ-

²⁰ Federal/Provincial/Territorial Family Law Committee, Child Support: Public Discussion Paper, Report, «The Committee», Ottawa, 1991, 10, 11.

ტის ოდენობის განსაზღვრის ძირითად პირობებს, კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ამ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა, ის არაა დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. ამასთან, სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. თუმცა, ნიშანდობლივია გადაწყვეტილების აღსრულების რეალურობაც, კერძოდ, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისასა მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ ბავშვის საჭიროებები, არამედ ის გარემოება, შესწევს თუ არა უნარი ანუ, გადახდისუნარიანია თუ არა მშობელი (ალიმენტვალდებული) დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდაზე. ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატამ განმარტა: „ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კონტექსტში საკასაციო პალატა მიუბრუნდება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების კვლევის საკითხს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვთა ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მათი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა. ამ შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს როგორც ბავშვის ასაკს, ასევე, მის ყოველთვიურ მატერიალურ საჭიროებას. ამდენად, იმის გათვალისწინე-

ბით, რომ არასრულწლოვანი 2 წლისაა, აგრეთვე, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ორივე მშობელი შრომისუნარიანია და ორივე მათგანს თანაბრად ეკისრებათ შვილზე ზრუნვის ვალდებულება სსკ-ის 1197-ე და 1212-ე მუხლებით განსაზღვრულ მშობელთა თანაბრობის პრინციპის (შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები) საფუძველზე, აგრეთვე, ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, ყოველთვიურად ალიმენტის სახით 300 ლარი, წარმოადგენს თანხის იმ გონივრულ ოდენობას, რომელიც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უნდა შეფასდეს, როგორც გონივრული და აღსრულებადი.“²¹

5. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საალიმენტო ვალდებულება წარმოადგენს კანონისმიერ სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის წარმოშობაც უშუალოდ ემყარება სისხლით ნათესაობას. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ქორწინება უკვე განიხილება, როგორც „შეწყვეტას დაქვემდებარებული კონტრაქტი და არა გრძელვადიანი ვალდებულება“, განქორწინებულთა რაოდენობაც დღითიდღე იზრდება, მშობლებსა და შვილებს შორის არსებული საალიმენტო ვალდებულების ინსტიტუტი კი სულ უფრო აქტუალური ხდება. კვლევების გამოიკვეთა, რომ სასამართლო ალიმენტის თანხის ოდენობას განსაზღვრავს თავისი შეხედულებისამებრ, გონივრული შეფასების საფუძველზე, თუმცა, ვფიქრობთ, სასურველია, რომ საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდეს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ახალი და უფრო მოქნილი მექანიზმი – სახელმძღვანელო ფორმულების სახით. აღნიშნული მართლმსაჯულების სისტემას

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-876-2019.

უფრო ეფექტურს გახდიდა და გაწეილი სასამართლო პროცედურების პირობებში მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, არ მოუწევდა ბავშვის რჩენაზე პასუხისმგებლობის სრულიად საკუთარ თავზე აღება, გარდა ამისა, მხარეებისთვის ნაკლებად ბუნდოვანი იქნებოდა საალიმენტო თანხის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები. რამდენადაც გამოვლინდა, პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათად მშობლები საალიმენტო ვალდებულების თავის არიდების მიზნით საქმეებიან არალეგალურად, მალავენ შემოსავლის წყაროს, არსებულ უძრავ თუ მოძრავ ქონებას აფორმებენ სხვა პირებზე, ამ პირობებში კი მნიშვნელოვნად იზღუდება არასრულწლოვანი ბავშვის კანონიერი ინტერესები. სასურველია, გამკაცრდეს საალიმენტო ვალდებულების გადაუხდელობასთან დაკავშირებით არსებული აღსრულების მექანიზმები და სასამართლომ დაავალდებულოს ალიმენტვალდებული, შრომისუნარიანი პირი მოიძიოს სამსახური და ჰქონდეს შემოსავლის წყარო, ვინაიდან ასეთ დროს რთულია მეორე მხარემ ამტკიცოს, რომ მოვალე (ალიმენტვალდებული) რეალურად ფლობს საკუთრებას და აქვს შემოსავლის წყარო. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდირებული იქნება თუ შესაბამის სამსახურებს ექნებათ მეტი წვდომა ინფორმაციულ ბაზებზე, რათა ალიმენტვალდებული პირის მიერ მარტივი არ გახდეს შემოსავლის არქონის საბაბით ამ ვალდებულების თავიდან აცილება. ასევე, შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს, რომ კერძო კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ ალიმენტის მოვალეს დაფაროს თავისი შემოსავალი, დაეკისროთ სანქცია ჯარიმის სახით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ასეთი შემთხვევების რიცხვს.

**ანანო ბახარია
ქეთევან გიორგაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები

**ხელმძღვანელი:
გიორგი ჟორჟოლიანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ონლაინ ბაზრები და პროდუქტის
პასუხისმგებლობის რისკები**

ანოტაცია

ვიდრე უშუალოდ კვლევის მიზნებზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, აუცილებელია, განიმარტოს ონლაინ პლატფორმების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე ცხოვრებაში. ონლაინ პლატფორმები ქმნიან ბაზარს პროდუქტისთვის, სერვისებისთვის, იდეებისა და შინაარსებისთვის. იგი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ციფრული ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჯგუფს ერთმანეთთან ინტერაქციისთვის. ეს პლატფორმები (როგორებიცაა Amazon, eBay) ინტერნეტ სივრცეში მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფლობენ და აკონტროლებენ ბევრ ასპექტს. შედარებისთვის კი, ინტერნაციონალური პლატფორმები ავითარებენ იმაზე მეტ ძალას, ვიდრე ქარხნის მფლობელები ადრეული ინდუსტრიული რევოლუციისას. ასევე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ როდის გახდა აღნიშნული პლატფორმები მეტად აქტუალური, აღსანიშნავია Covid-19 პანდემიის შესა-

ბამისად წარმოშობილი გამოწვევები, რომლებმაც ამ ბაზრების საჭიროება გაამძაფრა. ონლაინ პლატფორმების აქტუალობასთან ერთად, დადგა საკითხი იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოწესრიგებულიყო თანამდევ სამართლებრივი ურთიერთობები და როგორ უნდა გამკლავებოდნენ ახალ გამოწვევებს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო უწყებებისა თუ სხვადასხვა მომხმარებელთა ორგანიზაციების სერიოზულ შემოთქმებას იწვევს ონლაინ პროდუქციის უსაფრთხოების საკითხი. აუცილებელია ის, რომ საბაზრო სივრცე იყოს პროცედურულად სამართლიანი, ღია, სტაბილური და რაც მთავარია, უსაფრთხო. აგრეთვე გვსურს განვსაზღვროთ პასუხისმგებლობის საკითხი წუნდებულ პროდუქტთან მიმართებით და აღვნიშნოთ, რომ წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი მოთხოვნები მრავალწახნაგოვანია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებსა და სახელმწიფოებში გათვალისწინებულ სამართლებრივი მოწესრიგების გზებზე. საკითხის განხილვის პარალელურად წარმოჩენილი იქნება სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, რათა თეორიული კვლევის გარდა პრაქტიკული მაგალითებით შეივსოს და განმტკიცდეს ონლაინ ბაზრების მნიშვნელობა დღევანდელ რეალობაში. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, დღემდე არ არის მისი ფარგლები მოწესრიგებული, სწორედ ამიტომ, კვლევის ფარგლებში გამოთქმული იქნება რეკომენდაციებიც ამ საკითხის რეგულირების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ პლატფორმები, ზიანი, პასუხისმგებლობის რისკები, გამოწვევები.

Abstract

First of all, before focusing directly on the research objectives, it is necessary to explain the importance and role of online platforms in modern life. Online platforms create a marketplace for products, services, ideas, and content. It can be defined as a digital infrastructure that brings together different

groups to interact with each other. These platforms (such as Amazon, and eBay) have significant power in the Internet space and control many aspects. By comparison, international platforms are developing more power than factory owners in the early industrial revolution. We also want to draw attention to when the mentioned

platforms became more relevant, it is worth noting the challenges arising from the Covid-19 pandemic, which intensified the need for these markets. Along with the relevance of online platforms, there was a question about how to regulate the accompanying legal relations and how to deal with new challenges. That is why the issue of the security of online products is a serious concern of government agencies and various consumer organizations. The market space must be procedurally fair, open, stable, and most importantly, safe. We would also like to define the issue of liability about the defective product and note that the claims arising from the defective product are multifaceted and depend on individual cases and the ways of legal regulation provided in the states. In parallel with the discussion of the issue, a review of judicial practice will be presented, to fill it with practical examples in addition to theoretical research and strengthen the importance of online markets in today's reality. Due to the specificity of the issue, its scope has not yet been regulated, which is why the research will also make recommendations to ensure its regulation.

Keywords: Online Platforms, Harm, Liability Risks, Challenges.

ონლაინ ბაზრები და პროდუქტის პასუხისმგებლობის რისკები

შესავალი

ონლაინ პლატფორმები და მათთან დაკავშირებული ურთიერთობები თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ყურადსაღებ გამოწვევად იქცა. ციფრული პლატფორმების მნიშვნელოვანი რაიოდენობა ერთად ქმნის დიდ ონლაინ ბაზარს სხვადასხვა სახის საქონლის გაყიდვებისთვის და მომსახურების გაწევისათვის. ამ მიმართულებით არსებულმა გამოწვევებმა გლობალური სახე მიიღო და მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის პრობლემას არ წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს, ხშირად აწარმოოს შესაბამისი მონიტორინგი პროდუქტთან მიმართებით და მეტად დაიცვას მომხმარებელთა უფლებები. მაგალითისთვის, მხოლოდ 2021 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, გაერთიანებულ სამეფოში 10 000-ზე მეტი სახიფათო პროდუქცია იქნა ამოღებული ონლაინ ბაზრებიდან, რაც ნამდვილად ცხადჰყოფს ამ პრობლემის მნიშვნელობას. აქვე, საგულისხმო და განსასაზღვრია თუ რამდენად არიან ონლაინ ბაზრები პასუხისმგებელი წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის. ყურადსაღებია ასევე პასუხისმგებლობის სხვა სახეებიც. ბაზრის შემადგენელი პლატფორმებისათვის მოვალეობა განისაზღვრება იმით, რომ საჭიროა შეიქმნას საბაზრო სივრცე, რომელიც იქნება პროცედურულად სამართლიანი, ღია, სტაბილური და რაც მთავარია, უსაფრთხო. ეს ვალდებულება ყველა საბაზრო სუბიექტთან მიმართებით განისაზღვრება, მაგალითად, როგორებიც არიან: მყიდველები და გამყიდველები, სერვისების მიმწოდებლები და მათი მიმღებლები და ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი სუსტ, დაუცველ სუბიექტებად არიან წარმოდგენილი და შესაბამისად, საჭიროებენ უტყუარ სამართლებრივ გარანტიებს. ბაზრებისათვის განსაზღვრულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს ჩამოაყალიბონ ისეთი საბაზრო სივრცე, რომე-

ლიც მომხმარებლებს შუექმნის უსაფრთხოების განცდას შესაბამისი გარანტიებით. მათ აუცილებლად უნდა უზრუნველყონ პირობათა ისეთი ჩამოყალიბება, რომ არ იყოს მარტივად შესაძლებელი პირთა დისკრიმინაცია. შესაძლოა პლატფორმებს არ ჰქონდეთ იმის უნარი, რომ სრულად აღმოფხვრან დისკრიმინაცია მისი ყველა ფორმით და ეს არც წარმოადგენს მათ სამართლებრივ მოვალეობას, თუმცაღა, მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლებისდაგვარად შეამცირონ დისკრიმინაციის დონე საბაზრო ურთიერთობებისას.

1. ონლაინ პლატფორმების არსი

1.1. ონლაინ პლატფორმების მახასიათებლები

ონლაინ პლატფორმები ქმნიან ბაზარს სხვადასხვა სერვისებითვის და შინაარსებისთვის. ის არის ერთგვარი ციფრული ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჯგუფებს ერთმანეთთან ურთიერთობებისთვის. შეგვიძლია გამოვყოთ ონლაინ პლატფორმის სამი ძირითადი მახასიათებელი: ისინი არიან ერთგვარი მასპინძლები მომხმარებელთათვის და იმყოფებიან განსაკუთრებულ პოზიციაში, ვინაიდან შეუძლიათ, რომ შეაგროვონ, აწარმოონ მონაცემები. ამასთანავე, მათ ახასიათებთ შემდეგი – რაც უფრო მეტი მომხმარებელი ეყოლება საიტს, მით უფრო გაიზრდება მისი ცნობადობა და შესაბამისად, მოიზიდავს ბევრ მომხმარებელს. ამასთანავე მნიშვნელოვანია წესები, რომლებსაც თავად ეს პლატფორმები აყალიბებენ და ეს წესები თავის მხრივ, დაკავშირებულია მომხმარებელთა ურთიერთქმედებასთან, პროდუქტის კონტროლთან და სერვისების მენეჯმენტთან. მიუხედავად ზემოაღნიშნული სამი საერთო მახასიათებლისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქტივობებში ჩართულობის დონის შესაბამისად, ისინი მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

1.2 ოთხფაქტორიანი ტესტი

შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ ოთხ ფაქტორიანი ტესტი²², რომელიც დაეხმარება იურისტებს ბაზრის შემადგენელი პლატფორმის იდენტიფიცირებასა და კონტროლის დონის შეფასებაში, რომელსაც ის ფლობს ბაზარზე მომხმარებელთა აქტივობაზე.

1. პირველი, ბაზრის შემადგენელი პლატფორმები აკონტროლებენ მომხმარებელთა მონაწილეობას მათი მეშვეობით ჩამოყალიბებული მომსახურების პირობების ფარგლებში. მათ შეუძლიათ შეაჩერონ სისტემაში შესვლა და მოახდინონ მომხმარებელთა იძულებით გასვლა. დღევანდელი მონაცემებით პლატფორმები არ არიან ვალდებული მოისმინონ მომხმარებლის პრეტენზია მონაწილეობის დაბლოკვის ან მომხმარებლების სტატუსის შეჩერების შესახებ უშუალო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. მეორე, ბაზრის შემადგენელი პლატფორმები ადგენენ ტრანზაქციების პირობებს, რომლებიც ყალიბდება მომხმარებლებს შორის: მფლობელებსა და გამქირავებლებს, გამყიდველებსა და მყიდველებს, მომსახურების მიმწოდებლებსა და მომსახურების მიმღებებს შორის. ისინი განსაზღვრავენ გარიგების დასრულების მექანიზმს.

3. მესამე ესაა ის, რომ პლატფორმები აყალიბებენ ქცევის სტანდარტს უშუალოდ ბაზრის სივრცის ფარგლებში, ეს წესები შეიძლება ეხებოდეს უშუალოდ გარიგების შემადგენელ პირობებს ან იყოს ინსტრუქციის სახის მქონე, როგორც მაგალითისთვის მითითება, რომ მხარე იყოს მეტად პროფესიონალი იმ ქმედებათა განხორციელებისას, რომელსაც ესა თუ ის ბაზარი სთავაზობს მომხმარებელს, მაგალითად ტრანსპორტირება.

4. მეოთხე – ბაზრის შემადგენელი პლატფორმები უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას ისეთი აქტივობებისა, მაგალითად როგორიცაა ტრანზაქციები. მომხმარებლები დაცულად გრძნობენ თავს, როდესაც

²² Shelly Y Kreiczer - Levy - The duties of online marketplaces . 2021. Pg-15-20

ამაზონიდან ყიდულობენ ნივთებს, ეს კი იმიტომ, რომ ენდობიან მის რეპუტაციას. არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებმა არ იციან რომ ისინი ნივთებს ყიდულობენ მესამე პირებისგან ანუ გამყიდველებისგან და ჰგონიათ, რომ მხოლოდ ამაზონისგან ყიდულობენ ამ ნივთებს.

ეს ოთხი კრიტერიუმი განგვასაზღვრინებს იმას, არის თუ არა პლატფორმა ონლაინ ბაზრის შემადგენელი და არის ერთგვარი ინდიკატორი. თუმცა ამასთან ერთად ის გვეხმარება დავადგინოთ იმის ხარისხი თუ რამდენადაა ამ საბაზრო სივრცეში კონკრეტული პლატფორმა ჩართული. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, რომ განვსაზღვროთ პასუხისმგებლობა მისი ჩართულობის, აქტიურობის და ძალაუფლების პირდაპირპროპორციულად ამ სივრცეში წარმოშობილი ზიანის საკითხებთან მიმართებით.

2. ონლაინ პლატფორმებთან დაკავშირებული გამოწვევები

2.1 ონლაინ პლატფორმებზე გათვლილი კანონმდებლობა

თანამედროვე გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ ამ პრობლემასთან მიმართებით საკითხები წყდება იმ კანონმდებლობით, რომლებიც მორგებულია ძველ ბაზრებზე. რეალურად კი საჭიროა ის, რომ ჩამოყალიბდეს ახალი, ონლაინ პლატფორმებზე გათვლილი კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს საერთაშორისო დებატები აშშ-სა და ევროპაში, რათა იქ მოქმედ კანონში შევიდეს ცვლილებები. კანონი უნდა იყოს დღევანდებლობაზე მორგებული, ნათლად და მკაფიოდ უნდა ეხმიანებოდეს თანამედროვე გამოწვევებს და უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკაში არსებული დავების ალტერნატიული გადაჭრის გზებს. კანონმა უნდა გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი პლატფორმებთან დაკავშირებით, ასევე პირობები, რომლებიც გამორიცხავენ პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანია გადაწყდეს საკითხი, საჭიროა თუ არა ის, რომ პლატფორმების პასუ-

ხისმგებლობა დაექვემდებაროს მკაცრი პასუხისმგებლობის სტანდარტს, რაც უფრო ფართო ფორმით მოიცავს პრობლემატიკას და არა მხოლოდ წუნდებული პროდუქტით გამოწვეულ პასუხისმგებლობის საკითხს გაყიდვებთან მიმართებით. განსასაზღვრია საკითხი ასევე სურათის უვნებლობასთან მიმართებით.

2.2 დისკრიმინაციის საკითხი

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე პრობლემა დისკრიმინაციასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა ეს ონლაინ სივრცეები ქმნიან შეხვედრის ადგილს ადამიანებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მახასიათებლებით და ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდებიან, არსებობს უამრავი განცხადება და გამოხმაურება რასობრივ და გენდერულ დისკრიმინაციასთან მიმართებით. კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებლები, რომელთა სახელები აფრო – ამერიკულია 16%-ით ნაკლებად დაიშვებიან ისეთ საიტებზე როგორიცაა Airbnb-ი, იმათთან შედარებით, რომელთა სახელებიც თეთრკანიანთა ასოციაციას იწვევს.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, პლატფორმებს აქვთ პასუხისმგებლობა მათ სივრცეში განხორციელებულ დისკრიმინაციაზე, ვინაიდან ისინი ფლობენ ძალაუფლებას, რათა გააკონტროლონ მისი საზღვრები. პლატფორმებმა შეიძლება ვერ უზრუნველყონ ის, რომ სრულიად აღმოიფხვრას დისკრიმინაცია, თუმცა შეუძლიათ რომ გაატარონ ის ღონისძიებები, რაც გაართულებს დისკრიმინაციის განხორციელებას რომელიმე მხარის მხრიდან. თუმცა, ონლაინ სამყარო გვთავაზობს ახალ ტექნიკას დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ონლაინ პლატფორმებს შეუძლიათ და უნდა შეიმუშაონ ისეთი ფუნქციები, რომლებიც აფერხებენ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს. მაგალითად, Airbnb-მა გამოაცხადა, რომ განცხადების დისკრიმინაციულმა ენამ შეიძლება გამოიწვიოს მონაწილეობის შეჩერება, თუ მომხმარებელს არ აქვს სურვილი რედაქტირებისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი

მნიშვნელოვანია, ეს არ არის საკმარისი. დისკრიმინაცია იშვიათად არის ღიად გამოვლენილი. მიმოხილვები მრავალი ონლაინ პლატფორმის გადამწყვეტი მახასიათებელია და კვლევებმა დაადგინა, რომ ისინი ასახავენ გენდერულ და რასობრივ ნაწილში გამოვლენილ პრაქტიკებს.

2.3 სექსუალური შევიწროება

კიდევ ერთი დილემა, რომლის წინაშეც დგას სამართლებრივი სფერო არის სექსუალური შევიწროვება, არსებობს ფაქტები ქალი მძღოლების შევიწროვების შესახებ. საინტერესოა, ისეთი პლატფორმა როგორიცაა Uber-ი, არის თუ არა ასეთ დროს პასუხისმგებელი მისი მძღოლებსა და მგზავრების უსაფრთხოებაზე, არის თუ არა ის ვალდებული, რომ შექმნას უსაფრთხო სივრცე? ასევე მნიშვნელოვანია, არიან თუ არა პლატფორმები პასუხისმგებლები უსამართლო ვაჭრობასა და სარგებლიანობის მიღებაზე საჭიროების მატებასთან ერთად? მაგალითისთვის Amazon-მა და Ebay -მ კოვიდ 19-ის დროს გაზარდა ფასები სადებიზფექციო საშუალებებზე, ხელსახოცებსა და სახის ნიღბებზე. ამჟამინდელ სამართლებრივ რეჟიმს ჯერ კიდევ არ აქვს აღიარებული პლატფორმების როლი ბაზრის შექმნასა და მისი ნორმების ჩამოყალიბებაში. ეს პრობლემები და მრავალი სხვა ქმნის სამართლებრივი სფეროს საჭიროებას, რომლის პრინციპებში დეტალურად იქნება აღწერილი მოვალეობები და ბაზრის შემადგენელი პლატფორმების ვალდებულებები. ქალები დაუცველები არიან შევიწროების ნაწილში და ისინი აცხადებენ, რომ მომხმარებლები უგზავნიან მათ პორნოგრაფიულ ტექსტებსა და სურათებს. ისინი ასევე ფიზიკურად დაუცველები არიან, როდესაც სერვისი მოითხოვს სერვისის მიმღებებთან უშუალო ურთიერთობას. რადგან პლატფორმები ქმნიან ბაზარს და აკონტროლებენ მის აქტივობებს, ფლობენ უნიკალურ ძალაუფლებას ბაზრის მონაწილეებზე. პლატფორმებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, დარწმუნდნენ, რომ ეს ბაზარი უსაფრთხოა. კრიტიკოსები შეიძლება ამტკიცებდნენ,

რომ მოვალეობების დაკისრება დისკრიმინაციის შესამცირებლად და მომხმარებლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა ონლაინ პლატფორმებს აქცევს დამსაქმებლებად. რაც უფრო მეტად ევალება პლატფორმას დაიცვას თავის მომხმარებლები, მით მეტად ურთიერთობა დამსაქმებლისა და მისი თანამშრომლების ურთიერთობას წააგავს. მართლაც, ორივე დამსაქმებლები და პლატფორმები, რომლებიც ქმნიან ბაზარს, მართავენ სივრცეს, სადაც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან, პასუხისმგებლები არიან ამ ადამიანების კეთილდღეობაზე. თუმცა, მათი მოვალეობები განსხვავებულია. დამსაქმებლები უფრო მეტად არიან ჩართულნი თავიანთი თანამშრომლების ცხოვრებასა და მუშაობაში, შესაბამისად, უფრო მეტად არიან პასუხისმგებელი მათ კეთილდღეობაზე.

2.4 სამართლიანი შესვლისა და გასვლის წესები

ამჟამად აქტიურობა ბაზარზე დამოკიდებულია პლატფორმის შეხედულებაზე. პლატფორმებმა შეიძლება შეაჩერონ ან აკრძალონ მომხმარებლები, რომლებიც არ შეესაბამებიან მათ პოლიტიკას. ამ შემთხვევაში, მომხმარებელი რისკავს დაკარგოს წვდომა ბაზარზე, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლის წყაროს ან სასარგებლო მომსახურებას. აკრძალვის ეს მექანიზმი კარგია იმ მომხმარებლებთან მიმართებით, რომელთაც შეუძლიათ, რომ განახორციელონ დისკრიმინაცია, გაზარდონ ფასები ან განახორციელონ სხვა მომხმარებელთა დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევებშიც კი, გადაწყვეტილებები, რომლებიც იწვევს შესვლის აკრძალვას და იძულებით გასვლის წესებს, უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ პროცედურულ წესებს. სანამ პლატფორმა გადაწყვეტს მომხმარებლის მონაწილეობის აკრძალვას ბაზარზე, მან უნდა ჩაატაროს სამართლიანი პროცესი, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს მოუსმინონ, მოსმენის უფლება აძლევს მომხმარებელს აზრის გამოხატვის საშუალებას და ეხმარება პლატფორმას განსაზღვრაში, რომ დააბუქოს საქმის ფაქტები.

უფრო მეტიც, მოსმენის უფლების უარყოფა პრობლემატური სამართლებრივად, უფლებრივ ჭრილში. წინასწარ შეტყობინებას გონივრულად სტაბილური ბაზრის შექმნის მოვალეობა მოითხოვს, რათა მომხმარებლები იცენ წინასწარ გაფრთხილებულები მანამ, სანამ პლატფორმა გადაწყვეტს აქტივობის დახურვას გარკვეულ ტერიტორიაზე. პლატფორმებს აქვთ ვალდებულება, რომ ადრე გააფრთხილონ გარკვეულ ტერიტორიაზე საქმიანობის შეწყვეტასთან მიმართებით მხარეები. ეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი კონცეფციაა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. მაგალითად ბევრ ქვეყანაში, სამსახურიდან გათავისუფლებისას საჭიროა შეტყობინება დასაქმებულის. შრომის კანონმდებლობაში შეტყობინების მკაფიო მიზანია, დაეხმაროს თანამშრომლებს სხვა სამუშაოზე გადასვლაში. მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმები სულაც არ არის დამსაქმებლები, იგივე არგუმენტები მოქმედებს. წინასწარი შეტყობინების ვალდებულება ითვალისწინებს უსაფრთხოების ბაძეს, რომელიც იცავს ბაზრის მონაწილეებს უცარი ცვლილებისგან. შეტყობინება უნდა ეხებოდეს ყველა მონაწილეს, არა მხოლოდ მუშებს, არამედ, მფლობელებს, გამქირავებელებს და მყიდველებს. მნიშვნელოვანია, რომ პლატფორმა არ არის ვალდებული გააგრძელოს ფუნქციონირება, როცა ეს არ არის მომგებიანი. ამის ნაცვლად, მან უნდა გააფრთხილოს რამდენიმე კვირით ადრე – გონივრულ ვადაში მხარეები, რათა მომხმარებლებს შეეძლოთ ის, რომ მოძებნონ ალტერნატივა.

3. ზიანის ანაზღაურების საკითხი

3.1 ზოგადი პასუხისმგებლობა

განვიხილოთ პასუხისმგებლობა წუნდებულ პროდუქტთან მიმართებით. პროდუქტის პასუხისმგებლობის წესები ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სათავეს იღებს როგორც სახელმწიფოებო, ისე დელიქტური სამართლიდან. შეერთებულ შტატებში ონლა-

ინ ბაზარს ექვემდებარება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც გამოწვეულია წუნდებული პროდუქტის გამო პირადი ქონებრივი ზიანის სახით. არსებითია განისაზღვროს ის, რომ თუკი რომელიმე ევროპული სახელმწიფო შექმნის პლატფორმას, ეს პირდაპირ არ მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ ამ კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობას ექნება წვდომა მასზე. ონლაინ პლატფორმებმა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სახე მიიღო, ამიტომ ჩვეულებრივად შეიძლება მომხმარებელმა რომელიმე ევროპული ქვეყნიდან, პროდუქტი გამოიწეროს ამერიკული საიტის მეშვეობით. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები კი მოთხოვნათა ჯაჭვს ზრდის და ართულებს. აქვე, შეგვიძლია განვიხილოთ Amazon-ი, რომელსაც მომხმარებელი მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ჰყავს. ერთ-ერთი უახლესი სამართლებრივი დებატები შესაძლო პასუხისმგებლობასთან მიმართებით, სწორედ რომ Amazon-ს უკავშირდება, იმ ნაკლოვანი პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებენ გამყიდველები ამ პლატფორმის მეშვეობით. Amazon-ი შესაძლოა იყოს ზიანისათვის პასუხისმგებელი, თუკი სასამართლო მას მიიჩნევს გამყიდველად, მაგრამ ძირითად შემთხვევაში Amazon-ი ვერ ერგება გამყიდველის კატეგორიას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახორციელებს კონტროლს გამყიდველის ასპექტზე, იგი უშუალოდ არ აწარმოებს პროდუქტს და გვთავაზობს მხოლოდ ინტერნეტ სივრცეს, რომელიც აკავშირებს გამყიდველსა და მყიდველს და, შესაბამისად, წარმოდგენილია შუამავლის როლში. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წუნდებულ პროდუქტთან მიმართებით წარმოშობილი მოთხოვნები მრავალწახნაგოვანია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებსა და სახელმწიფოებში გათვალისწინებულ სამართლებრივი მოწესრიგების გზებზე. ბაზრის შემადგენელი პლატფორმების მოვალეობაა ბაზრის შექმნა, რომელიც არის პროცედურულად სამართლიანი, ღია, სტაბილური და უსაფრთხო. პლატფორმებს აქვთ ეს მოვალეობები ბაზრის ყველა მონაწილე, მფლობელი და გამქირავებელი, მყიდველი და გამყიდველი და

სერვისის მიმღები პირების მიმართ. პლატფორმას აქვს ფართო დისკრეტია, რათა დაარეგულიროს შესაძლო კონფლიქტები მისი სივრცის ფარგლებში. მოვალეობები ბაზრის შემადგენელი პლატფორმების წარმოიშობა ყველა შესაძლო მომხმარებლის წინაშე, რადგან ყველა მომხმარებელი იზიარებს დაუცველობას ბაზარზე. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაზრის შემადგენელი პლატფორმები არ არის იდენტური და, შესაბამისად, მოვალეობები არ შეიძლება დაკისრებულ იქნას ერთნაირად.

3.2 Angela Bolger -ი Amazon-ის წინააღმდეგ

განვიხილოთ ერთ-ერთი საინტერესო საქმე²³ ამერიკის სასამართლო პრაქტიკიდან: 2016 წელს Angela Bolger-მა შეიძინა დამტენი თავისი ლეპტოპისთვის. მან არჩევანი შეაჩერა ამაზონის ვებ-გვერდზე. ერთ-ერთი მაღაზიიდან – Lenoge Marketplace LTD- დან, რომელიც განთავსებული იყო ამაზონის საიტზე, გამოიწერა დამტენი. ამაზონმა პროდუქტი გაგზავნა კალიფორნიის საწყობში, სადაც ინახებოდა, მანამ სანამ Bolger-თან გაიგზავნებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ, დამტენი აფეთქდა, რის შედეგადაც, ბოლჯერმა მძიმე დაშავებები მიიღო და ორ კვირიანი მკურნალობა დასჭირდა. Bolger-მა უჩივლა ამაზონსა და Lenoge-ს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო Lenoge-ს წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. ამაზონმა არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთა თავისი პოზიცია, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამაზონი არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი პროდუქტის პასუხისმგებლობის კანონის შესაბამისად, რადგან ის არ აწარმოებდა, ავრცელებდა ან უშუალოდ არ ყიდდა მოცემულ პროდუქტს. სან დიეგოს სასამართლომ გაიზიარა Amazon-ის არგუმენტი, რაც Bolger-მა გაასაჩივრა. კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ კი ქვედა ინსტაციის გადაწყვეტილება შეცვალა და გამოსცა გადაწყვეტილება,

²³ 2 . Cristoph Busch – Rethinking Product Liability Rules for Online Marketplaces: A Comparative Perspective. February 10- 2021

რომლის მიხედვითაც, Amazon-ი იყო პასუხისმგებელი, როგორც მწარმოებელი და მარკეტინგული საწარმოს განუყოფელი ნაწილი. ისმის მთავარი შეკითხვა – შეიძლება თუ არა ამაზონი იყოს პასუხისმგებელი მესამე მხარის – გამყიდველის მიერ, მის ბაზარზე გაყიდულ პროდუქტზე? სასამართლოს პასუხი ამ შეკითხვაზე ორადაა გაყოფილი.

როდესაც ამაზონი საშუალებას აძლევს მესამე მხარეებს გაყიდონ პროდუქტები მის ვებსაიტზე, შეიძლება, რომ ის ჩაითვალოს „გამყიდველად“, რომელიც ათავსებს პროდუქტებს თუ ის უბრალოდ ხელს უწყობს მესამე მხარეს? თუ პირველი, მაშინ ამაზონი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი პროდუქტის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის შესაბამისად. თუმცა თუ ამაზონი მხოლოდ ხელს უწყობს კომერციის ნაკადს, დაშვებულ მომხმარებლებს არ შეუძლიათ უჩივლონ Amazon – ს პროდუქციის დეფექტიანობის შემთხვევაში. რაც შეეხება ევროპულ სასამართლოს, მას ჯერ არ მიუღია ცალსახა გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება პროდუქტის პასუხისმგებლობა ონლაინ შესყიდვებისას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რითაც ხელმძღვანელობს ევროპული სასამართლო არის „პროდუქტის პასუხისმგებლობის დირექტივა“ — Product Liability Directive (PLD). ამ დირექტივაზე დაყრდნობით პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს.

3. 3 FBA და FBM – ორგვარი გადაწყვეტა Amazon-თან მიმართებით

ამაზონი ირგებს, როგორც საკუთარი პროდუქტის გამყიდველის როლს, ასევე როლს, როგორც შუამავალი, რომელიც აკავშირებს სხვა გამყიდველებს მყიდველებთან. 2020 წელს ამაზონის ტრანზაქციების 2/3 შედგებოდა „მესამე მხარის გაყიდვებისგან“. აღნიშნულ შემთხვევაში ამაზონი სწორედ, რომ შუამავლის როლში იყო. ერთი შეხედვით, შესაძლებელია, ჩაითვალოს, რომ ამაზონი ორივე შემთხვევაში გამოდის „გამყიდველი“, მაგრამ რეალურად ამერიკულ პრაქტიკაში არსე-

ბობს ორი სახე: „fulfilled by merchant” (FBM) და „fulfilled by Amazon” (FBA). განვიხილოთ თითოეული შემთხვევა: როდესაც საქონელი იყიდება როგორც FBM, ეს ნიშნავს, რომ პროდუქტს მყიდველს თავად გამყიდველი მიაწოდებს და ამ შემთხვევაში ამაზონი მხოლოდ შუამავალი გამოდის მყიდველსა და გამყიდველს შორის. როდესაც პროდუქტის რეალიზება ხდება, როგორც FBA, ამ შემთხვევაში, ამაზონია პასუხისმგებელი გაყიდული საქონლის შენახვაზე, პროდუქტის შეფუთვაზე საწყობში და ასევე მყიდველისათვის მიწოდებაზე.

3.4 ფალსიფიცირებული კოსმეტიკური საშუალებების გამო დამდგარი ზიანი

ყალბი კოსმეტიკა აკოპირებს ავთენტური პროდუქტის შეფუთვას მისი ხარისხის დუბლირების მცდელობის გარეშე. შედეგად, ფალსიფიკატორებს შეუძლიათ აწარმოონ თავიანთი კანონდამრღვევით ნაწარმოები პროდუქტი, როგორც ნამდვილი მაკიაჟის პროდუქტის იაფი ალტერნატივა. გამყალბებლები ხშირად ზოგავენ ფულს დაბალი ხარისხის ინგრედიენტების გამოყენებით, რომლებიც მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, ბევრი ყალბი პროდუქტი შეიცავს მაღალი დონის ბაქტერიებს, ცხოველურ ნარჩენებს და არსებობს სამი მიზეზი, რის გამოც მომხმარებელი ყიდულობს ყალბ კოსმეტიკას. პირველ რიგში, მომხმარებელმა იცის, რომ ყალბი არის ყალბი, მაგრამ სურს პრესტიჟის გამო გამოიყენოს ვიზუალურად ორიგინალის მსგავსი პროდუქტი, მეორე, მომხმარებელი თვლის, რომ დადო მომგებიანი გარიგება და მიიღო ნამდვილი პროდუქტი დაბალ ფასად. მესამე, სოციალური მედიის გავლენის ქვეშ მყოფები ყიდულობენ ყალბ პროდუქტებს მათი ანგარიშებისთვის (პირველ რიგში YouTube) კონტენტის შესაქმნელად. ყალბი კოსმეტიკა უფრო მავნეა, ვიდრე ყალბი მოდა იმიტომ, რომ დაბალი ხარისხის სამოსის ტარების შემთხვევაში, შესაძლოა, აღმოვაჩნოთ, რომ ის მალე გამოსაყენებლად უვარგისი ხდება დაბალი ხარისხის გამო, თუმცა ხანმოკ-

ლე გამოყენების შემდეგ, ყალბმა კოსმეტიკამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, იმ მომხმარებლებისათვის, ვინც მათ ყიდულობს და იყენებს, რაც ცხადია, რომ უფრო საშიშია და დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ხშირად ყალბი პროდუქტები მოდის ქვეყნებიდან და ქარხნებიდან, სადაც არის არასაკმარისი (ან არარსებული) უსაფრთხოებისა და ხარისხის გარანტიები. ბევრმა მომხმარებელმა არ იცის ამ ფაქტების შესახებ და მოუმზადებელი თვალისთვის, ყალბი პროდუქტი ხშირად იდენტურია ავთენტური პროდუქტის. შედეგად, მომხმარებლები, რომლებიც ნებით (ან გაუცნობიერებლად) იყენებენ ყალბ კოსმეტიკას რისკავენ და იღებენ არასასურველ შედეგებს, მათ შორის ალერგიულ რეაქციებს, ინფექციებს. ვინ უნდა აგოს პასუხი ყალბი პროდუქტებით მიყენებული ზიანისათვის, რომლებიც იყიდება ონლაინ ბაზრების მეშვეობით? ტრადიციული პასუხებია, რომ პასუხი უნდა აგოს მწარმოებელმა და გამყიდველმა. დასაბუთებისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ მწარმოებელი შეგნებულად ქმნის ყალბ პროდუქტს, ხოლო გამყიდველი შეგნებულად ყიდის ყალბ პროდუქტს. მაგრამ, აქვს თუ არა ონლაინ ბაზრის მფლობელს პასუხისმგებლობა მისი ბაზრის კონტროლზე? ონლაინ ბაზრები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ მომხმარებელთა ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ყალბი კოსმეტიკური საშუალებებით, რომლებიც გაყიდულია მათი მეშვეობით შექმნილ ბაზრებზე. თვით ამამზონმაც კი, ალბათ საუკეთესოდ ცნობილმა ვებსაიტმა, განაცხადა, რომ „ამჟამად მოქმედი კანონი ონლაინ სერვისის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ მოუწესრიგებულია“. ონლაინ ბაზრები შეიძლება ამტკიცებდნენ, რომ მათ არ აქვთ მთელი პროდუქტის კატალოგის კონტროლის უნარი, რომელიც განთავსებულია მესამე მხარის- გამყიდველების მიერ, თუმცა ბაზრის მფლობელები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია ყალბი კოსმეტიკური საშუალებებით.

დასკვნა

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ონლაინ პლატფორმები დღევანდელ რეალობაში აქტიური მონაწილეები არიან საერთაშორისო ბაზრების შესაბამისად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების. აქედან გამომდინარეა ის, რომ დგას საჭიროება კანონმდებლობის დონეზე ურთიერთობათა მოწესრიგებისა, შესაბამისი ზომების მიღების დისკრიმინაციისა, შევიწროებისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვისათვის. ეს ღონისძიებები კი თავის მხრივ, უზრუნველყოფს მომხმარებელთა უსაფრთხოების, ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, პირთა მორალური ზიანისაგან დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიების შექმნას. აღსანიშნავია, რეკომენდაციის სახით 4 ფაქტორიანი ტესტის გამოყენება, პლატფორმების აღმოსაჩენად და შემდეგ უკვე პასუხისმგებლობის განსასაზღვრად მათი ძალაუფლების შესაბამის ფარგლებში. საბოლოოდ, დაკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ ბაზრის შექმნა მოითხოვს პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა არ არის უბრალოდ ეთიკური ან მორალური შინაარსის, ეს არის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საბაზრო სივრცე საჭიროა, რომ ჩამოყალიბებული იყოს შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, დიდმნიშვნელოვანია უსაფრთხო, სამართლიანი, ღია და სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა. არაერთხელ იქნა ასევე ყურადღება გამახვილებული დისკრიმინაციის დონის შემცირების, სისტემაში სამართლიანი შესვლის უზრუნველყოფის მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე შესაბამისი ზიანისთვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლიანი და უსაფრთხო ბაზრის ჩამოყალიბებას.

ბიბლიოგრაფია:

1. Vibe Ulfbeck & Paul Verbruggen –Online Marketplaces and Product Liability: Back to the Where We Started?
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4563634
2. Cristoph Busch – Rethinking Product Liability Rules for Online Marketplaces: A Comparative Perspective.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3784466
3. Samanta J.Levin - Online marketplaces responsibility for harm from counterfeit cosmetics
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3748569.
4. Shelly Y Kreiczer - Levy - The duties of online marketplaces
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3851881

ანანო სვიმონიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი:

გურამ ბარნაბიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში

თანამედროვე რეალობა გვისახავს ისეთ პერსპექტივებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლოა ნებისმიერ დროს ნებისმიერი ფიზიკური პირი, მომხმარებლის როლში აღმოჩნდეს. მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც პირმა არ იცის, თუ რა უფლებებთან და პრივილეგიებთანაა დაკავშირებული ამ როლის მორგება. აღნიშნულში გვარწმუნებს ანაიტა როდდისის სიტყვებიც: „*მომხმარებლები არაეფექტურად არიან ინფორმირებული თავიანთი უზარმაზარი ძალაუფლების შესახებ და იმის შესახებაც, რომ ბიზნესის წარმატება მათ არჩევანზეა დამოკიდებული*“. ამასთანავე, მაშინ, როცა შესაძლოა, ყველა, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებებიც დაირღვეს, საჭიროა, ვიცოდეთ, მეტი იმ სამართლებრივი ბერკეტების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცულობას.

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ის პრობლემური სამართლებრივი საკითხები, რომლებიც მეწარმის მხრიდან ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შემდეგ მომხმარებელთა უფლებათა დაცვის ჭრილში წარმოიშობა და ამასთანავე, სამეწარმეო ურთიერთო-

ბებში დაადასტუროს ინფორმაციის მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტი როლი, რომელიც მომხმარებლის არჩევანზე ახდენს გავლენას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო იურიდიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ასევე „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ნაშრომი შეისწავლის პირის სწორად და სრულფასოვნად ინფორმირების მნიშვნელობას.

კვლევა ეყრდნობა სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკას, რომელთა ანალიზის შედეგად დგინდება აღნიშნული ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პრობლემების სიხშირე და ის ტენდენციები, რომლებიც მეწარმის მხრიდან მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას იჩენს თავს. ძირითად შემთხვევებში, დავას სწორედ მომხმარებლის არასრულფასოვანი ინფორმირებულობა იწვევს.

გემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ გაკეთდება შესაბამისი დასკვნები, მათ შორის, რა გავლენას ახდენს თანამედროვე ბაზრის ფუნქციონირებაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათ წინაშე მეწარმეთა სხვა ვალდებულებების სრულფასოვანი შესრულება.

გერონტი ონიანი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
ბიზნესის ადმინისტრირების
საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

მარინა ლუარსაბიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
აფილირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მოგების გადასახადი საქართველოში და ესტონური მოდელის დეტალები

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად წყაროს გადასახადები, გრანტები და სხვა სახის შემოსავლები წარმოადგენს და ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გადასახადები ქვეყნის მამოძრავებელი მექანიზმია. გადასახადი სავალდებულო ხასიათის უპირობო ფულადი შენატანია ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი და ეს არის მისი იურიდიული ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

საქართველოში 6 ტიპის გადასახადი მოქმედებს. მათი ნაწილის გადამხდელები ფიზიკური პირები არიან, ნაწილისა კი - იურიდიული პირები. ქვეყანაში მოქმედი გადასახადების ტიპები და ტარიფებია: სა-შემოსავლო გადასახადი - 20%; ქონების გადასახადი - 1%; მოგების გადასახადი - 15%; დღგ - 18%; აქციზი - დიფერენცირებულია სა-ქონლის ჯგუფების მიხედვით; იმპორტის გადასახადი - 5% და 12% სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. [1]

გადასახადის სახეები: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ამ გადასახადების დაწესება არის პარლამენტის პრეროგატივა. ეს გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადის დაწესებაც პარლამენტის პრეროგატივაა, მაგრამ მისი შემოღება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი. [2]

ქართველი მეცნიერები, პოლიტიკოსები და ეკონომისტები მუდმივად მუშაობენ ქვეყნისთვის ყველაზე ოპტიმალური საგადასახადო სისტემის დანერგვისთვის. მათი ყურადღება ყველაზე მეტად „ესტონურმა მოდელმა“ მიიქცია, ვინაიდან სხვა ქვეყნებთან შედარებით, ესტონეთი ეკონომიკური კრიზისების მიმართ უფრო მდგრადი აღმოჩნდა. ამ მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ ხდება კომპანიაში მოგების დაბეგვრა. დაბეგვრისგან თავისუფლდება მოგების ის ნაწილი, რომელსაც საწარმო არ გაანაწილებს დივიდენდებად, გამოიყენებს რეინვესტირებისათვის და ჩააბრუნებს ეკონომიკაში. ეკონომიკის წინსვლა კი ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული. ბიზნესის განვითარებასთან ერთად ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, საქმდება უფრო მეტი ადამიანი და ხდება უმუშევრობის პრობლემის დაძლევა.

ესტონური მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადი საწარმოებისთვის მთლიანად უქმდება, მაგრამ, მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთი გადადის იმათზე, ვინც დივიდენდებს იღებს. ესტონეთში დივიდენდებზე საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 25%-ს. ე.ი. ესტო-

ნეთში დივიდენდებზე საშემოსავლო გადასახადი ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში, მაგრამ მოგების გადასახადი გაცილებით უფრო ნაკლებია (საერთოდ არ არის). [3]

მოგების გადასახადი არის გადასახადი, რომელსაც იხდიან ადგილობრივი ან უცხოური საწარმოები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოგების ყოველთვიური გადასახადი ვრცელდება რეზიდენტ საწარმოსა და არარეზიდენტ საწარმოზე, რომელიც საქართველოში საქმიანობს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. მოგების ყოველთვიური გადასახადი არ ეხება: კომერციულ ბანკს, სადაზღვეო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, სესხის გამცემ სუბიექტს. [4]

საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს, რომელიც სრულდებოდა შემდეგი ფორმულით:

შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება $\times 15\%$ = გადასახდელ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი ამჟამადაც შეადგენს 15% და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დაბეგვრის ობიექტი}}{0,85} \times 15\%$$

ახალი მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე, რაც ახალი პრაქტიკაა, რადგან აქამდე, როგორც ცნობილია, საანგარიშო პერიოდი იყო კალენდარული წელი. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება ყოველთვიურად (ელექტრონული ფორმით), არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხდება მოგების გადასახადი.

საგადასახადო რეფორმები ესტონეთმა ჯერ კიდევ 1994 წლიდან დაიწყო, როდესაც უარი თქვა დიფერენცირებულ გადასახადებზე

და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი ფიქსირებული ტარიფით განსაზღვრა. კომერციული იურიდიული პირების მოგების გადასახადის რეფორმა მოგვიანებით, უკვე 2000 წლიდან შევიდა ძალაში. ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნიკალური მოდელია. [5]

საქართველოში 2017 წლის პირველი იანვრიდან აქტუალური გახდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რადგან ამ დროიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი რეგულაციები, რომელიც ბასს 12-ის მიდგომებისაგან განსხვავდება და რომელსაც „ესტონური მოდელი“ ეწოდება. ესტონური მოდელის მომხრეები ვარაუდობენ, რომ საქართველოშიც მოხდება ბიზნესის განვითარება და გაფართოება, რაც თავისთავად ეკონომიკისა და დასაქმების ზრდას შეუწყობს ხელს. მას ბიზნესიც მხარს უჭერს, რადგან ფიქრობენ, რომ ამ მოდელის დანერგვით შემცირდება საგადასახადო წნეხი კერძო სექტორზე და დაახლოებით 400-500 მლნ ლარი კერძო სექტორში დარჩება. მეორე მხრივ, გამარტივდება საგადასახადო ადმინისტრირება. [6]

ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის შემოღება შეფასებული იქნა USAID -ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და შეფასდა ზემოაღნიშნული მოდელის საგადასახადო რეჟიმის შესაძლო მაკროეკონომიკური შედეგები:

- ✓ რეფორმას აქვს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტი. რეფორმა გამოიწვევს ინვესტიციების გაზრდას;

- ✓ რეფორმა გაზრდის სამთავრობო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტს მაქსიმუმ 3%-ით. საშემოსავლო გადასახადის 1%-ით გაზრდა და 1,25%-ით დამატებითი ღირებულების გადასახადის გაზრდა აღმოფხვრის დეფიციტს. მთავრობის მიერ უნდა მოხდეს ხარჯების შემცირება რეფორმიდან 2-3 წლის განმავლობაში.

- ✓ რეფორმის შედეგები, დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები. [7]

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თავისებურება იმაში მდგომარეობს რომ, თუ მოგება საწარმოში დარჩება, მაშასადამე მისი რეინვესტირება მოხდა და ეს მოგება არ იბეგრება. შედეგად, მთავარი დადებითი მხარეა ის, რომ კომპანიებს ეძლევათ სტიმული, მოგება ეკონომიკური საქმიანობისათვის საწარმოს შიგნით გამოიყენონ, რაც, მეორე მხრივ, შრომის ანაზღაურებისა და დასაქმების ზრდას შეუწყობს ხელს. უარყოფით მხარედ მიიჩნევენ იმას, რომ პირველ ორ წელიწადში ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდება. [8]

ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება რომ არ მოხდეს, ამისათვის საჭიროა დივიდენდებზე არსებული გადასახადის გაზრდა. ამ შემთხვევაში, ბიუჯეტი იმ დონემდე მაინც შეივსება, რომ სახელმწიფო ხარჯვა (მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციები) ძალზე არ შემცირდეს (ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იქნება საჭირო, თუ კერძო ინვესტიციებმა ვერ გაამართლა). [3]

ესტონურმა მოდელმა საშუალება მისცა მცირე და საშუალო ბიზნესს ორიენტირებულნი ყოფილიყვნენ ზრდა-განვითარებაზე. ბიზნესის განვითარება კი ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის პრობლემის დაძლეvas.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=223>
2. <https://www.myadvokat.ge/ka/blog/10703/gadasaxadiscneba-arsi-da-saxeebi>
3. <https://www.radiotavisupleba.ge/a/blogi-giorgi-tskhadaia-estonuri-modeli/27567464.html>
4. <https://old.rs.ge/4777>
5. <https://forbes.ge/mogebis-gadasakhadis-reph-2/>

6. ნანუაშვილი ნ., მოგების გადასახდის რეფორმა – ესტონური გაკვეთილი საქართველოს-თვის. <http://forbes.ge/news/904/estonuri-gakveTili-saqarTvelosaTvis>
7. <https://forbes.ge/estonuri-modelis-detaleb/>
8. <http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=286&title=%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

გიგი პარაგანაშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

შირონი ხუბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფი ლტოლვილთა სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

ანოტაცია

ლტოლვილთა სამართალი საერთაშორისო სამართლის ის ნაწილია, რომელიც თავდაპირველად ჟენევის 1951 წლის კონვენციით წარმოიშვა. აღნიშნული კონვენცია მიზნად ისახავდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები თავშესაფრის გარეშე არ დარჩენილიყვნენ. კონვენციის მიზანი იყო ამ პრობლემის სულ რამდენიმე წელიწადში მოგვარება, თუმცა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა შემცირების ნაცვლად დღემდე მკვეთრად იზრდება, რაც პრობლემურია მთელი მსოფლიოსათვის. ჟენევის კონვენცია განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ხუთ საფუძველს, რომელთაგან ერთ-ერთი არის კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება. ეს ცნება საკმაოდ ფართოა და დღემდე არაა მისი ფარგლები განსაზღვრული. ამ ნაშრომის მიზანია

დაადგინოს შესაძლებელია თუ არა ქალები მოიპოვებოდნენ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს მიკუთვნებულად და ევროკავშირისა და საქართველოს მიდგომების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის დადგენა. ამისათვის ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა.

Refugee law constitutes a significant segment of international law, originating from the 1951 Geneva Convention. This convention was designed to ensure that individuals rendered homeless as a consequence of the Second World War would not be left without shelter. Although the convention initially aimed to resolve this issue within a few years, the number of asylum seekers has instead increased sharply, presenting a significant global challenge. The Geneva Convention delineates five grounds for granting refugee status, one of which is membership in a particular social group. This concept remains broad and its scope has not yet been definitively established. The objective of this paper is to ascertain whether women can be classified as belonging to a specific social group and to conduct a comparative legal analysis of the approaches adopted by the European Union and Georgia. To achieve this, the paper draws upon various scholarly literature and judicial precedents.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფი ლტოლვილთა სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

კვლევის საგნის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ქვეყნებსა და სამართლებრივ სისტემებში არსებობს განსხვავებული შეხედულებები თუ მიდგომები გარკვეული სოციალური ჯგუ-

ფისადმი კუთვნილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განსხვავებების არსებობა პრობლემურს ხდის ქალების, როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლების, საერთაშორისო დაცვას და მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას. ამ მხრივ კი საინტერესოა შედარება ევროკავშირისა და საქართველოს მიდგომების მაგალითზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს პასუხი გაეცეს კითხვებს:

- მიეკუთვნებიან თუ არა ქალები გარკვეულ სოციალურ ჯგუფს ყველა შემთხვევაში?

- როგორი მიდგომები აქვს ევროკავშირის ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისას ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ?

- რა მსგავსებები და განსხვავებებია ამ კუთხით საქართველოსა და ევროკავშირის შორის?

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი დაყოფილია 4 ნაწილად:

- პირველ ნაწილში საუბარი შეეხება გარკვეული სოციალური ჯგუფის ცნებას ლტოლვილთა სამართალში და რამდენად შეიძლება ქალები ჩაითვალოს ასეთ ჯგუფად.

- მეორე ნაწილში განხილული იქნება ევროკავშირის მიდგომა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით.

- მესამე ნაწილის მიზანია საქართველოს პრაქტიკის კვლევა და აქვე იქნება შედარებული ევროკავშირისა და საქართველოს მიდგომა.

- ბოლო ნაწილში უშუალოდ იქნება შეჯამებული შესაძლებელია თუ არა ყველა შემთხვევაში ქალები ჩავთვალონ, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრები და ამ საფუძველით მიენიჭოთ მათ ლტოლვილის სტატუსი.

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის მიხედვით, ლტოლვილი არის მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის მიზეზით დევნის კარგად დასაბუთებული შიშის გამო იმყოფება მისი მოქალაქეობრივი კუთვნილების ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის დაცვით.²⁴ აქ ჩამოთვლილი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ხუთი საფუძვლიდან ერთ-ერთი სწორედ გარკვეული სოციალური ჯგუფის კუთვნილებაა, რომელიც საკმაოდ ფართოდ შეიძლება რომ განიმარტოს.

ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული დოქტრინის თანახმად, „სოციალური ჯგუფის წევრობის“ დადგენის ორი ყველაზე ფართოდ გავრცელებული თეორია არსებობს, პირველი ესაა „დაცული ინდივიდუალური ნიშანი“ და მეორე, „სოციალური აღქმა“. ორივე მიდგომა გამოყენებულია სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებასა და იმ სახელმწიფოთა პრაქტიკაში, რომლებიც ჟენევის 1951 წლის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეებს წარმოადგენენ. აღნიშნული „სოციალური აღქმის“ თეორიიდან გამომდინარე, სოციალური ჯგუფად იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა გარემოების კუმულატიურად არსებობა. კერძოდ, პირველ რიგში ჯგუფი უნდა იყოს იდენტიფიცირებადი ინდივიდუალური ნიშნის გათვალისწინებით და უნდა გააჩნდეს საერთო ნიშანი ყველა ჯგუფის წევრს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავე თეორიის თანახმად, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრების „გამაერთიანებელ“ ნიშანს მხოლოდ დევნის შიში არ უნდა წარმოადგენდეს. და ბოლოს, განსაზღვრული ინდივიდუალური ნიშნის ქონა პირებს მნიშვნელოვნად უნდა განასხვავებდეს საზოგადოებისგან.

²⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 28 ივლისი 1951, ძალაში შესვლა: 22 აპრილი 1954.

„გარკვეული სოციალური ჯგუფი არის პირთა ჯგუფი, რომელსაც აქვს საერთო მახასიათებელი, რაც არ გამოდინარეობს მხოლოდ დევნის საფრთხისგან, ან რომელსაც ჯგუფად აღიქვამს საზოგადოება. მახასიათებელი ხშირად არის თანდაყოლილი, უცვლელი, ან სხვა მიზეზით აქვს ფუძემდებლური მნიშვნელობა პირის იდენტობისთვის, მისი სინდისისთვის ან მის მიერ ადამიანის უფლებათა განხორციელებისთვის.“²⁵ ასეთ განმარტებას გვთავაზობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი, რომელიც ალტერნატიული სახით აერთიანებს „სოციალური აღქმისა“ და „დაცული ინდივიდუალური ნიშნის“ მიდგომებს. ამ დეფინიციას აკრიტიკებენ მისი ფართო ბუნებიდან გამომდინარე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად შემთხვევებში ორივე მიდგომა თანაბარი შედეგის მომტანია იმდენად, რამდენადაც ხალხი, რომელიც იზიარებს თანდაყოლილ, შეუცვლელ, საერთო მახასიათებლებს ან მახასიათებლებს, რომელიც ფუნდამენტურია პიროვნებისთვის და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ნორმებით დაცული, ხშირად ამავე ნიშნების წყალობით საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც ჯგუფი.

საინტერესოა გამოკვლეულ იქნეს რამდენად შეიძლება ქალები ჩაითვალოს გარკვეულ სოციალურ ჯგუფად. მათი იძულებითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი არის ის დევნა, რომელსაც ისინი განიცდიან ოჯახებში. ზოგიერთ სოციუმში ქალები ითვლებიან ჯერ მამების საკუთრებად, შემდეგ კი ქმრების. ასეთ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის ხდება მათი უფლებების შელახვა მძიმე ფორმებში, როგორებიცაა გაუპატიურება (მათ შორის ქორწინების დროს), სასქესო ორგანოების დამახინჯება, ღირსების მკვლელობა, სექსუალური ექსპლუატაცია და სხვა. აღნიშნული ქმედებების მსხვერპლები შემთხვევათა

²⁵ Andreas Zimmermann, Felix Machts, Jonas Dörschner, The 1951 convention relating to the status of refugees and its 1967 protocol: A commentary, Oxford, 2011, p.393 [Zimmermann, 2011:393]

სრულ უმრავლესობაში არიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ქალებს გააჩნიათ საერთო ნიშანი, რომელიც მათგან არის განუყოფელი და შეუცვლელი, ესაა მათი სქესი, რომლითაც ისინი დაიბადნენ და არის მათი იდენტობის ნაწილი.

თავშესაფრის მაძიებელთათვის სტატუსის მინიჭების პრაქტიკაში, სწორედ ასეთი ნიშნების არსებობის საფუძვლით ხდება ლტოლვილის სტატუსის მინიჭება. მაგალითისათვის, ადამიანისთვის ისეთივე განუყოფელი და აღქმადი ნიშანი, როგორიცაა პირის სქესი, ასევე არის პირის სექსუალური ორიენტაცია. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის საქმეში ნომრით C-473/16²⁶ აღნიშნა: „*პირთა ჯგუფი, რომლის წევრებიც იზიარებენ ერთსა და იმავე სექსუალურ ორიენტაციას, გარემომცველი საზოგადოების მიერ აღიქმებიან განსხვავებულად*“. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია პირის იდენტობისგან გაიმიჯნოს მისი სქესი ან სექსუალური ორიენტაცია, შესაბამისად, ქალები შესაძლოა ჩაითვალოს გარკვეულ სოციალურ ჯგუფად ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხდება მათი გენდერის ნიშნით დისკრედიტაცია, რაც გამოხატულია იმ ფორმებით, რომლებიც უკვე ვახსენეთ. ანუ იმისათვის, რომ ქალები ჩავთვალოთ გარკვეულ სოციალურ ჯგუფად საჭიროა კონკრეტულ ქვეყანაში ან სოციუმში არსებული გარემოებების ძირეული კვლევა და ამ გარემოებათა მიხედვით მსჯელობა.

ევროკავშირის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით არის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის დეფინიციის ანალოგიური, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საკვალიფიკაციო დირექტივის მეათე მუხლის პირველი ნაწილის დ ქვეპუნქტის მიხედვით, ჯგუფი მიიჩნევა გარკვეულ სოციალ-

²⁶ F. V. Bevándorlási és Állampolgársági Hivatal, C-473/16, 25 January 2018, CJEU, § 30.

ურ ჯგუფად, როდესაც ამ ჯგუფის წევრებს აქვთ საერთო თანდაყოლილი მახასიათებელი ან საერთო წარმოშობა, რომელიც ვერ შეიცვლება ან აქვთ საერთო მახასიათებელი ან მრწამსი, რომელიც იმდენად ფუნდამენტურია მათი ვინაობისთვის ან ცნობიერებისთვის, რომ დაუშვებელია პირის იძულება უარი თქვას მასზე; და ამ ჯგუფს აქვს განსხვავებული იდენტობა შესაბამის ქვეყანაში, რადგან აღიქმება განსხვავებულად ირგვლივ მყოფი საზოგადოების მიერ. ამ მუხლში გამოყენებული კავშირი „და“ არის მანიშნებელი ევროკავშირის მიდგომისა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციაში დამკვიდრებულია კომბინირებული კუმულატიური მიდგომა, რაც ნიშნავს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს ორივე მოთხოვნა რათა პირი ჩაითვალოს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს მიკუთვნებულად. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში იქსი ვაი და ზეტი მიგრაციისა და თავშესაფრის მინისტრის წინააღმდეგ²⁷, დაადგინა, რომ ორივე მიდგომა უნდა არსებობდეს კუმულატიურად რათა ჯგუფი ჩაითვალოს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფად.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ახლახანს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ნომრით C-621/21²⁸ სასამართლომ პირდაპირ დაადგინა, რომ „*გარემოებათა მიხედვით, წარმოშობის ქვეყანაში, ქალები შეიძლება ჩაითვალოს, მთლიანობაში, როგორც „კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს“ მიკუთვნებულად, როგორც „დევნის მიზეზად“*, რომელსაც მივყავართ ლტოლვილის სტატუსის აღიარებამდე.“ მთავარი მიღწევა C-621/21 საქმეში იყო ქალთა მნიშვნელოვანი დაცვის დაწესება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საერთო ევროპული თავშესაფრის სისტემის (CEAS) კონტექსტში. CJEU-მ და-

²⁷ X and Y and Z v. Minister voor immigratie en Asiel, C-199/12 C-201/12, 7 November 2013, CJEU. §46 §47

²⁸ Intervjuirasht organ na DAB pri MS (Femmes victimes de violences domestiques), C-621/21, 16 January 2024, CJEU, § 35

ადგინა, რომ ქალები შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფად 2011/95/EU დირექტივის მიხედვით, თუ ისინი დევნას განიცდიან გენდერული ძალადობის, მათ შორის ოჯახური და სექსუალური ძალადობის გამო თავიანთ ქვეყნებში. ეს განჩინება ასევე ითვალისწინებდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმებს, მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი დაცვა, თუ სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.

ეს გადაწყვეტილება შეესაბამება CEAS-ის ინტერპრეტაციას სტამბოლის კონვენციასთან, ხაზს უსვამს გენდერული ძალადობისგან დაცვის თანმიმდევრული გამოყენების აუცილებლობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

საქართველოს კანონის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ მე-15 მუხლი იძლევა ლტოლვილის სტატუსის მინიჭების სწორედ იმ საფუძვლებს, რაც საერთაშორისოდ არის აღიარებული ჟენევის 1951 წლის კონვენციის მიხედვით. ლტოლვილთა მიღება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დასკვნების შესაბამისად.

როგორც ყველასათვის ცნობილია, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულია ასოცირების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს მთელს რიგ საკითხებში ერთმანეთთან დაახლოება. მათ შორის არის სამართლის ჰარმონიზაცია და უფრო კონკრეტულად, ამ შეთანხმების მე-15 მუხლის მიხედვით, მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ტერიტორიებს შორის მიგრაციული ნაკადების ერთობლივი მართვის მნიშვნელობას და მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში დანერგავენ ყოვლისმომცველი დიალოგის ფორმატს.

აღნიშნული მუხლის მიხედვით მეტად სავარაუდოა, რომ ევროკავშირი ცდილობს საქართველო თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემასთან დაახლოვოს, იმდენად, რამდენადაც ამ სისტემის მამოძრავებელი ძალა სწორედაც მიგრაციული ნაკადების მართვის ხელშეწყობაა. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ არსებობს როგორც მსგავსებები ისე განსხვავებები ევროკავშირისა და საქართველოს მიდგომებთან დაკავშირებით. უშუალოდ კვლევის ობიექტით რომ შემოვიფარგლოთ ორივე სამართლებრივ სისტემაში გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოადგენს თავშესაფრის მინიჭების წინაპირობას. ყურადღება ექცევა სწორედ იმ ფაქტს, რომ ქალები ძირითად შემთხვევებში დაუცველნი არიან და ვინაიდან წარმოშობის ქვეყანაში ვერ ხერდება მათი სათანადო დაცვით უზრუნველყოფა, ძალადობისგან დაცვის საშუალებებს სხვა ქვეყნებში ეძებენ.

რაც შეეხება განსხვავებებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნულ საქმეში, მთლიანობაში ქალებს მიანიჭა კონკრეტული სოციალური ჯგუფის სტატუსი, რაც საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისათვის, შესაბამისად, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში შევა და დუბლინის მესამე რეგულაციის მიხედვით სტატუსის შესახებ მოთხოვნის განხილვისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფოში გაივლის გასაუბრებას, მხოლოდ ის ფაქტები, რომ ასეთი პირის წარმოშობის სახელმწიფოში არსებობს გარემოებები, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ აქტი დაკვალიფიცირდეს როგორც დევნა, რომელსაც წარმოშობის სახელმწიფოდან გამოექცა ეს პირი, ასევე თუ დაკმაყოფილდა მეორე კრიტერიუმი, რომ ეს პირი არის მდებრობითი სქესის წარმომადგენელი, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებული იქნება, რომ ასეთი პირს მიანიჭოს ლტოლვილის სტატუსი. ასეთი მიდგომა საქარ-

თველოში ჯერ არ არის დამკვიდრებული, ვინაიდან საქართველო არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, შესაბამისად ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ვერ იქნება მბოჭავი საქართველოსათვის. ამ ეტაპზე საქართველოს პრაქტიკა არის იმგვარი, რომ სქესი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირი მივაკუთვნოთ გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ქვეყნის ინტერესების, მისი უსაფრთხოების გათვალისწინებით და არ აფართოებს გარკვეული სოციალური ჯგუფის ცნების განმარტების არეალს, რაც უნდა ითქვას, რომ გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ევროკავშირის ლიბერალურმა მიდგომამ თავშესაფრის მაძიებლებთან, გამოიწვია მრავალი უსიამოვნება, მათ შორის კრიმინალის ზრდა. ასევე მიგრაციული ნაკადების სიმრავლის გამო ევროკავშირს მოუწია მიედლო მრავალი დირექტივა თუ რეგულაცია, რათა დაერეგულირებინა აღნიშნული ნაკადები.

დასკვნა

ამრიგად, საჭიროა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოებათა მიხედვითა და მათი სქესის გათვალისწინებით, მართლაც აქვთ გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობისათვის საჭირო ყველა კრიტერიუმი, მათ შორის განუყოფელი და ალქმადი საერთო ნიშანი, რომელიც მათი იდენტობაა და სწორედ ამ იდენტობის გამო ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. საქართველომ უნდა გაიზიაროს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ჩაატაროს მოკვლევა იმის შესახებ, თუ რა სიტუაცია არის თავშესაფრის მაძიებ-

ლის სახელმწიფოში. რამდენად არის დარღვეული ქალების უფლებები და რამდენადაა ამ უფლებათა დარღვევა გავრცელებული.

ბიბლიოგრაფია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 28 ივლისი 1951, ძალაში შესვლა: 22 აპრილი 1954.
2. Andreas Zimmermann, Felix Machts, Jonas Dörschner, The 1951 convention relating to the status of refugees and its 1967 protocol: A commentary, Oxford, 2011
3. F. V. Bevàndorlasi ès Àllampolgàrsàgi Hivatal, C-473/16, 25 January 2018, CJEU.
4. Intervyuirasht organ na DAB pri MS (Femmes victimes de violences domestiques), C-621/21, 16 january 2024, CJEU.
5. X and Y and Z v. Minister voor immigrate en Asisel, C-199/12 C-201/12, 7 November 2013, CJEU.

გიორგი დალაქიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის
პირველი კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

ასმათ შამუგია

ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

ციფრული მარკეტინგის ინოვაციური სტრატეგია კომპანია „გედაზნის“ პრაქტიკულ მაგალითზე

ანოტაცია

ციფრული მარკეტინგი დღეს საჭიროა თითქმის ნებისმიერი ბიზნესის მთლიანი მარკეტინგული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი აქცენტი იყოს. აქამდე არასოდეს ყოფილა შესაძლებელი, ინოვაციურ კომპანიებს ჰქონდეთ თანმიმდევრული და სტაბილური კონტაქტი საკუთარ მომხმარებლებთან. თანაც, ის სთავაზობს მათ პერსონალიზაციის მაღალ დონეს ციფრული მონაცემების მეშვეობით. რაც უფრო მეტად აითვისებენ ციფრული მარკეტინგის შესაძლებლობებს, მით უფრო მეტად შეძლებენ ინოვაციური კომპანიები გააცნობიერონ საკუთარი ბრდის პოტენციალი.

ციფრული მარკეტინგი მოიცავს ყველა გზას, რომელიც ელექტრონული მოწყობილობის ან ინტერნეტის გამოყენებით მომხმარებელამდე შეიძლება მივიდეს. თანამედროვე ბიზნესები იყენებენ ისეთ ციფრულ

არხებს, როგორებიცაა: საძიებო სისტემები, სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდები [7].

გაციფრება, ციფრული გარდასახვა, ინოვაცია და ციფრული ეთიკა კომპანია „ბედაზნის“ ეფექტიანი ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია.

21-ე საუკუნეში ძალზე მნიშვნელოვანია რეალური ცოდნა, როგორც ტრადიციული მარკეტინგის მიდგომებზე, ისე ციფრული მარკეტინგის ინოვაციურ მეთოდებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემული ნაშრომის მიზანია, კომპანია „ბედაზნიში“ მიმდინარე ციფრული ცვლილებების გააანალიზება; ასევე ციფრული ტრანსფორმაციის პრაქტიკული გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების შემუშავება [6].

ინოვაციური სტრატეგია განმარტავს კომპანია „ბედაზნის“ გრძელვადიან სტრატეგიულ მოძრაობას. ეს მნიშვნელოვანია მოკლევადიანი აქტივობებისთვის და აძლევს კომპანიას მიზნის მიღწევის გრძელ ტრაექტორიას დროთა განმავლობაში. აუცილებელია ინოვაციური სტრატეგიის შეზღუდვა კონკრეტულ პროექტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთო მიზნების მიღწევას, რომლისკენაც კომპანია „ბედაზნი“ აშენებს. საჭიროა გუნდის ლიდერებთან მუდმივი მუშაობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან განვითარებასა და მარკეტინგზე, რათა კომპანია „ბედაზნი“ გაიგოს, თუ როგორ შეუძლია გახადოს საკუთარი მიზნები მიღწევადი. ეს არის საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც შეუძლია, რათა დარწმუნდეს, რომ მისი ინოვაციური სტრატეგია თანმიმდევრულად არის აგებული და გაუმჯობესებული დროთა განმავლობაში [2].

მოცემულ ნაშრომში გამოკვეთილია ციფრული მარკეტინგის ინოვაციური სტრატეგიები. მიგნებულია თანამედროვე ეტაპზე კომპანია „ბედაზნის“ ციფრული მარკეტინგის დადებითი და უარყოფითი ასპექ-

ტები; ასევე, დასკვნის სახით, ჩამოყალიბებულია მისი ეფექტიანობის კრიტერიუმები.

საკვანძო სიტყვები: ციფრული, მარკეტინგი, ინოვაციური, სტრატეგია, კომპანია, ზედამენი.

ციფრული მარკეტინგის ინოვაციური სტრატეგია კომპანია „ზე-დაზნის“ პრაქტიკულ მაგალითზე

სს "ქართული ლუდის კომპანია" დაარსდა 2011 წელს ერთი მიზნით: გამხდარიყო საქართველოს ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბაზრის ლიდერი. საწარმოს მშენებლობა დაიწყო 2011 წლის მაისში. მიუხედავად იმისა, რომ საწარმო იქმნებოდა ცარიელ ადგილზე, მშენებლობის დაწყებიდან 7 თვეში უკვე შესაძლებელი გახდა საცდელი ლუდის ხარშვების დაწყება. ასეთ მცირე დროში თანამედროვე ევროპული სტანდარტის წარმოების აწყობა შესაძლებელი გახდა გუნდის გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის წყალობით. კომპანიის ჯგუფს საქართველოს ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბაზარზე მუშობის 20-წლიანი წარმატებული გამოცდილება გააჩნია. საწარმოს აშენების ადგილი განაპირობა სოფელ საგურამოს შესასვლელთან ზედამენის მთის ძირას არსებულმა უნიკალური თვისებების მქონე წყალმა; რადგანაც სწორედ წყალი არის კრიტიკული ფაქტორი ამ დარგისთვის. 2012 წლის 2 აპრილს საგურამოში საზეიმოდ გაიხსნა ლუდსახარში "ზედაზენი"; საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა ლუდი და ლიმონათი "ზედაზენი". ლუდსახარში "ზედაზენი" აღჭურვილია ევროპული წარმოების ყველაზე თანამედროვე ტექნიკით. მათ შორის ჩამოსასხმელი ხაზები (მინის ბოთლი, პეტ-ბოთლი, ქილა, მეტალის კასრი) და უალკოჰოლო სასმელების საამქრო დამზადებულია გერმანული პირველი კლასის მწარმოებლის KHS-ის მიერ [1].

ქართული ლუდის კომპანია (ლუდსახარში „გედაზენი“), ლუდის ინდუსტრიის მსოფლიო გიგანტის, ამერიკული კომპანია Molson Coors-ის ლუდის ბრენდის – MILLER-ის ოფიციალური მწარმოებელი და დისტრიბუტორი გახდა.

კომპანიის კორპორაციული მმართველობის სისტემის ფინანსური, იურიდიული და ტექნიკური აუდიტის შემდეგ, „გედაზნის“ ლუდის პორტფელს, ამერიკული პრემიუმ ბრენდი – MILLER შეემატა. აღნიშნული ბიზნესგარიგება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „გედაზნის“ საწარმო, სრულად აკმაყოფილებს ყველა იმ მსოფლიო სტანდარტსა თუ მოთხოვნას, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის, პრემიუმ ბრენდების წარმოებისთვის.

ჩვენს ქვეყანაში წარმოებული MILLER საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იყიდება.

MILLER მსუბუქი, ამერიკული, პრემიუმ კლასის ლუდია. მის გემოს განსაკუთრებულს არამხოლოდ მისი რეცეპტი, არამედ ხარშვის უნიკალური ტექნოლოგია – ოთხჯერადი ფილტრაცია ქმნის.

„ყველაფერი საუკეთესო, იქმნება საუკეთესო ინგრედიენტებით“- დევიზის რეალობად ქცევისთვის, MILLER-ის ყველა მწარმოებელი კომპანია იყენებს სპეციალიზებულ ალაოს და ასევე სვიას, რომელიც ლუდისთვის ნაკლებად მწარე გემოს მისანიჭებლად, სპეციალურადაა დამუშავებული.

„ქართული ლუდის კომპანია“ ლუდის ბაზარზე ნოვატორობით გამოირჩევა. პანდემიით გამოწვეული სირთულეები მენეჯმენტმა შესაძლებლობად გარდაქმნა და ეს დრო იმისთვის გამოიყენა, რომ ქართული ლუდის ბაზარი კიდევ უფრო საინტერესო გამხდარიყო. თითქმის 3-წლიანი მოლაპარაკებების, დამატებითი ინვესტიციების, ექსპერიმენტული ხარშვის, საწარმოს აუდიტისა და კომპანიის მართვაში დასავლური სტანდარტების დანერგვით, დღეს უკვე კომპანია ამაყად აცხადებს, რომ ლუდსახარში „გედაზენი“ ლუდის ინდუსტრიის მსოფ-

ლიო გიგანტის – Molson Coors-ის პარტნიორი და ჩვენს რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში MILLER-ის ლიცენზიანტია.

„ქართული ლუდის კომპანიის დაარსების დღიდან, თიბისი ბანკი მისი პარტნიორია. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, თიბისის „ზედაზენისთვის“ ჯამში 270 მილიონ ლარამდე ოდენობის დაფინანსება აქვს გაცემული [4].

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე კონცენტრაცია გამოავლინა, რომელიც წინასწარ სავალდებულო შეტყობინებას ექვემდებარებოდა. სააგენტოს ინფორმაციით, საკითხი ეხება გასულ 2023 წელს, სს „ქართული ლუდის კომპანიას“ მიერ შპს „ზედაზენი“ 2012-ის“ 100%-იანი წილის შეძენას. როგორც შესაბამის ბრძანებაშია აღნიშნული, სააგენტოს გადაწყვეტილებით, კონცენტრაციის შეუტყობინებლობისთვის სს“ქართული ლუდის კომპანია“ 40 000 ლარით დაჯარიმდა. თანაც სააგენტომ აღნიშნულ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა, რადგან მიიჩნევს, რომ გარიგება კონკურენციულ გარემოსთან სრულად თავსებადია.

„სააგენტოს მიერ მიღებული და დამუშავებული მასალების მიხედვით დადგინდა, რომ არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე, 2023 წელს, მოქმედებდა - 215 კომპანია, ბაზრის მოცულობა შეადგენდა - 464 757 669 ლიტრს, ხოლო ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - 2 590. რაც შეეხება ლუდის ბაზარს, ამავე წელს - ბაზარზე მოქმედებდა - 75 კომპანია, ბაზრის მოცულობა შეადგენდა - 90 532 597 ლიტრს, ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - 1888.

სააგენტოს შეფასებით, არაალკოჰოლური სასმელების ბაზარი მაღალკონცენტრირებულია, თუმცა კონცენტრაციის ინდექსი მცირედით აღემატება ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის ინდექსის მაქსიმალურ მაჩვენებელს (2250). ლუდის ბაზარი ზომიერად კონცენ-

ტრირებულია, ხოლო სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარი დაბალ-კონცენტრირებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, განხორციელებული კონცენტრაცია შესაბამის ბაზარზე არსებით გავლენას არ ახდენს და კონკურენციულ გარემოსთან თავსებადია [5].

როდესაც გვესმის შემდეგი სიტყვები - ქართული ლუდი, მაშინვე კომპანია „ზედაზენი“ გვახსენდება. ის, რომ ზედაზენი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლუდია, ფაქტია. საკმაოდ რთულია ქართული ლუდის ბაზარზე პირველობის დაკავება. დიახ, ეს ზედაზენმა შეძლო და მხოლოდ 9 წელიწადში დაიკავა ქართული ლუდის ბაზარზე ბაზრის წილის ყველაზე დიდი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ „ზედაზენის“ ქარხანა ჩეხურმა კომპანიამ ZVU POTEZ-მა დააპროექტა. მის მშენებლობაში 70 მლნ ლარის ინვესტიცია ჩაიდო, რაც საკმაოდ მოცულობითია ქართული კაპიტალისთვის. ამჟამად წარმოებაში 700 ადამიანია დასაქმებული.

„ლუდის ინდუსტრიიდან მედიაში გაშუქებული სიახლეების მიხედვით სს „ქართული ლუდის კომპანია“ ლიდერობს“. აღსანიშნავია, რომ „აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუსის“ ლუდის ბაზრის მედია სტატისტიკის მიხედვით, ქართული ლუდის ინდუსტრიის მედია აქტივობების 52% „ქართული ლუდის კომპანიაზე“ მოდის, მისი მედია აქტივობის წილი 33% იყო 2019 წელს. თუმცა, ყველაზე საინტერესო, რაც ამ სტატიაში, გამოიცა არის ლუდის კომპანიების საბაზრო წილი ლუდის ბაზარზე.

ფაქტი ჯიუტია - ზედაზენი ქართული ლუდის ბაზარზე უდავოდ პირველია მომხმარებელთა რაოდენობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საბაზრო წილიც დიდია.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა: გამოკითხულთა 84%-ს პოზიტიური დამოკიდებულება აქვს „ზედაზენის“ კომპანიის მიმართ. რასაც ვერ ვიტყვით მის ერთ-ერთ კონკუ-

რენტგენ- „ნატახტარზე“, რომლის მიმართ მხოლოდ 38%-ია დადებითად განწყობილი. პოზიტიური მომხმარებელი პირდაპირ აღნიშნავს ბაზრის ზრდის კოეფიციენტის სიდიდეს. ასევე კომპანიას აქვს ბაზრის ზრდის კოეფიციენტი მაღალი, რადგან მის მიმართ საკმაოდ ბევრი ადამიანია პოზიტიურად განწყობილი, კმაყოფილი მომხმარებელი კი ბაზარზე კომპანიის განვითარების პირდაპირი ნიშანია.

„ქართული ლუდის კომპანია“ ნამდვილად ცდილობდა დივერსიფიკაციას, სწორედ ამიტომ გააჩნიათ დღესდღეობით პროდუქტების მრავალფეროვნება, მათ აქვთ ლუდები, ცივი ჩაი, ნატურალური წვენები, ლიმონათების დიდი არჩევანი, კოლა და ენერგეტიკული სასმელებიც კი. მაგრამ, როდესაც ეს გააკეთეს ისინი მუდმივ დივერსიფიკაციას არ მიჰყოლიან, მათ დაიწყეს ექსპორტზე ორიენტირებული მუშაობა იმ უკვე დივერსიფიცირებული არსებული პროდუქტებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ბაზრის განვითარება წამოიწყეს, რათა შეძლონ და მეტი პროდუქტი გაიტანონ ექსპორტზე, დიდი რაოდენობით პროდუქტის ექსპორტზე გატანა კი თავისთავად კიდევ ერთხელ მეტყველებს კომპანიის წარმატებაზე.

ფასეულობათა განაცხადი ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, რადგან სწორედ მისი წყალობით ახერხებს იგი მიზნობრივ ფასწარმოქმნას.

რადგანაც ჰეინეკენის, Efes-ის ან Estrella-ს ლუდები გვთავაზობენ ფასეულობათა განაცხადს მეტი-მეტით, ლოგიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზედაზენის ფასეულობათა განაცხადია მეტი-იმავეთი, რადგან კომპანია „ზედაზენი“ დაბალ ფასად შესატყვის ხარისხს გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ „ზედაზენს“ არა აქვს „ჰეინეკენით“ 157-წლიანი გამოცდილება და სახელი საერთაშორისო მასშტაბით (რაც მისი ფასის ერთ-ერთი განმსაზღვრელია), თუმცა მისი პროდუქცია ნამდვილად ხარისხიანია და ისხმება ევროპული სტანდარტებით.

ციფრულ მარკეტინგულ სტრატეგიაზე საუბარი ალბათ შეუძლებელია კომპანიის პროდუქტების პოზიციონირების გარეშე. იმისთვის, რომ პროდუქტის პოზიციონირება დავადგინოთ, აუცილებელია მომხმარებელთა სეგმენტის შეგვხვოთ. აღსანიშნავია, რომ ზედაზენის მომხმარებლები უტილისტური ქცევით ყიდულობენ ზედაზენის პროდუქტს. ენგელის კანონის თანახმად, ადამიანის დანახარჯები პროდუქტზე მისი შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება. ჩვენ შევადარეთ ერთ-ერთი პრემიუმ ხარისხის ლუდის, ჰეინეკენის ფასი ზედაზენის ფასს. დამტკიცებაც არ სჭირდება იმას, რომ ჰეინეკენის ფასი საგრძნობლად მაღალია (რაც ლოგიკურია), შემდეგ კი დავფიქრდით როგორია ზედაზენის მყიდველის კაპიტალი, რა დონეზეა ასული მათი მატერიალური ცხოვრება და ასე შემდეგ. საქართველოში კატასტროფული მდგომარეობაა ამ მხრივ. ლარის დევალვაციასთან სდევს ინფლაცია, რაც გარკვეულწილად საჭიროებს კომპანიების მხრიდან დანახარჯების შემცირებას და, ცხადია, ამ დანახარჯების შემცირებაში დასაქმებული ადამიანური რესურსი ძალაუვნებურად ეხვევა.

წინამდებარე თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ კომპანია „ზედაზენის“ ციფრული მარკეტინგის უპირატესობები: პირველი, რაც საიტზე შესვლისთანავე შევამჩნიეთ არის ის, რომ ვებგვერდს გააჩნია ადაპტური დიზაინი, ანუ ეს გახლავთ ვებსაიტების დიზაინის ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს ე. წ. დიზაინსა და კოდს, რომ შეესაბამებოდეს სხვადასხვა მოწყობილობების (ანუ device-ების) ეკრანის ზომას. ადაპტური დიზაინის წყალობით ზედაზენის საიტს ნებისმიერ მოწყობილობასთან აქვს ოპტიმალური ხილვადობა, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს საიტის გაუმართაობებს. მეორე, რაც ამ საიტს აღმოვეჩინეთ იყო ის, რომ სრულიად აკმაყოფილებს დიზაინის კონცეფციას (ანუ მისი დიზაინი კრეატიულია). ასევე ძალიან მაღალ დონეზეა შესრულებული ვებდიზაინის ტექნიკური მხარე, ანუ თანხვედრაშია

ერთმანეთთან საიტის შიდა გვერდების გრაფიკული შაბლონები. რადგანაც დღეს ვერ შევხვდებით საიტს, რომელსაც არ გააჩნია მართვის სისტემასთან ინტეგრაცია, ამიტომ ეს უპირატესობად არ ჩავგიტოვო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ესეც აქვს. სისტემასთან ინტეგრაცია არის მრავალმხრივი სტრუქტურის, დიდი მოცულობის ინფორმაციის, დახვეწილი დიზაინის და მარტივი მრავალფუნქციურობის მართვის ერთიანობა საიტში (ანუ თანამედროვე ვებგვერდს ყველა აქ ჩამოთვლილი უნდა გააჩნდეს, რომ სრულყოფილ საიტად ჩაითვალოს). ძალიან მოგვეწონა ე. წ. საიტის წინ წაწევა, რადგან როგორც კი მისი Google-ის საძიებო სისტემაში ძებნა დავიწყეთ, მაშინვე უმარტივესად იპოვა ჩვენმა მოწყობილობამ. განსაკუთრებული უპირატესობა რაც „ბედაზნის“ ვებგვერდს გააჩნია არის ის, რომ დიზაინი უშუალოდ დაკავშირებულია მის კონტენტთან ანუ სასმელებთან. ასე რომ, ბედაზნის ვებგვერდზე შეგვიძლია ვთქვათ: როგორც პირველი კურსის სტუდენტი და მომხმარებელი მას 10/10 შეფასებას ვუწერთ.

„ბედაზნის“ კომპანია ყოველთვის აფართოვებდა ბაზარს და გაჰქონდა თავისი ნაწარმი ექსპორტზე. ახალი ბაზრების დამატებამ ექსპორტი 50%-60%-ით გაზარდა. „ბედაზნის“ ექსპორტი იმიტომ გაიზარდა, რომ თვითონ ბაზარი გაფართოვდა, რადგან მათ 2019 წლის ბოლოს ახალი ბაზრების ათვისება დაიწყეს. ექსპორტი 2-ჯერ გაიზარდებოდა, რომ არა გლობალური პანდემია. აღსანიშნავია, რომ ბედაზნი ლუდს ევროპის ქვეყნებში, ასევე შუა აზიაში და რუსეთშიც გზავნის.

კომპანია „ბედაზნის“ სისტემური მიდგომის საფუძველზე, როგორც პირველი კურსის სტუდენტმა, თვითონ ბრენდი მივუსადაგეთ რომელიმე არქექტებს. რა თქმა უნდა, „ბედაზნი“ შეგვიძლია მივაკუთვნოთ ჩვეულებრივს, რადგანაც სანდლობა და პრაქტიკულობა ამ ბრენდისთვის მუდამ პირველ ადგილას დგას.

მაშასადამე, „ზედაზენი“ არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანია ქართული ლუდის ბაზარზე და როგორც ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა - საუკეთესოც. მას მომხმარებლებში მოპოვებული აქვს ნდობის ფაქტორი, რაც კიდევ უფრო დიდ პოტენციალს უხსნის. კომპანიის სიძლიერეს ხაზს უსვამს ექსპორტზე საკმაოდ დიდი მოცულობის პროდუქციის გატანის ფაქტიც. ამ კომპანიის წარმატება პირველ რიგში განაპირობა მსხვილმა დაფინანსებებმა, როგორც ფინანსური რესურსის მოზიდვის წყარომ, ისე შეფასების გარეშე ვერ დავტოვებთ ამ კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის ანუ სხვადასხვა დეპარტამენტების მონდომებულ მუშაობას ისეთი ფასეულობის განმაპირობებელ საქმიანობებში, როგორებიცაა: პროდუქტის დიზაინი, წარმოება, ბაზარზე განთავსება, მიწოდება და პროდუქტის მხარდაჭერა. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ახერხებს თითოეული დეპარტამენტი მყიდველისთვის ამ ფასეულობების შემატებას და რამდენად კოორდინირებულია სხვადასხვა დეპარტამენტის საქმიანობა, კომპანია „ზედაზენს“ ნამდვილად ძლიერი და კოორდინირებული ფასეულობათა ჯაჭვი გააჩნია, რადგან ისინი შესანიშნავად მართავენ კომპანია ზედაზენის მარკეტინგულ კომპლექსს. თუმცა, ჯერ საქართველო TOP ლუდების მწარმოებელ ქვეყნებში არ შედის. ამის პირველი მიზეზი ისაა, რომ „ზედაზენი“ ჯერ კიდევ ვითარდება და არ მიუღწევია შესაბამისი დონისთვის როგორც მას, ისევე სხვა ქართულ ბრენდებს. მიგვაჩნია, რომ ისინი აუცილებლად განვითარდებიან, მაგრამ ამისთვის საჭიროა ჩვენც ხელი შევუწყოთ მათ. ამიტომ, ნუ დაველოდებით ხვალინდელ დღეს, ვინც ლუდის მოყვარულნი ხართ უბრალოდ გასინჯეთ „ზედაზენი“-“აბა რა!“ [3].

გამოყენებული წყაროები:

1. კომპანია “ზედაზენის” ვებგვერდი: <https://flash.geobeer.ge/ka>
2. <https://www.bloginnovazione.it/ka/innovazione-strategia/23739/>
3. <https://www.marketinghouse.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94/>
4. <https://forbes.ge/ludsakharshi-zedazeni-amerikuli-kompania-molson-coors-is-ludis-brendis-miller-is-ophitsialuri-mtsarmoeбели-da-distributori-gakhda/>
5. <https://bm.ge/news/konkurentsiis-saagentom-qartuli-ludis-kompania-zedazeni-2012-is-yidvis-sheutyobineblobistvis-daajarima>
6. eeu.edu.ge
7. digitalhub.edu.ge

გიორგი ლაბარტყავა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის III კურსის
სტუდენტი

ხელმძღვანელი:

მაია გელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში

ანოტაცია

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორი უმუშევრობაა. მისი შედეგი კი დაკავშირებულია ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური არასტაბილურობა. პრობლემის გადაჭრა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებითაა შესაძლებელი. ვინაიდან მან თავისი ძირითადი ფუნქციის საშუალებით უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების ოპტიმალური განაწილება. უმუშევრობასთან დაკავშირებით მდგომარეობა საქართველოში რთულადაა, რადგან დიდი მასშტაბითაა არაფორმალური დასაქმებაც და თვითდასაქმებულებიც. შესაბამისად, მოსახლეობის თვითდასაქმება და დაბალი შემოსავალი წინაპირობაა შრომისუნარიანი მოსახლეობის ემიგრაციის, ვინაიდან საკუთარი შრომით შემოსავლებზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ დასაქმების პრობლემა საქართველოში წლებს ითვლის. აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია სამუშაო ადგილებისა და ეფექტუ-

რი პოლიტიკის წარმართვის პირობებში. კერძოდ, ხელისუფლებამ შემუშაოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების სოციალ-ეკონომიკური კონცეფცია, რომლითაც არამართო დასაქმებენ, არამედ კაპიტალის დაგროვების საშუალებასაც მისცემს საზოგადოებას. ეს შესაძლებელია იყოს ხელფასის მინიმუმი, საგადასახადო პოლიტიკა, ხელფასის ზრდა ინფლაციის დონის გათვალისწინებით და სხვა.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, სიდარიბე, არაფორმალური დასაქმება, თვითდასაქმებული, სოციალური სტაბილურობა.

უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი შრომის ბაზარია, მისი საშუალებით ადამიანები ცდილობენ სამუშაოს პოვნას, რათა დააკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები ღირსეული შემოსავლით, უზრუნველყონ საკუთარი შრომითი უნარების განვითარება და, რაც მთავარია, ხელი შეუწყონ ქვეყნის ნორმალურ კვლავწარმოებას, ვინაიდან მისი გამართულად ფუნქციონირება ამაღლებს ქვეყანაში, როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. გარდა ამისა შრომის ბაზარი აწონასწორებს მოთხოვნა-მიწოდებას და აკავშირებს დამქირავებლებსა და დაქირავებულებს. წონასწორობის დარღვევა მაშინ გვექნება, თუ უმუშევრობა ან სამუშაო ძალის დეფიციტია. „თუ შრომის ბაზარზე წარმოიშვება უმუშევრობა, მაშინ დასაქმებულთა ხელფასის განაკვეთი დაიწყებს კლებას და ეს პროცესი გაგრძელდება იქამდე, ვიდ-

რე შრომის მიწოდება შრომაზე მოთხოვნას კვლავ არ გაუტოლდება.²⁹

საქართველოში უმუშევრობა კვლავ გამოწვევად რჩება, ვინაიდან სიღარიბის მთავარ ინდიკატორად მიჩნეულია უმუშევრობის მაღალი დონე. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისთვის კი საჭიროა, როგორც თვისობრივი, ასევე მისი რაოდენობრივი დახასიათება. კერძოდ, როგორია მისი მაჩვენებლები:


- უმუშევრობის ხანგრძლივობა და რიცხოვნობა;
- უმუშევრობის დონე და უმუშევართა პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურა;
- უმუშევართა შემადგენლობა სოციალური დაჯგუფების მიხედვით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტების მიხედვით, უმუშევრად მოიაზრება „15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტამდე 7 დღის პერიოდში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.“³⁰ დაახლოებით ამგვარ განმარტებას გვთავაზობს ევროსტატიც, რომლის თანახმად, უმუშევრად მოიაზრება ადამიანი, რომელსაც საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა სამსახური, მზად იყო მუშაობის დასაწყებად საანგარიშო პერიოდის მომდევნო 2 კვირის განმავლობაში და წინამდებარე 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამსახურს.³¹ დღეისთვის ეკონომიკაში გამოიყოფა უმუშევრობის შემდეგი სახეები (იხ. სქემა N1)

²⁹ Romer, D. (1996). Advanced Macroeconomics - <http://lnnk.in/aObM>

³⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2021


³¹ ევროსტატი, <https://bit.ly/30HU3LW> 2020



უმუშევრობა მთელ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, ვინაიდან იგი შემაფერხებელია ქვეყნაში მატერიალური დოვლათის დანაკარგის, ინფლაციის ზრდის, მასობრივი სიღარიბის, შრომისუნარიანი მოსახლეობის დეკვალიფიკაციის, შრომითი მიგრაციის და რაც მთავარია ადამიანთა დემოგრაფიული ვითარების გამწვავების. უმუშევრობის ნეგატიურ თვისებებს დადებითიც ახლავს. კერძოდ:

- სამუშაო ძალის რეზერვის ფორმირება;
- დასაქმებულებს შორის კონკურენციის ზრდა;
- შრომის მწარმოებლურობის დონის ზრდა;
- ადამიანს, მეტი თავისუფალი დრო აქვს კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2023 წლის გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, დასაქმება და უმუშევრობა (იხ.დიაგრამა N1) შემდეგნაირადაა წარმოდგენილი. 2023 წელს უმუშევრობის დონე 16,4%-ია, რაც წინა ექვსი წლების საშუალო დონესთან შედარებით 2,7%-ით შემცირების ტენდენცია ფიქსირდება. თუმცა მიმდინარე



აღნიშნული მაჩვენებელი მაინც საკმაოდ მაღალია და არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივად. ასევე მნიშვნელოვანია შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონე, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ცენტრალური ფაქტორი ადამიანური კაპიტალია.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, რაც გარკვეული თავისებურებებითაა განპირობებული. კერძოდ:

- სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა და შეზღუდული არეალი;
- სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა;
- ხანგძლივი პერიოდით ახალგაზრდა უმუშევართა მაღალი წილი;
- არაფორმალური დასაქმების დიდი წილი;
- ღირსეული დასაქმების უზრუნველყოფა და დასაქმებულთა უფლებების დაცვა.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობა ადამიანის ცხოვრების ყველაზე ნეგატიური მოვლენაა, ვინაიდან საკუთარი შრომით შემოსავლებზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნებას. შექმნილი ვითარების სწორად წარმართვაში ხელისუფლების გონივრული და დროული გადაწყვეტილებაა მნიშვნელოვანი ვინაიდან მისი პრეროგატივაა განსაზღვროს რა სირთულეებს აწყდებიან უმუშევარი მოსახლეობა, სად ეძებონ სამუშაო და ვის მიმართონ დახმარებისთვის და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Romer, D. Advanced Macroeconomics -(1996).
<http://lnnk.in/aObM>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2021
3. ევროსტატი, <https://bit.ly/30HU3LW> 2020
4. <https://forbes.ge/>
5. www.euronewsgeorgia.com
6. www.pmcresaeach.org
7. Ka.khanacademy.org

ნატალია ხარაიშვილი

გიორგი სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტები

ხელმძღვანელი:

დავით გეფერიძე
საერთაშორისო სამართლის დოქტორი

სახელმწიფოთმშორისი დავების გადაჭრის საშუალებები და ომი, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედება

შესავალი

კაცობრიობის დასაბამიდან მოყოლებული, მთელი რიგი დავების გადასაწყვეტად, მიუხედავად მათი შინაარსისა და მოგვარების მშვიდობიანი ფორმების არსებობისა, სამწუხაროდ სახელმწიფოები უმეტეს შემთხვევაში მიმართავდნენ და მიმართავენ ომის წარმოების გზას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ღმობიერად სულაც არაა განწყობილი ომის, როგორც, სახელმწიფოთა შორის დავების „გადაჭრის“ ერთ-ერთი ხერხის უპრიანად მიჩნევის მიმართ. აკრძალულია, არათუ ომის დაწყება, არამედ სხვადასხვა სახის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო და სხვა ზომების გატარება, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული დაპყრობის ან მისი პოლიტიკური სისტემის დაქვემდებარებასა და კურსის განსაზ-

ღვრას, როგორც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.³²

თავისი არსიდან გამომდინარე, აგრესიული ომი ქმედებაში გამოხატული საერთაშორისო დანაშაულია, რომელიც მიმართულია საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების წინააღმდეგ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი, მთელი რიგი სამართლებრივი აქტებითა და ნორმებით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობებსა და სანქციებს აკისრებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მიმართავენ მას თავდასხმის სახით.

დღესდღეისობით, აგრესიულ ომად ითვლება კონკრეტული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან გაეროს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სახით.

შესაბამისად, ნებისმიერი აგრესიული ქმედება, უშუალოდ კი ომი, წარმოადგენს რა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებას სამართლებრივ წახნაგებში, რომელიც პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა სახელმწიფოთა თანაპარმონიულ, მშვიდობიან არსებობასთან, საერთაშორისო სამართლით გაცხადებულ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით.

1. სახელმწიფოთაშორისი დავები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთაშორისი დავები ერთმანეთისგან განსხვავდება ბუნებითა და სირთულით, რაც თავის თავში მოიცავს უთანხმოებას სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ტერიტორიის, რესურსების, პოლიტიკის ან საერთაშორისო სა-

³² ლევან ალექსიძე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“-თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 37 გვერდი, 2015 წელი.

მართლის ინტერპრეტაციების შესახებ. ამ დავებს ხშირად გავლენა აქვს გლობალურ მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და დიპლომატიურ ურთიერთობებზე. სახელმწიფოთაშორისი დავები თავისთავად მოიცავს რამდენიმე სახის დავას. ესენია:

1) ტერიტორიული დავები

როგორც წესი იგი მოიცავს უთანხმოებას სახმელეთო ან საზღვაო ტერიტორიის საკუთრებაზე ან კონტროლზე, მაგალითისთვის ყარაბაღის სადავო ტერიტორია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

2) საზღვაო ტიპის დავები

ერებს შეუძლიათ დაადასტურონ მათი საზღვრების ზუსტი ადგილმდებარეობა, ე.წ. დემარკაციის მეთოდით. რისი ნათელი მაგალითიცაა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი ქაშმირის სასაზღვრო ტერიტორიის გამო. ორივე მხარის განცხადებით კი ეს სადავო ტერიტორია, ხშირად იწვევს სამხედრო შეტაკებებსა და დიპლომატიურ დაძაბულობას.

2) დავები რესურსების შესახებ

მარტივად რომ ვთქვათ, წარმოადგენს რა უთანხმოებას ბუნებრივი რესურსების კონტროლზე ან ექსპლუატაციაზე, როგორიცაა ნავთობი, გაზი, წყალი. მაგ. ეთიოპიას, სუდანსა და ეგვიპტეს შორის დავა მდინარე ნილოსზე დიდი ეთიოპიის რენესანსის კაშხლის გამო არის ამჟამინდელი დავა, სადაც ქვედა დინების სახელმწიფოები შიშობენ, რომ კაშხალი გავლენას მოახდენს მათ წყალმომარაგებაზე.

4) დიპლომატიური დავები

დიპლომატიური დავები წარმოიქმნება საგარეო, სავაჭრო პოლიტიკასა და

დიპლომატიურ ურთიერთობებში. მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და ირანს აქვთ დიპლომატიური დავების ხანგრძლივი ისტორია, მათ შორის უთანხმოება ირანის ბირთვულ პროგრამასა და სანქციებთან დაკავშირებით.

5) სამართლებრივი დავები

ამ დროს სახელმწიფოებს შეუძლიათ იდავონ საერთაშორისო სამართლის ან საერთაშორისო სასამართლოების იურისდიქციის ინტერპრეტაციებზე. მაგალითად, ქვეყნებმა შეიძლება მიმართონ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ხელშეკრულებების, საზღვრების ან ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად.

2.ომის ცნება, არსი და გადაჭრის გზები

ომი-ეს არის სახელმწიფოებს შორის კონფრონტაციის გადაწყვეტა სამხედრო ძალის გამოყენების გზით. მეომარი მხარეები ერთმანეთს შეიარაღებული ძალებით უპირისპირდებიან. გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს გადაუჭრელი და შეუთანხმებელი საკითხები სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: პოლოტიკა, ეკონომიკა, რელიგია, ტერიტორია და კიდევ მრავალი საკითხი. მთავარი განმასხვავებელი ომსა და შეიარაღებულ კონფლიქტს შორის არის ის რომ, ომის მასშტაბი ბევრად უფრო ფართოა. აგრეთვე, ომი შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული და მსოფლიო.

ჩვენი განსახილველი თემა ძირითადად შეეხება მსოფლიო ომებს, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე. საერთაშორისო სამართალში ომის დაწყებას უწოდებენ აგრესიას, ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორეს საწინააღმდეგოდ. კონკრეტულად, აგრესია არის საერთაშორისო სამართლით აკრძალული პრინციპებიდან ერთ-ერთის ყველაზე მწვავე დარღვევა.

შესაბამისად, ომის დაწყება არის საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევა, რაც შემდგომში იწვევს შესაბამის საერთაშორისო პასუხისმგებლობას.³³

ომის, როგორც საკითხის პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებით აქტუალური გახდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც შეიქმნა ერთა ლიგა, ხოლო მისი მიზანი იყო ომის მშვიდობიანი გზით მოგვარება. საკითხის გადასაჭრელად კი ითვალისწინებდა არბიტრაჟს და მოლაპარაკებებს. კერძოდ, ერთა ლიგამ განსაზღვრა 3 თვე იმისათვის რომ დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთში ეცადათ მშვიდობიანი გზით პრობლემური საკითხის გადაწყვეტა, იმ შემთხვევაში თუ ვერ შეთანხმდებოდნენ დროის ამოწურვისას, მაშინ შეეძლოთ ძალის გამოყენებაზე გადასულიყვნენ. შესაძლოა, ერთა ლიგამ ვერ აგვაცილა მეორე მსოფლიო ომი, მაგრამ იყო გარკვეული დაპირისპირებები რომლებზეც იქონია გარკვეული ზეგავლენა.

დღესდღეისობით ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ 2 საგამონაკლისო შემთხვევაში. პირველ რიგში თავდაცვის მიზნით და ჰუმანიტარული ინტერვენციით. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ რომ აუცილებელია დაცულიყ იყოს თანაბომიერების პრინციპი და მისი თითოეული კრიტერიუმები.

ომი დღესდღეისობით რჩება კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად, მაგრამ საერთაშორისო სამართალი გვთავაზობს რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებას იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული.

დიპლომატიური შეთანხმებები -სახელმწიფოებს შორის გარკვეული კონსენსუსის მიღწევა და ერთმანეთისათვის პირობების დადგენა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამხედრო ძალის გამოყენება.

³³ ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი 4

საერთაშორისო სამართლის გაძლიერება -პირდაპირ კავშირშია ომის შემცირებასთან, ვინაიდან რაც უფრო მეტი სახელმწიფო გაწევრიანდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მით უფრო მარტივი იქნება მოლაპარაკებების წარმოება.

დემილიტარიზაცია - რაც შეიძლება უნდა შეიზღუდოს სამხედრო სექტორის გავლენა, როგორც სახელმწიფოებზე, ასევე ადამიანებზე. ხოლო ყველა ეს რესურსი ნდა მოხმარდეს სამოქალაქო მიზნებს. სამხედრო ძალების შემცირება, განაიარაღება, სამხედრო ხარჯების შემცირება და როგორც აღვნიშნე იარაღის ინდუსტრიის სამოქალაქო მიზნებისათვის გარდაქმნა.

მშვიდობიანი განათლების ხელშეწყობა - ძალადობა, კონფლიქტი. განსაკუთრებით ომი ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე. იუნესკოს ორგანიზაციის დასკვნით ბავშვების და ახალგაზრდების სწორი განათლება ხელს უშლის კონფლიქტებს და ხელს უწყობს მშვიდობას. განათლებას შეუძლია შეამსუბუქოს დაძაბულობა, რაც უმეტესწილად კონფლიქტის ცენტრია. სწორედ ამიტომ აუცილებელია მშვიდობიანი განათლების პოლიტიკისა და პროგრამების ინტეგრაცია.

3.დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი

საერთაშორისო დავის წარმოშობის შემთხვევაში ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავი შეიკავოს რა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ძალის გამოყენებისგან, შესაბამისად მათ რჩებათ ერთადერთი გზა, მიმართონ მხოლოდ დავის გადაწყვეტის მშვიდობიან საშუალებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აგრესორი მხარე სცილდება რა აგრესიის მასშტაბებს, მკაცრად არღვევს საერთაშორისო სამარ-

თლის სფეროს რეგულირებად ნორმებსა და პრინციპებს. ამ შემთხვევაში აგრესორი მხარის შესაჩერებლად აუცილებელიც კია გამოყენებული იქნეს მთელი რიგი სანქციები რაც შეზღუდავს მათ ქმედებებს ან აიძულებს თუნდაც მესამე მხარეს შეწყვიტოს აგრესორი მხარის მხარდაჭერა მთელი რიგი საშუალებების გზით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთაშორისო დავების გადაჭრაში, ხელს უწყობს ერებს შორის კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას სხვადასხვა პრინციპებისა და მექანიზმების მეშვეობით. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ავალდებულებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას. საინტერესოა, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული სამშვიდობო გზები სახელმწიფოთაშორისი დავების გადაჭრისა. კერძოდ, ესენია:

უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება

ყველაზე ეფექტური საშუალებაა სახელმწიფოთაშორისი დავების გადაჭრისა.

მას მეტწილად ახორციელებს სახელმწიფოთა მეთაურები. თუმცა უფრო ხშირად სპეციალური დელეგაციების და ნოტების, მემორანდუმების ურთიერთგაგზავნით, სახელმწიფოს მეთაურის მიმართებით მოდავე სახელმწიფოსადმი.

5 შუამავლობა და კეთილი სამსახური

მხარეთა სადავო ურთიერთობებში მესამე სახელმწიფოს ჩარევას, რომელიც ხელს უწყობს მხარეთა კონტაქტების დამყარებას, გადასცემს ერთი მხარის პრეტენზიებს და წინადადებებს მეორე მხარეს დავის გადაწყვეტაში არსებითი ჩარევის გარეშე, ეწოდება კეთილი

სამსახური. ხოლო მესამე სახელმწიფოს აღჭურვას უფლებით თავად წარუდგინოს მხარეებს დავის გადაწყვეტის პირობები, განახორციელოს მხარეთა შორის მოლაპარაკების მსვლელობის ხელმძღვანელობა შუამავლობა ეწოდება.

საგამომძიებლო და შემთანხმებელი კომისიები

აღნიშნული ორგანოები მოწოდებულია დაეხმაროს მოდავე სახელმწიფოებს დაკავშირებული საკითხების დეტალურ შესწავლაში. საგამომძიებლო კომისია ამოწმებს მხოლოდ ფაქტებს და მოახსენებს მხარეებს ამ შემოწმების შედეგებს. შემთანხმებელი კომისია კი არა მარტო ადგენს ფაქტებს, არამედ შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებს.

საერთაშორისო არბიტრაჟი (სამედიატორო სასამართლო)

რაც შეეხება საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს. იგი იქმნება მხარეთა მოთხოვნით, შეთანხმების ე.წ. „კომპრომისის“ საფუძველზე და წარმოადგენს დროებით ორგანოს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათს ატარებს და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საქმის გადასინჯვა კი შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში.“

საერთაშორისო სასამართლო

საერთაშორისო სასამართლო მუდმივი ორგანოა და იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. პირველად საერთაშორისო სასამართლო შეიქმნა 1921 წელს, ერთა ლიგის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათის მატარებელია, ემსახურება მშვიდობისა და ხალხთა შორის უშიშროების დაცვას.

მაგალითი

საერთაშორისო სამართლის ისტორიაში საინტერესოა სახელმწიფოთაშორისი დავის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი მაგალითი. კერძოდ, 1998 წელს დაწყებული ეთიოპია-ერიტრეის კონფლიქტი, რომელიც 2018 წელს შეჩერდა. 2019 წლის 11 ოქტომბერს ეთიოპიის პრემიერ-მინისტრი აბი აჰმედ ალი კი დააჯილდოვეს ნობელის პრემიით მშვიდობის განმტკიცების დარგში, რადგან მეზობელ ერიტრეასთან სასაზღვრო კონფლიქტთან დაკავშირებული ოცწლიანი დაძაბულობა დაასრულა. ეწვია რა ერიტრეის პრეზიდენტ აფვერკს და მასთან ერთად გამოაცხადა დიპლომატიური, სავაჭრო და სამოგზაურო კავშირების განახლება ამ ორ სახელმწიფოს შორის.³⁴

4.სამხედრო/ომის დანაშაული

სამხედრო დანაშაული მთელი თავისი არსით წარმოადგენს რა დანაშაულის სახეს, რომელიც ჩადენილია შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას. სამხედრო დანაშაულები ძირითად შემთხვევაში არღვევენ ომისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კანონებსა და ნორმებს. მეტწილად მსგავსი დანაშაულები ჩადენილია არამებრძოლი, სამოქალაქო და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. სამხედრო დანაშაულებანი მოიცავს: მკვლევობებს, წამებას, გაუპატიურებას, მძევლად აყვანასა, იძულებით შრომას და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო დანაშაულების ჩამდენ პირთა გასასამართლებლად იქმნება ე.წ. სამხედრო სასამართლოები, ტრიბუნალების სახით. მაგალითად 1992 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნა ჰააგის სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი ბოსნია-ჰერ-

³⁴ <https://en.wikipedia.org/wiki/AbiyAhmed>

ცოგოვინაში ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამრღვევთა სასამართლო დევნის მიზნით. ასეთივე ტრიბუნალი შეიქმნა რუანდაში გენოციდის ჩამტარებელთა დაკავების მიზნით 1993 წელს.³⁵

ახლა კი რაც შეეხება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც უშუალოდ ეხება სამხედრო დანაშაულებს.

1. 1968 წლის 26 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ომის დანაშაულების და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის დროებითი შეზღუდვების უზრუნველყოფა. ეს ნიშნავს, რომ პირები, რომლებიც ჩაიდენენ ასეთ სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულს, ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას მხოლოდ იმიტომ, რომ დანაშაულის ჩადენიდან ძალიან დიდი დრო გავიდა.

2. 1949 წლის 12 აგვისტოს მიღებულ იქნა ჟენევის ოთხი კონვენცია. ჟენევის კონვენციების შემუშავებამ შესაძლებელი გახადა სამხედრო დანაშაულების მასშტაბების გარკვევა. ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, განსაზღვრავენ ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობის წესებს და იცავენ იმ პირთა უფლებებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში.

ჟენევის კონვენციების შექმნაში აღსანიშნავია, რომ დიდი წვლილი მიუძღვნის წითელი ჯვრის დამაარსებელ ანრი დიუნანს. 1859 წელს საქმიანი მოგზაურობისას იტალიაში სოლფერინოს ბრძო-

³⁵ ლევან ლექსიძე, გამომცემლობა „იურისტთა სამყარო“, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი-162 გვ. 2015 წელი.

ლის შედეგების ხილვით შეძრწუნებულს სურდა სახელმწიფოთა მოწვევა ისეთი ხელშეუხებელი საერთაშორისო პრინციპის შესაქმნელად, რომელსაც კონვენციით გათვალისწინებული სანქციები გაუმაგრებდა ზურგს და იქნებოდა ბრძოლის ველზე დაჭრილთა იურიდიული დაცვის გარანტი.³⁶

5. ჟენევის კონვენციები³⁷

ჟენევის პირველი კონვენცია–მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ, იკრძალება სამხედრო ნაწილების დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების, სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიან მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფა და მათი წამება. აღნიშნული პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სათანადო სამედიცინო მომსახურებითა და მოვლით.

ჟენევის მეორე კონვენცია–ეხება, ზღვაში შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის დაღუპვის შედეგად წყალში აღმოჩენილ პირთა ბედის გაუმჯობესებას.

ჟენევის მესამე კონვენცია–ეხება ტყვეთა რეჟიმს, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, სამხედრო ტყვეობაში აღმოჩენილ პირებს, განსაზღვრულია, რომ ზემოაღნიშნულ პირებს უნდა მოეპყრონ ჰუმანურად, დაიცვან მათი ღირსება, უზრუნველყონ შესაბამისი საკვე-

³⁶https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

³⁷https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

ბით. დაუშვებელია ტყვეების წამება, მათზე ძალადობა და შეურაცხყოფის მიყენება.

კონვენციის თანახმად, ანალოგიური მოპყრობაა განსაზღვრული იმ პირობათვის, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდში, მათი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, მაგალითად ჟურნალისტები და ექიმები.

ჟენევის მეოთხე კონვენცია-ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, ფოკუსირებულია ომის დროს სამოქალაქო პირების უფლებების დაცვაზე. კონვენციის თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა, ყოველთვის უნდა განასხვავონ ერთმანეთისგან სამხედრო პირები და მშვიდობიანი მოსახლეობა. მხარეებმა ყველა ძალისხმევა უნდა გამოიყენონ, რათა კონფლიქტის მიმდინარეობის მიუხედავად, სამოქალაქო პირებს შეუნარჩუნდეთ ნორმალური ცხოვრების პირობები, დაცულნი იყვნენ სიცოცხლის ხელყოფის, წამების, ძარცვის, რეპრესიებისა და ტყვეობისაგან.

რომის სტატუტმა დააარსა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC). იგი მიღებულ იქნა დიპლომატიურ კონფერენციაზე რომში, იტალიაში, 1998 წლის 17 ივლისს და იგი ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 123 სახელმწიფოა მიემხრო აღნიშნულ წესდებას.

სწორედ ამ რომის წესდებამ დაადგინა ოთხი ძირითადი საერთაშორისო დანაშაული: **გენოციდი, დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულები და აგრესიის დანაშაულები**, რომლის დეფინიციაც განისაზღვრა 2010 წლის განხილვის კონფერენციაზე კამპალაში, უგანდაში. რომის წესდების მიხედვით, ICC-ს შეუძლია გამოიძიოს ოთხი ძირითადი საერთაშორისო დანაშაული მხოლოდ იმ სიტუაციებში, როდესაც სახელმწიფოებს თავად „არ შეუძლიათ“ ან „არ სურთ“ ამის გაკეთება.

6. ნიურნბერგის პროცესი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მთავარი გერმანელი დამნაშავეების გასამართლება დაიწყო საერთაშორისო ტრიბუნალმა. ხოლო შემადგენლობა იყო აშშ, რუსეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. მათ გერმანია დამნაშავედ სცნეს აგრესიული ომის მომზადებასა და წარმოებაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არის ის, რომ მსოფლიოში პირველად განხორციელდა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის.

პირველად იქნა აღიარებული აგრესია როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული და პასუხისმგებლობა დაეკისრა გერმანიას აგრესიული ომის გაჩაღებისთვის. სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი პრინციპს რომლის მიხედვითაც პირი არ თავისუფლდება დანაშაულებრივი პასუხისმგებლობისგან თუ ის დანაშაულებრივ ბრძანებას.

სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად 1968 წლის გაეროს მიერ მიღებულ კონვენციას „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ.“

დასკვნა

საბოლოო ჯამში, ჩვენი ნაშრომის მიზანი გახლდათ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სახელმწიფოთაშორისი დავების გადაჭრის საშუალებების წარმოჩენა. თუმცა, ეს საკითხი ყოველთვის აქტუალურ-

ია და მოითხოვს ახალი გზების ძიებასა და აღმოჩენას, რადგან დღევანდელობაში ვხვდებით, რომ ის დანიშნულებას ეფექტურად ვერ ასრულებს. მაგალითად კი შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთ-უკრაინის ან პალესტინა-ისრაელის მაგალითი. დამატებით, ომი მხოლოდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება არ არის, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. აგრესიას მოჰქონდა, მოაქვს და მოიტანს უდიდეს ზიანს კაცობრიობისთვის. სანამ არ აღმოაჩენენ ისეთ გზას, რომელიც მოგვცემს და მისცემს სახელმწიფოებს შესაძლებლობას თავიანთი ნებისმიერი სახის კონფლიქტი ცივილურად, შეიარაღებული ძალების გამოყენების გარეშე გადაწყვიტონ.

ბიბლიოგრაფია

1. ლევან ალექსიძე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“-თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 37 გვერდი, 2015 წელი.
2. ლევან ლექსიძე, გამომცემლობა „იურისტთა სამყარო“, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი-162 გვ. 2015 წელი.
3. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი
4. <https://en.wikipedia.org/wiki/AbiyAhmed>
5. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
6. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

გიორგი ნიკლაური

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
ტურიზმის საბაკლავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

მანანა ალადაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
პროფესორი

ეკოტურიზმი, ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველი

ანოტაცია

ნაშრომში ეკოტურიზმის მნიშვნელობა განხილულია, როგორც მდგრადი განვითარების საფუძველი.

ეკოტურიზმი მიჩნეულია ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძვლად. ეკოსისტემის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება მნიშვნელოვანია, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი თაობების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეკოლოგიური ტურიზმი მდგრადი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება ისეთმა ფაქტორებმა გამოიწვია, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, ოზონის სფეროს რღვევა, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, სასმელი წყლის დეფიციტი, ბიოსფეროში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ცვალებადობა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. ეკოტურისტების მიერ გარემოს ათვისებულობის ხარისხიც საკმაოდ მაღალია და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს

ეკოტურისტების მიერ ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების დანერგვა. საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ეკოტურისტების მიერ ტერიტორიების გამოყენების ზღვრული დატვირთულობა და ტერიტორიის რეკრეაციული შესაძლებლობების გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგვცემს გამოითვალოს ვიზიტორთა რაოდენობა, რომელიც ნაკლები ზიანის მომტანია დაცული ტერიტორიებისათვის. ტურისტული ობიექტების რეკრეაციული შესაძლებლობების გაანგარიშებით შეგიძლიათ მართოთ რესურსების გამოყენება და განსაზღვროთ სისტემის ინფრასტრუქტურული განვითარების საჭიროებები.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, მდგრადი ტურიზმი.

ეკოტურიზმი, ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველი

ეკოტურიზმი მიჩნეულია ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძვლად. ეკოსისტემის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება მნიშვნელოვანია, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი თაობების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეკოლოგიური ტურიზმი მდგრადი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება ისეთმა ფაქტორებმა გამოიწვია, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, ოზონის სფეროს რღვევა, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, სასმელი წყლის დეფიციტი, ბიოსფეროში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ცვალებადობა.

აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. მაგრამ ეკოტურისტების მიერ გარემოს ათვისებულობის ხარისხიც საკმაოდ მაღალია, აუცილებელია ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების დანერგვა. საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ეკოტურისტების მიერ ტერიტორიების გამოყენების ზღვრული დატვირთულობა და ტერიტორიის რეკრეაცი-

ული შესაძლებლობების გამოთვლა. ეს საშუალებას მოგვცემს გამოითვალოს ვიზიტორთა რაოდენობა, რომელიც უსაფრთხოა დაცული ტერიტორიებისათვის. ტურისტული ობიექტების რეკრეაციული შესაძლებლობების გაანგარიშებით შეგიძლიათ მართოთ რესურსების გამოყენება და განსაზღვროთ სისტემის ინფრასტრუქტურული განვითარების საჭიროებები.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, განხილული და გაანალიზებული იქნეს ეკოტურიზმი, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველი, და მოცემულია მდგრადი განვითარების ძირითადი კონცეფციები.

ეკოლოგიური ტურიზმი გვევლინება, როგორც ტერიტორიების მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი. ამ კონცეფციის განმარტება შემოგვთავაზა სხვადასხვა ავტორმა და ორგანიზაციამ, მათ შორის არის: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO, 1994), ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUNC, 1996), ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოება (TIES, 1991).

ეკოლოგიური ტურიზმის კონცეფცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ეკოტურისტული ტერიტორიების ბუნების, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის, კულინარიისა და წეს-ჩვეულებების გაცნობა;
- ბუნებისა და ადგილობრივი კულტურული და სოციალური გარემოს დაცვის ხელშეწყობა;
- ეკოტურიზმში მონაწილეთა (ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა) გარემოსდაცვითი განათლება;
- მონახულებული რეგიონების წვლილი მდგრად განვითარებაში; ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდა.

მდგრადი განვითარება არის ცვლილებების პროცესი, რომელიც ინვესტიციების მიმართულება რესურსების ექსპლუატაცია, სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების ორიენტაცია და ინსტიტუ-

ციური ცვლილებები ერთმანეთს უერთდება და აძლიერებს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს სამი მიდგომის გამოყენებას: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი (UN Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992). მდგრადი განვითარების კონცეფციის ეკონომიკური მიდგომა დამყარებულია ჰიქს - ლინდალის თეორიას მაქსიმალური შემოსავლის ნაკადის შესახებ (შეზღუდული რესურსების ოპტიმალური გამოყენება და ეკოლოგიურად სუფთა რესურსების გამოყენება). განვითარების მდგრადობის სოციალური კომპონენტი ადამიანზე ორიენტირებული და მიზნად ისახავს სოციალური და კულტურული სისტემების სტაბილურობის შენარჩუნებას, მათ შორის ადამიანთა შორის დესტრუქციული კონფლიქტების რაოდენობის შემცირებას. ეკოლოგიური თვალსაზრისით, მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური და ფიზიკური ბუნებრივი სისტემების მთლიანობა. განვითარების მდგრადობის სოციალური კომპონენტი ადამიანზე ორიენტირებული და მიზნად ისახავს სოციალური და კულტურული სისტემების სტაბილურობის შენარჩუნებას, მათ შორის ადამიანთა შორის დესტრუქციული კონფლიქტების რაოდენობის შემცირებას. სასურველია კულტურული კაპიტალისა და მრავალფეროვნების გლობალური მასშტაბის შენარჩუნება, ასევე არადომინანტურ კულტურებში არსებული მდგრადი განვითარების პრაქტიკის უფრო სრულად გამოყენება. ეკოლოგიური თვალსაზრისით, მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური და ფიზიკური ბუნებრივი სისტემების მთლიანობა. მდგრადობის განვითარება მთლიანად ადამიანზე ორიენტირებული და მიზნად ისახავს კულტურული და სოციალური სისტემების სტაბილურობის შენარჩუნებას. სასურველია კულტურული კაპიტალისა და მრავალფეროვნების გლობალური მასშტაბის შენარჩუნება, ასევე არადომინანტურ კულტურებში არსებული მდგრადი განვითარების პრაქტიკის უფრო სრულად გამოყენება.

ეკოტურიზმსა და მდგრად განვითარებას შორის არსებობს შემდეგი კავშირი:

- **გაცნობიერებულობა (Awareness):** ტურიზმი საშუალებას აძლევს ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას გაეცნონ გარემოსდაცვით საკითხებს და კულტურათაშორის სხვაობებს, შედეგად - შეცვალოს მათი დამოკიდებულება მდგრადობის საკითხებზე არა მხოლოდ მოგზაურობის დროს, არამედ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- **დამოკიდებულება (Dependency):** ტურიზმი დაფუძნებულია იმ ვიზიტორთა მოთხოვნებზე, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელუხლებელი და სუფთა გარემოს გაცნობით და შენარჩუნებულია კულტურული ტრადიციები.

- **ურთიერთქმედება (Interaction):** ტურიზმი დაფუძნებულია ახალი, ავთენტური დანიშნულების ადგილების გაცნობაზე, რაც ნიშნავს ვიზიტორების მიერ ადგილობრივ საზოგადოებასა და გარემოს შორის ურთიერთქმედებით პირდაპირი და ირიბი თანხების გენერირებას.

სამწუხაროდ, ბუნებაში ტურისტული მარშრუტების შედგენისას, ისეთი ცნებები, როგორიცაა: ბუნებრივი ტერიტორიული კომპლექსის სტაბილურობა (ბღვრული დატვირთულობა) და ტერიტორიის რეკრეაციული შესაძლებლობები (მაქსიმალური, დასვენების სახეობების გათვალისწინებით, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად შეიძლება იყვნენ ტერიტორიაზე ტერიტორიების დეგრადაციის გამოწვევის გარეშე). არარეგულირებადი გამოყენების შედეგად ხდება ეკოსისტემების დეგრადაცია და მათი ტურიზმის ობიექტად გამოყენება შეუძლებელი ხდება. ასეთ პირობებში მხოლოდ მომენტალურ შემოსავალზე შეიძლება საუბარი და ამ საწარმოების ეკონომიკური ეფექტურობა ძალზე საეჭვოა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიგოგიძე ხ. ეკოტურიზმი - საქართველოს უნიკალური პერსპექტივა. გზა. <http://gza.kvirispalitra.ge/qveyana/4066-ekoturizmi-saqarthvelos-unikaluri-perspeqtiva.html> (10.07.2019)
2. ჩითანავა მ. ბიოსფერული რეზერვატი – მოდელი რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის. ISET Economist Blog. <https://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/biosperuli-reservati-modeli-regionis-mdgradi-ganvitarebistvis>, 2018
3. Морошкина М.В. Туристский рынок как фактор привлекательности территории: сравнительный анализ России и Финляндии // Экономические отношения. – 2018. – № 4. – с. 521-538. – doi: 10.18334/eo.8.4.39464
4. Дежкин В. В., Борейко В. Е., Данилина Н. Р. и др. Заповедная природа: для нас и потомков. М.: ЛОГАТА, 2000.-176 с
5. The International Ecotourism Society. <https://ecotourism.org/ties-overview/> (5.11.2019)
6. The World Tourism Organization. 2019. Tourism: A Global Force For Growth And Development - UNWTO Executive Council meets in Baku. *საქა.* <https://centreforaviation.com/members/direct-news/tourism-a-global-force-for-growth-and-development---unwto-executive-council-meets-in-baku-478786> (18.12.2019)

ლუკა ლაგურაშვილი

ელენე ჩოკორაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
სტუდენტები

ხელმძღვანელი:

დავით გიფარიძე

საერთაშორისო სამართლის დოქტორი

**საერთაშორისო სანქციები და მათი
აღუსრულებლობის საკითხი თანამედროვე
ტექნო-პროგრესის ხანაში**

ანოტაცია

ნაშრომში განხილულ იქნება საერთაშორისო სამართალში ფართოდ გაცრელებული პრაქტიკა სანქციების შესახებ. მათი სამართლებრივი ბუნება სხვადასხვა სხვადასხვა ეპოქის მიხედვით - საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე. მართალია, საქართველოს არ უგემია მძიმე საერთაშორისო ტიპის სანქციები, თუმცა თანამედროვე ტენდენციების მიხედვით, როდესაც საქართველო ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების პარტნიორ ქვეყანად ყალიბდება და ევროპერსპექტივები თანდათან უფრო რეალური ხდება, საჭიროა ვიცოდეთ, რას ნიშნავს საერთაშორისო პრაქტიკით სანქციები და ამასთანავე, საჭირო იქნება, ევროკავშირის ღირებულებების გაზიარება იმ ფარგლებში, რომლებიც სამართლებრივ კონტრავერსიულობასა და კონფლიქტს არ გამოიწვევს ქვეყანათა შორის. ეპოქათა ცვლილების, კულტურული ღირებულებების და სხვადასხვა ძვრების

შედგად, იცვლება სანქციების ფორმაც. ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო სანქციები და მათი აღუსრულებლობის საკითხი თანამედროვე ტექნო-პროგრესის ხანაში.

თავი 1. სანქციების პრეისტორია

1.1 საერთაშორისო სამართლის აღსრულება

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები წარმოუდგენელი არსებობდეს საერთაშორისო სამართლის გარეშე, თუმცა თავის მხრივ საერთაშორისო სამართალშიც, სადაც სუბიექტებად სახელმწიფოები გვევლინებიან, არსებობს სანქციები, რომელთა გამოყენებასაც გვერდს ვერც ერთი ქვეყანა ვერ აუვლის იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ღირებულებისა თუ პრინციპის დაცვა. სანქციები ზეწოლის განხორციელებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით გამოიყენება.

1.2 ერთა ლიგა და "ეფექტური კოლექტიური ზომების" სიმცირე

ერთა ლიგა (League of Nations) შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რათა თავიდან აეცილებინა მომავალი ომები და უზრუნველყო საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. ერთა ლიგის ძირითადი მიზანი იყო საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარება და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, სადაც მშვიდობის დამრღვევნი ერთიანი ძალებით უნდა დაესაჯათ.

თუმცა, ერთა ლიგა რამდენიმე ძირითად პრობლემას წააწყდა, რაც ხელს უშლიდა "ეფექტური კოლექტიური ზომების" მიღებას: პოლიტიკური ნება და ერთსულოვნება; ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოებს ხშირად აკლდათ პოლიტიკური ნება და ერთსულოვნება, რათა აგრესიის შემთხვევაში გადაედგათ კოლექტიური ზომები. ეს ხშირად გა-

მოწვეული იყო განსხვავებული ეროვნული ინტერესებითა და პრიორიტეტებით. დასჯის მექანიზმების სიმცირე; ერთა ლიგას არ ჰქონდა ეფექტური მექანიზმები და საშუალებები, რათა დაესაჯა აგრესორი სახელმწიფოები. სანქციები და ეკონომიკური ზეწოლა ხშირად საკმარისი არ იყო, რათა შეეჩერებინა აგრესიული ქმედებები. თავდაცვის სისტემის სისუსტე; ერთა ლიგა არ ფლობდა საკუთარ შეიარაღებულ ძალებს და მთლიანად დამოკიდებული იყო წევრ სახელმწიფოებზე, რათა სამხედრო ზომები გაეტარებინა. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ლიგის შესაძლებლობა, აგრესიული ქმედებების შეჩერება. გლობალური პოლიტიკური ძალთა ბალანსი; მსოფლიო სავალალო ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით 1930-იან წლებში, ართულებდა საერთაშორისო თანამშრომლობას და ეფექტური კოლექტიური ზომების მიღებას. იმ პერიოდში, ბევრი სახელმწიფო იცავდა იზოლაციონისტურ პოლიტიკას, რაც ართულებდა ერთა ლიგის მიზნების მიღწევას. მნიშვნელოვანი სახელმწიფოთა პასიურობა; ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოები, როგორიც იყო შეერთებული შტატები, არასოდეს ყოფილა ერთა ლიგის წევრი. ეს სერიოზულად ასუსტებდა ლიგის ავტორიტეტს და ეფექტურობას. ასევე, საბჭოთა კავშირი და გერმანია მხოლოდ მოგვიანებით შეუერთდნენ ლიგას.

ერთა ლიგაში გათვალისწინებული არ იყო სანქციების გამოყენების მექანიზმი, ამიტომ ეს ტერმინი არც გაეროს წესდებაშია დაფიქსირებული. მის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „ეფექტური კოლექტიური ზომები“ და „პრევენტიული, ან იძულებითი ზომები“.

1.3 სანქციების ევოლუცია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო

სანქციები დროთა განმავლობაში განვითარდა, რაც გამომდინარეობს გლობალური დინამიკიდან და ტექნოლოგიური წინსვლიდან. თავდაპირველად სანქციები ძირითადად პოლიტიკური იყო და მიზნად

ისახავდა ზეწოლას მიზანმიმართულ მთავრობებზე დიპლომატიური იზოლაციის ან საჯარო დაგმობის გზით, მაგალითად; დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას, გაეროს წევრობის შეჩერებას, გაეროდან ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკონომიკურად უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული გახდა, ეკონომიკური სანქციები მძლავრ ინსტრუმენტად იქცა. ეს სანქციები მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის დაშლას ვაჭრობის, ინვესტიციების და ფინანსური ოპერაციების შეზღუდვით, მაგალითად; ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის სრულ გაწყვეტა, შერჩევით ემბარგოს საქონლის იმპორტსა და ექსპორტისას.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სამხედრო სანქციებმა დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ეს ზომები გულისხმობს ძალის გამოყენებას ან ძალის მუქარას საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის იძულებით, მაგალითად; კოლონიური სადამსჯელო ექსპედიციები, რომლებსაც არასდროს ცნობდა საერთაშორისო სამართალი, ის თავისი არსით სამხედრო სანქცია იყო.

1.4 სანქციების ეფექტურობა: ფოკუსირება დემოკრატიებზე

ბევრ მკვლევარს მიაჩნია, რომ სანქციები უკეთ მუშაობს იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, სადაც დემოკრატიის ხარისხი უფრო მაღალია. ეს იმიტომ ხდება, რომ ამგვარ ქვეყნებს აქვთ უფრო ღია და გამჭვირვალე პოლიტიკური სისტემა. ისინი ასევე უფრო რეაგირებენ საზოგადოებრივ აზრზე. ამიტომ სანქციებმა შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ზეწოლა დემოკრატიულ მთავრობებზე, რათა შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა. სანქციები ასევე შეიძლება იყოს უფრო ეფექტური დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, რადგან ისინი უფრო მეტად არიან დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე

და ფინანსებზე. ამიტომ ეს ქვეყნები უფრო დაუცველები არიან ეკონომიკური სანქციების მიმართ.

სწორედ ამიტომ გაუძლეს სანქციებს ათწლეულების განმავლობაში ისეთმა დიქტატორული გავლენის მქონე ქვეყნებმა, როგორებიც გახლავთ კუბა და ჩრდილოეთ კორეა, ხოლო სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა მხოლოდ პირდაპირი ინტერვენციის გზით გახდა შესაძლებელი.

1.4.1 სანქციების წარმატება: აპარტიდის შემთხვევა სამხრეთ აფრიკაში

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტიდის რეჟიმის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების წარმატების განხილვა მნიშვნელოვან გაკვეთილს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში. აპარტიდის სისტემა, რომელიც რასობრივ დისკრიმინაციაზე იყო დაფუძნებული, 1948 წელს ამოქმედდა და 1990-იან წლებამდე გაგრძელდა. საერთაშორისო საზოგადოება მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა ამ სისტემის დანგრევას სხვადასხვა ხერხით, მათ შორის სანქციების დაწესებით. საბოლოოდ სანქციებმა და საერთაშორისო ზეწოლამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხრეთ აფრიკის ეკონომიკაზე და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ქვეყნის იზოლაციამ და მზარდმა შიდა და გარე პროტესტებმა აიძულა სამხრეთ აფრიკის ხელისუფლება დაეწყოთ მოლაპარაკებები ოპოზიციასთან.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი კარინ კნაისლი აცხადებდა, რომ სინამდვილეში სანქციები ეფექტიანი ისტორიაში მხოლოდ ერთადერთხელ იყო, როდესაც 1980-იანი წლების ბოლოს 25-მა დასავლურმა ქვეყანამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას აპარტიდის გაუქმება (1994 წელს) აიძულა. რასობრივი პოლიტიკის მიუხედავად, იქ დემოკრატიული ინსტიტუტები განვითარებული იყო.

1.5 სანქციების რაობა

სანქციების წარმატების ცხადი წინაპირობაა მათი ერთდროულად ამოქმედება მაქსიმალურად მეტი სახელმწიფოს მხრიდან, ისე რომ სანქციის მისამართ ქვეყანას ეკონომიკური მანევრის საშუალება არ დარჩეს. მაგრამ პრაქტიკაში ეს თითქმის არასდროს ხორციელდება. კუბა, რომლის წინააღმდეგაც აშშ-მ სანქციები ჯერ კიდევ 1960 წელს აამოქმედა, სსრკ-ს მიეკედლა, ჩრდილოეთ კორეა - საბჭოთა კავშირ-სა და ჩინეთს. ირანსაც ჩინეთი დაეხმარა. რუსეთთან თანამშრომლობაზეც მის ეკონომიკურ პარტნიორებს სრულად უარი არ უთქვამთ, მათ შორის ევროკავშირის ყველაზე დიდ ქვეყნებს.

სპეციალისტების თქმით, სანქციები ანტიკური პერიოდიდან არსებობს, მაგრამ მათი მნიშვნელობა გაიზარდა და გასულ საუკუნეში გაჩნდა იმედი, რომ დასჯის ამ მეთოდით კაცობრიობა ომების წარმოქმნას ხელს შეუშლიდა ან სულაც, მათგან გათავისუფლდებოდა.

სანქციების პოლიტიკის გატარება მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთა ლიგამ (გაეროს წინაპარი ორგანიზაცია) დაიწყო. მაშინ ორგანიზაციამ სხვადასხვა მიმართულების სანქციები დაამკვიდრა. არსებობდა იმედი, რომ ამ გზით სახელმწიფოებს საომარ ინსტრუმენტებზე უარს ათქმევინებდნენ და სუფთა ეკონომიკური საშუალებებით ქმედებებს შეაცვლევინებდნენ.

მოგვიანებით სანქციების პოლიტიკა განაგრძო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო), სანქციების შემოღება უშიშროების საბჭოს საქმიანობის ნაწილია. საკუთარი წესები შეიმუშავა ევროკავშირმაც და სანქციები თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტად აქცია.

გაიზარდა ზეწოლის ინსტრუმენტებიც. დიპლომატიურ დონეზე ეს შეიძლება იყოს სავიზო და საკონსულო შეზღუდვები, ასევე სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა; სამხედრო სფეროში თანამ-

შრომლობის შეწყვეტა. სანქციების ამოქმედებით წყდება სავაჭრო ურთიერთობები, ფინანსური მხარდაჭერა, იყინება აქტივები. ეკონომიკურ დონეზე საქმე ეხება საქონელსა და მომსახურებას, კომუნიკაციურ ნაკადებს, მთელ ფინანსურ სფეროს, ანუ ყველაფერს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობას.

ეს პუნქტი განსაკუთრებით ქმედითია, რადგან ეკონომიკური კავშირები მძლავრადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. მაგრამ როდესაც სავაჭრო ნაკადები წყდება, ეს სავაჭრო ჯაჭვის ორივე ბოლოზე აისახება, სწორედ ამიტომ არის ასეთი მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება და კენჭისყრა სანქციების ამოქმედებაზე.

არსებობს ზემოქმედების თეორია, რომლის თანახმად, ეკონომიკური ზიანი შეიძლება პოლიტიკურ დათმობად გარდაიქმნას. ამიტომ, ეკონომიკურ ბემებს განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ ისეთი ადგილების მოსაძებნად, რომ ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის შემდეგ „დამსჯელი“ ქვეყანა „დასასჯელზე“ ნაკლებად დაზიანდეს.

ეკონომიკური საქნციების ორი ქვეტიპი არსებობს: საერთაშორისო ყოვლისმომცველი, საერთაშორისო მიზნობრივი (ჰკვიანი); მათ შორის განსხვავება მკვეთრი და რადიკალურია. აქედან პირველის შემთხვევაში, ეკონომიკური ზარალი და კრიზისი სანქციების ობიექტ სახელმწიფოში მცხოვრებ საზოგადოებას ერთნაირად ეხება, შესამჩნევია ყველა სოციალური ფენისთვის. ხოლო მეორე ტიპის სანქციის ამოქმედებისას გამოწვეულ უარყოფით ეფექტს კონკრეტული პოლიტიკური წრის წარმომადგენლები, მთავრობა ან მთავრობასთან ასოცირებული კომპანიები განიცდიან. ამ სახის სანქცია უშუალოდ აქტივების გაყინვას, მგზავრობასა და ფუფუნების პროდუქციაზე შეზღუდვებს/აკრძალვებს ითვალისწინებს.

სტატისტიკურად, სამიზნე სახელმწიფოზე ზემოქმედებისთვის უმეტეს შემთხვევაში „ჰკვიანური სანქციები“ გამოიყენება, რომლის დროსაც ზუსტად არის განსაზღვრული ზემოქმედების ობიექტიც და სუ-

ბიექტივ. ეკონომიკური სანქციების დროს ხშირია ისეთი ზომების მიღება, როგორიცაა, ამა თუ იმ პროდუქციაზე ვაჭრობის ნაწილობრივი აკრძალვა, თუ სრული ემბარგო.

იძულებითი ზომების სიცოცხლიუნარიანობა და შედეგიანობა რიგ შემთხვევებში, რიგ სახელმწიფოებთან მეტად ეფექტურია, ზოგჯერ კი ნაკლებ ეფექტური. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დიდი და მასშტაბურია სანქციები, რამდენი სახელმწიფო და ორგანიზაციაა ჩართული. სასურველი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ მრავალი ქვეყნის მხრიდან ერთდროულად ამოქმედებული სანქციებია, რაც ზრდის ზემოქმედების ძალას სამიზნე ობიექტზე.

სანქციების მნიშვნელობაზე საუბარს კი გაეროში დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩის ჯერემი გრინსტოკის სიტყვებით დავასრულებ: „სანქციები ეს არის ოქროს შუალედი ფუჭ დეკლარაციებსა და ომის გამოცხადებას შორის“.

თავი 2. საერთაშორისო სანქციები ტექნო-პროგრესის ხანაში

2.1 აღსანიშნავი სანქციები მსოფლიოს უახლეს ისტორიაში

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანამედროვე სამყაროში სანქციების კლასიკური მაგალითები და რაობა, სახეცვლილია. ანტიკურ ხანაში სანქციების პრინციპი, პასუხისმგებლობა, შინაარსი და მოცულობა შუა საუკუნეებისა თუ თანამედროვე მსოფლიოს სანქციათა ტიპებისგან მკვეთრად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პასუხისმგებლობით გათვალისწინებული სანქციები იმპერატიული ხასიათისაა.

სანქციები საკმაოდ გავრცელებული ზომაა საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგრამ ისინი ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება არასასურველი ქვეყნის სრული ან თითქმის სრული იზოლაცია მსოფლიო ერთობისაგან. მაგალითად, ფაშისტური გერმანიის ეკ-

ონომიკურმა ბლოკადამ საკმაოდ საგრძნობი შედეგები გამოიღო და დააჩქარა მეორე მსოფლიო ომის დასრულება. წარსულიდან ჩვენს გარშემო გვახსენდება სსრკ-ს ბლოკადა, ოქროს ბლოკადა, სსრკ-ს საქონლის სრული ბლოკადა, ტექნოლოგიური ბლოკადა, ჯექსონ-ვენის შესწორება, ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი და მრავალი სხვა.

დღესაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის პასუხისმგებლობა დგება, მის მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევის შედეგად, განურჩევლად იმისა, თუ რა მიზეზით წარმოიშვა შესაბამისი ვალდებულება. დარღვევა შესაძლოა მოიცავდეს ერთ ან მეტ ქმედებას ან უმოქმედობას ან მათ ერთობლიობას. მაგალითად ყველაზე აქტუალური უკრაინაში ინტერვენციის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებია. ერთ-ერთი ტიპისაა საავიაციო სანქცია, რომელიც მოიცავს ისეთ პროცედურულ საკითხებს, რომ წესისამებრ რუსეთს არ უნდა შეეძლოს ბოინგების გამოყენება საჰაერო სივრცეში, თუმცა სანქციათა უხეში დარღვევით მაინც იყენებს მათ.

2.2 ციფრული გადახდის სისტემა, როგორც ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგობა

მნიშვნელოვანი მოსაზრება ჩნდება იმის შესახებ საერთოდ ეფექტურია თუ არა, ვისაუბროთ ეკონომიკურ სანქციებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ტექნო-პროგრესის ხანამ გამოიწვია ციფრული ვალუტის შექმნა, რასაც მოჰყვა ნდობაზე დაფუძნებული პლატფორმის გამოყენება, როგორც ვაჭრობის ყველაზე უსაფრთხო საშუალებად მიჩნევა. მაშინ როდესაც არ აკონტოლებს მესამე პირი, როგორც შუამავალი კონკრეტული სხვა პირის ფინანსებს, ანუ ბანკი არ ერთვება საქმეში ან სხვა ინსტიტუცია, ბუნებრივია, უფრო მარტივი ხდება ფუ-

ლის ისე გადინება ქვეყნიდან თუ კონტინენტიდან, რომ იგი რაღარებს მიღმა დარჩეს.

ციფრული გადახდის სისტემა შეიქმნა კრიპტოვალუტებით, რომელიც არ მოითხოვს ისეთ შუამავლებს, როგორებიცაა ცენტრალური ან სხვა ბანკები, ან მთავრობები. ეს ხდება მომხმარებლებისთვის მეტი ანონიმურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ბლოკჩეინის ტექნოლოგია უზრუნველყოფს მანიპულაციისგან მაღალი დონის დაცვას. რამდენადაც ბლოკჩეინი მონაცემთა ბლოკების სერი-აა, ქსელში არის განთავსებული ინფორმაცია ყველა განხორციელებული ტრანზაქციის თაობაზე. კრიპტოვალუტის გაცვლის შემდეგ, მაგალითად, bitcoin-ებით გადახდისას, ოდენობა გადაერიცხება ერთი პირისგან მეორეს. ეს ტრანზაქცია განთავსდება ბლოკჩეინის მონაცემთა ბლოკში. ტრანზაქციის კრიპტოგრაფიული დაშიფვრის გამო, მონაცემების ცვლილება მხოლოდ უკიდურესი სირთულითაა შესაძლებელი. ამასთან, ბლოკჩეინის ასლი განთავსებულია ქსელში მონაწილე ორივე მხარის მიერ, რასაც კვანძი ეწოდება. დღეს, მიმდინარე კრიპტოფასების ნახვა შესაძლებელია კრიპტო ბირჟაზე. თუმცა, ფასი მხოლოდ ხანდახან ინახება ერთ ინდიკატორში. ბევრი ფაქტორი მოქმედებს ამ ინდიკატორზე.

კრიპტოვალუტები არის ციფრული, ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული წმინდად ელექტრონული ვალუტები. ბლოკჩეინი ციფრული რეესტრია, რომელიც იძლევა ყველა ტრანზაქციის ვერიფიცირებისა და ვალიდაციის საშუალებას დეცენტრალიზებულ ქსელში. ტერმინი „კრიპტო“ კრიპტოგრაფიული მეთოდებიდან მომდინარეობს, რომელიც გამოიყენება ქსელზე ტრანზაქციების ვერიფიცირებისთვის. ეს მეთოდები აქრობს ბანკის მსგავსი ცენტრალური შუამავლის საჭიროებას, რომელსაც კრიპტოვალუტის მომხრეები მნიშვნელოვან უპირატესობად მიიჩნევენ. ნაცვლად ამისა, ქსელის ყველა მომხმარებელი იღებს ბლოკჩეინის ასლს. ამრიგად, თუ მომხმარებელი ეცდება

ბლოკჩეინი თავად დაარედაქტიროს ან მოდიფიცირება მოახდინოს, სხვა მომხმარებლები უარყოფენ ამ ვერსიას.

ანალიტიკური ფირმა Chainalysis-ის თანახმად, გლობალურმა უკანონო კრიპტო აქტივობამ 2021 წელს \$14 მილიარდი შეადგინა, რაც მსოფლიო მშპ-ს 0.015%-ს წარმოადგენს. რუსეთის ექსპორტმა ამავე წელს \$500 მილიარდი შეადგინა. ეს მოცულობა მნიშვნელოვნად აჭარბებს თუნდაც ყველაზე მსხვილი კრიპტოვალუტის, ბიტკოინის შესაძლებლობებს. ამასთან, ნებისმიერი აქტივობა ბლოკჩეინების უმეტესობაზე მუდმივ ჩანაწერს ტოვებს.

2.3 ფულის გათეთრება, როგორც სანქციებისთვის თავის არიდების გზა

მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც არსებობს მცირე სივრცე სანქციებისთვის თავის არიდების მცდელობებისთვის. მაგალითად, თუ სანქცირებულ რუსს ან ირანელს სურს რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების საკუთარი ვალუტის ქვეყნიდან გატანა, ამ შემთხვევაში, მას მოუწევს რუსეთში ციფრული აქტივების შეძენა, შემდეგ ამ აქტივების გაყიდვა ტრადიციულ ვალუტაში იმ ქვეყანაში, სადაც ფულის გადატანა სურს. ეს ყველაფერი ფულის მფლობელის გამჟღავნების გარეშე.

თუმცა, ასეთ გათეთრებას მნიშვნელოვანი რისკი ახლავს თან. ბანკნოტისგან განსხვავებით, კრიპტო მონეტა ყველა იმ ადამიანის ციფრულ ანაბეჭდს ინახავს, ვინც მას ოდესმე ფლობდა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ ალფანუმერული მისამართით არის იდენტიფიცირებული, სამართალდამცავი ორგანოები მუდმივად აუმჯობესებენ დანაშაულთან დაკავშირებული მისამართების ამოცნობის უნარს. აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი ფულის გათეთრებისთვის ორ პოპულარულ ბირჟას, Suex-ს და Chatex-ს, მკაცრად არ-

ეგულირებს. დეპარტამენტმა გააფრთხილა კრიპტო ბირჟები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, რომ განაცხადონ საეჭვო ტრანზაქციების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ჯარიმების ფარული საფრთხე ემუქრებათ.

დეცენტრალიზაცია კრიპტოვალუტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობაა. ტრადიციული ფიატის ვალუტებისაგან განსხვავებით, კრიპტოვალუტით ტრანზაქციები არ შეიძლება შეჩერდეს ცენტრალური მხარის ან ხელისუფლების მიერ. ზოგიერთ ქვეყანას აქვს სანქციები აშშ-სა და ევროპის ბევრ ქვეყანაში. რამდენიმე ექსპერტი მიიჩნევს, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ შესაძლოა გვერდი აუაროს საერთაშორისო სანქციებს დეცენტრალიზებული ვალუტების გამოყენებით. რუსეთი და ირანი არის ორი ქვეყანა, რომლებიც ამჟამად მძიმე სანქციების ქვეშ არიან, რომლებსაც მალე შეუძლიათ გამოიყენონ კრიპტო სანქციების გვერდის ავლით.

ბევრ სანქციურ ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს კრიპტოვალუტა ტრადიციული საერთაშორისო საბანკო სისტემების ჩასანაცვლებლად, როგორიცაა SWIFT. საერთაშორისო საბანკო გადარიცხვები არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც სანქცირებული ქვეყნების წინაშე დგას. ცენტრალიზებული გადახდის სერვისები, როგორიცაა Paypal ან Venmo, ასევე ვერ ფუნქციონირებს გარკვეულ ქვეყნებში. ეს გადახდის სერვისები ასევე შეიძლება შეიცვალოს დეცენტრალიზებული კრიპტოვალუტებით.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, როგორც არ უნდა ვისაუბროთ ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე, ვერ აღსრულდება, რადგან ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური ცვლილება სამყაროში, ცვლის საბანკო და ფულის მიმოცვლის სისტემას. 2024 წლის ეკონ-

ომიკური მონაცემებით, ცხადია, რომ სანქციებმა არ იმუშავა ისე, როგორც ეს იყო დაგეგმილი. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ თემის რეგულირებისთვის უფრო დიდი ყურადღების დათმობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალი ველია, საჭიროა ფეხი ავუწყოთ, რადგან მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ იმაზე მომეტებული უსამართლობა, ვიდრე დარეგულირების შემთხვევაში იქნებოდა. ჯერ-ჯერობით კი ამ თემაზე საუბარი, სამწუხაროდ, მცირე მასშტაბებს არ სცდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

გეფერიძე, დ., ნიპარიშვილი, ბ., ლომსაძე, მ., გეგელია, თ., სვიანაძე, გ., ნანდოშვილი, ე., გერმანოზაშვილი, ე., მაჭარაშვილი, ვ., ფიფია, ნ., ყუშიტაშვილი, მ., „მართლსმადნაობა და კანონი N3(55)¹⁷“, 2017.

უცხოურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

Gutmann, J., Neuenkirch, M., Neumeier, F., "The Economic Effects of International Sanctions: An Event Study", Munich, 2021.

<https://www.cesifo.org/en/publications/2021/working-paper/economic-effects-international-sanctions-event-study>
Levy, I, P., "SANCTIONS ON SOUTH AFRICA: WHAT DID THEY DO?", February, 1999.
http://www.econ.yale.edu/growth_pdf/cdp796.pdf

ინტერნეტ წყაროები:

გეფერიძე, დ., „საერთაშორისო სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სამოქალაქო ავიაციის მაგალითზე“, 17 მარტი, 2022.
<https://www.interpressnews.ge/ka/article/701123-saertashoriso->

sankciebi-rusetis-pederaciis-cinaagmdeg-samokalako-aviaciis-magalitze/

Eliot, A, K., Hufbauer, C, G., Oegg, Barbara., "Sanctions"
<https://www.econlib.org/library/Enc/Sanctions.html#:~:text=The%20League%20of%20Nations%20imposed,Ethiopia%20in%201935%20and%201936.>

"Will Russians Use Crypto to Bust Sanctions?" March 24, 2022.
https://www.bloomberg.com/opinion/articles/2022-03-24/will-russians-use-crypto-to-bust-sanctions?utm_campaign=instagram-bio-link&utm_medium=social&srnd=opinion&utm_source=instagram&utm_content=view

ლიზი გომოტიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუენის
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

ნინო მაზიაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუენის
პროფესორი

დაცული ტერიტორიების და ეროვნულ პარკების განვითარება საქართველოში

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ხმელეთის ან წყლის განსაზღვრული ტერიტორია/ტერიტორიები, რომლებიც დაცულ ტერიტორიებადაა გამოცხადებული და სადაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობა მკაცრად არის შეზღუდული. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მის ტერიტორიაზე უამრავი დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 2023 წლის მონაცემებით საქართველოში არის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 13 ეროვნული პარკი, 24 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი და 3 დაცული ლანდშაფტია.

ქვეყნისთვის ამ ტერიტორიებს გარდა ისტორიული და ეკოლოგიური მნიშვნელობისა დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის, კერძოდ, კი ეკოტურიზმის განვითარებაში.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (**The International Ecotourism Society – TIES**) განმარტებით ეკოტურიზმი არის „პასუხისმგებლობით აღსავსე მოგზაურობა ბუნებრივ ზონებსა და რეგიონებში, რომლის დროსაც ხდება გარემოს დაცვა და

რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.”

XXI საუკუნეში, როდესაც მიმდინარეობს ეკოტურიზმის სწრაფი განვითარება, ტურისტული კომპანიები ეკოლოგიას პრიორიტეტად აღიარებენ, რადგანაც ტურიზმი არის ეკონომიკის უმსხვილეს დარგი, ეკოლოგია კი ცენტრალურ ადგილს იკავებს ტურიზმის განვითარებაში.

ეკოტურიზმის ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს. ტურისტული რესურსები განსაზღვრავენ რეგიონში ტურიზმის განვითარებას. ის თავისი ბუნებრივი რესურსებით ეკოტურიზმის განვითარების საფუძველსაც წარმოადგენს.

დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული ფორმაა ეროვნული პარკები. ასეთი პარკები იქმნება ისეთ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ცხოველური ან მცენარეული სამყარო პირვანდელი სახით არის წარმოდგენილი, სადაც გეომორფოლოგიის საარსებო გარემო განსაკუთრებულ ინტერესს უქმნის ტურისტს და განსაკუთრებით ლამაზი ლანდშაფტებია. ქვეყანაში პარკებს ქმნიან საერთაშორისო ორგანიზაციებიც (მაგალითად იუნესკო) სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილების ან მათთან შეთანხმების საფუძველზე.

ეროვნული პარკების ძირითადი ამოცანაა ბუნებრივი უნიკალური კომპლექტების, და სანიმუშო ბუნებრივი ობიექტების დაცვა; მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება და მათთვის კარგი პირობების შექმნა, ახალი მეცნიერული მეთოდების შემუშავება და დანერგვა, ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელება, დაზიანებული ბუნებრივი და ისტორიული ეკოლოგიური კომპლექსებისა და ობიექტების აღდგენა.

ტურისტული ბიზნესის განვითარებას საქართველოში ძალზედ დიდი პოტენციალი გააჩნია. ყველაფერი ეს კი განპირობებულია სა-

ქართველოს ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით.

ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, გამორჩეული ბუნებრივი მშვენიერებით, ეკოსისტემების დასაცავად, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით. ეროვნული პარკი, გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკოტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი, საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციაში.

ეროვნულ პარკში ტურისტული საქმიანობა რეგულირდება შემდეგნაირად: აკრძალულია დასვენების ხმაურიანი ფორმები, მოტორიანი ნავით ცურვა, აეროხომალდების გამოყენება და სხვა.

საქართველოში პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „თბილისის ეროვნული პარკი“ ეწოდა, შეიქმნა **1973** წელს.

1995 წელს დაარსდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“ ეწოდა. **1998** წელს დაარსდა კოლხეთის, **2003** წელს თუშეთისა და ვაშლოვანის, ხოლო **2006** წელს - მტირალას ეროვნული პარკები. ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა მაჭახელასა და ჯავახეთის ეროვნული პარკები, ხოლო ალგეთის, საგურამოსა და ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალებს ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭათ.

ამჟამად, საქართველოში 13 ეროვნული პარკია, რომელთა საერთო ფართობი **445 767** ჰა-ს შეადგენს. ეს პარკებია:

- ალგეთის ეროვნული პარკი
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
- ვაშლოვანის ეროვნული პარკი
- თბილისის ეროვნული პარკი
- თუშეთის ეროვნული პარკი

- კინტრიშის ეროვნული პარკი
- კოლხეთის ეროვნული პარკი
- მაჭახელას ეროვნული პარკი
- მტირალას ეროვნული პარკი
- ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი
- ყაზბეგის ეროვნული პარკი
- ჭავჭავეთის ეროვნული პარკი
- ერუშეთის ეროვნული პარკი
-

ვიზიტორების მონახულების რაოდენობის მიხედვით ლიდერობენ მტირალას, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის და თბილისის ეროვნული პარკები. ეს პარკები საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, შეიძლება ამის მიზეზი ისიც არის, რომ ისინი ტურისტულად განვითარებულ რეგიონებში მდებარეობენ, სადაც განვითარებული ინფრასტრუქტურაა, სასატუმროებით და კვების ობიექტებით.

მნიშვნელოვანია სხვა პარკების პიარიც, რომ იქაც მოიმატოს ვიზიტორთა რაოდენობამ, მაგალითად ვისაუბრო ჭავჭავეთის ეროვნულ პარკზე

ჭავჭავეთის დაცული ტერიტორიები 2011 წელს შეიქმნა და მოიცავს ჭავჭავეთის ეროვნულ პარკს, ბუღდაშენის, ხანჩალის, მადათაფას, სულდას და კარწახის აღკვეთილებს. იგი სამცხე-ჯავახეთში მდებარეობს, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე. ეროვნული პარკის ფართობი 14,200 ჰექტარია.

ამ რეგიონში გამორჩეულად ლამაზი ტბებია. მათ შორისაა საქართველოში ყველაზე დიდი - ფარავნის ტბა, რომელიც, ისევე როგორც ჭავჭავეთის სხვა ტბები, ზამთრობით ხანგრძლივი დროით იყინება და კიდევ უფრო ჯადოსნური ხდება. ფარავნის ტბასთან მეტეოროლოგებს რამდენჯერმე 40-გრადუსიანი ყინვაც დაუფიქსირებიათ.

წელიწადის თბილ დროს ჯავახეთის ეროვნული პარკის ტბები 140 სახეობის გადამფრენი და მოზუდარი ფრინველების საყვარელი ადგილია, ფრინველებზე დაკვირვებისათვის მოწყობილი სპეციალური კოშკურებიდან კი იშვიათი სახეობის ფრინველების ნახვასაც შეუძლებთ. ჯავახეთის ეროვნული პარკი საქართველოში ერთადერთი დაცული ტერიტორიაა, სადაც სეირნობისას შესაძლოა ფლამინგოებს გადაეყაროთ.

ამასთანავე, თევზით მდიდარი ჯავახეთის ტბები სამოყვარულო თევზაობისთვისაც იდეალური ადგილია.

უმაღლესი წერტილი ჯავახეთის მთაზე არის დიდი აბული, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3,300 მეტრია. ჯავახეთის ზეგანი საქართველოში ყველაზე ცივი ადგილია დასახლებულთა შორის. აქაურობისათვის აღსანიშნავია მშრალი კონტინენტური ჰავა, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურა საკმაოდ დაბალია. ზამთარში ჯავახეთის ტბები დიდი დროით იყინება.

ჯავახეთი უტყეო მხარეა. აქ ხელოვნურადაა გაშენებული ფიჭვის ხეები ამიტომაც ბუნებრივი ტყის მცირე ფრაგმენტები გვხვდება. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი სუბალპური ტყე, სადაც თეთრი არყია, კავკასიური ცირცელია, ასკილისა და ჟოლოს ბუჩქნარი.

ჯავახეთის პარკი 7 სალაშქრო, საცხენოსნო და ველო მარშრუტისგან შედგება

ეკოტურიზმის ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. საქართველოში ამ საქმეს საფუძველი დაუდო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, მასში არსებულმა სატყეო დეპარტამენტმა, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ. ასევე ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა. საქართველოში არსებობს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030

ეკოტურიზმის განვითარების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო და ეროვნული სატყეო სააგენტო მუშაობდნენ სტრატეგიის შექმნაზე. სტრატეგია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ დახმარებით შემუშავდა,

ეკოტურიზმის განვითარებაში ასევე დიდ როლს თამაშობს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო. სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოების გარდა ტურისტულ ბიზნესში ჩართულ პირებს ეხმარებათ ამ სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, აქ ვნახავთ ძალიან საინტერესო სტატისტიკას შიდა და საერთაშორისო ვიზიტორების შესახებ. დაცული ტერიტორიებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიზიტორთა აზრის კვლევა და მათგან კონსტრუქციული კრიტიკის მოსმენა. ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც პირდაპირ, აგრეთვე საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ელექტრონულ გვერდზე ამოსაბეჭდი კითხვარების შევსებით.

სააგენტოს მიერ მომზადებულ დოკუმენტში არის დაცული ტერიტორიების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც საკმაოდ ამბიციურ მიზნებს და ამოცანებს სახავს. მათ შესასრულებლად სააგენტოს მთელი რესურსის მობილიზება და დიდი ძალისხმევის გაწევა უწევს, ამის მისაღწევად აუცილებელია საზოგადოებისა და სხვა უწყებების დიდი მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორული ურთიერთობები არასამთავრობო, სამეცნიერო თუ დონორ ორგანიზაციებთან. შესაძლებლობების გაძლიერების და საკუთარი შემოსავლების ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვანია გარე დაფინანსება პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შესრულებულ პროექტებზე. საჭიროა დაფინანსების სტაბილური წყაროები. ამ მხრივ სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, აღსანიშნავია კავკასიის ბუნების ფონდი (CNF), რომლის მთავარი უპირატესობა სხვა დონორ ორგანიზაციებ-

თან შედარებით ის არის, რომ ფონდი სხვა სფეროებთან ერთად ხელფასებსაც აფინანსებს სპეციალური სახელფასო დანამატის სახით (მცირე ხელფასები სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია). ამჟამად ფონდი ეხმარება 10 დაცულ ტერიტორიას (თუშეთის, ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ჯავახეთისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები, მტირალას, ბორჯომ-ხარაგაულის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ალგეთის ეროვნული პარკები) და ეს რიცხვი მომავალ წლებში კიდევ გაიზრდება. თუმცა მხოლოდ CNF-ის მხარდაჭერა არ არის საკმარისი დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო დაფინანსების გაზრდასთან ერთად აუცილებელია, გააქტიურდეს დაფინანსების ინოვაციური მექანიზმების დანერგვა და დამატებითი ფონდების მოძიება

დღესდღეობით დიდია ტურიზმის გავლენა სხვადასხვა რეგიონებზე სოციალური თვალსაზრისით – ტურიზმის განვითარების კვალობაზე იქმნება ასეული ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ვითარდება საკომუნიკაციო სისტემები, მაღლდება ადგილობრივი მოსახლეობის კულტურა და განვითარების დონე, ცალკეულ რეგიონებში, რომლებიც მოცილებულნი არიან სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, მხოლოდ ტურიზმი ასრულებს ზემოაღნიშნულ ფუნქციებს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს დაცული ტერიტორიების საქმეში ჩადებულმა ინვესტიციებმა ვფიქრობ დიდი როლი უნდა შეასრულოს ეკოტურიზმის ბიზნესის განვითარებაში და ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში.

სალომე ნაჭყებია მარიამ გომიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები

ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებები და მისი აღსრულების გამოწვევები

ანოტაცია

XXI საუკუნე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქად არის წოდებული. იგი ყოველდღიურად ერევა ადამიანების ცხოვრებაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასზე. თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვნად განვითარებამ გამოიწვია ვაჭრობის ტემპის ზრდა, რამაც შემდგომ ელექტრონული ვაჭრობა დააფუძნა, ამ ყოველივეში კი დიდი წვლილი მიუძღვის ინტერნეტს.

მოგესხენებათ, ელექტრონულად კომუნიკაცია უფრო მოსახერხებელია, ზოგავს დროსა და ენერგიას. მოცემულ შემთხვევაში, კერძო სამართლის კუთხით რომ შევხედოთ, ელექტრონულად დადებული გარიგებები აადვილებს ვაჭრობას, თუმცა პრობლემურ საკითხებს წამოჭრის გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით.

თანამედროვე რეალობაში ელექტრონული ვაჭრობა სიახლეს აღარ წარმოადგენს. Covid 19-ის გავრცელებამ მსოფლიოს სხვადას-

ხვა ქვეყანაში შეზღუდა როგორც ონლაინვაჭრობა, ასევე გზავნილებისა და საკვების მიწოდება. კონკრეტულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებით იმოქმედა ბიზნესის განვითარებაზე, ვინაიდან პრობლემა ონლაინვაჭრობასაც შეეხო, დღევანდელ რეალობაში კი ეს უკანასკნელი აღმოფხვრილია. მეტიც, საქართველოს ინტეგრირებამ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ხელი შეუწყო მის აქტიურ ჩართულობას ონლაინვაჭრობაში და საკმაოდ გავრცელდა ჩინურ კომპანიებთან როგორებიცაა: Temu.com; Aliexpress.com; ამერიკულ კომპანიებთან Amazom.com; eBay.com და ა.შ ელექტრონული ხელშეკრულებების დადება.

არ აქვს მნიშვნელობა მსოფლიოს რომელ მხარეში იმყოფებიან მხარეები, მათთვის ხელშეკრულების დადების ელექტრონული ფორმა ნებისმიერ შემთხვევაში უფრო კომფორტულია, რადგანაც დღის სასურველ მონაკვეთში შეუძლიათ შეარჩიონ, მოიწონონ, შეიძინონ და მიიღონ სახლიდან გაუსვლელად სასურველი პროდუქცია.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ცალკეულად არ აწესრიგებს მსგავსი ხელშეკრულების დადების რეგულაციებს, რაც ქმნის პრობლემურ საკითხებს. ვინაიდან ელექტრონული ვაჭრობის არსებობა და ელექტრონული კომერციის განვითარება შეუძლებელია ელექტრონული ხელშეკრულებების არსებობის გარეშე, მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხები დეტალურად იყოს მოწესრიგებული.³⁸

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებების თავისებურებანი და მათი აღსრულების გამოწვევები.

³⁸ ედიშერაშვილი.თ - ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში. თბილისი 2022.

1. ელექტრონული ხელშეკრულების ცნება

ხელშეკრულების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, თუმცა არსებული პრაქტიკის მიხედვით „ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია, რომელიც მხარეთა თანხედრი ნების გამოვლენას გულისხმობს.³⁹ მნიშვნელოვანია, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც მხარეები ცდილობენ, შესაძლოა მხოლოდ კონსენსუსის შედეგად დადგეს. სამართლებრივი შედეგი მხარეებს შორის შესაძლოა მოიაზრებდეს, როგორც ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, ისე არსებული უფლება-მოვალეობების შეცვლას ან შეწყვეტას.“⁴⁰ ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს წერილობითი და ზეპირი ფორმით, თუმცა უფრო მოსახერხებელი წერილობითი ფორმაა, ვინაიდან მხარეებს შორის, საჭიროების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს ამარტივებს. საქართველოში ელექტრონული ხელშეკრულების საკანონმდებლო ჩანაწერი 2023 წელს განისაზღვრა, თუმცა იგი სრულად არ მოიცავს ამ თემას, მხოლოდ ელექტრონული კომერციის შესახებ კანონზე ვრცელდება.

ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოსაზრებები ორად გაიყო. ნაწილის აზრით ის წერილობითი ხელშეკრულების ნაირსახეობაა, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ხელშეკრულების ახალ ფორმას წარმოადგენს.

ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.⁴¹

³⁹ ჯორბენაძე : „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2016

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-814-2019

⁴¹ ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით გაფორმებული გარიგება გაუთანაბრა მატერიალურ დოკუმენტს და იმსჯელა, რომ „გასხვისების მსურველისა და პოტენციური მყიდველის მიერ არ მომხდარა ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება,“ რის გამოც არ მიიჩნია გაფორმებულად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ სსკ) 323-ე მუხლის შესაბამისად ფორმის დაუცველობის გამო.⁴²

ამდენად, გავრცელებული მოსაზრების მიხედვით ელექტრონული ხელშეკრულება არის წერილობითი ხელშეკრულების ნაირსახეობა, რომლის გაფორმებაც შესაძლებელია ონლაინ პლატფორმით, სპეციალური სისტემით თუ ელ.ფოსტით.

2. ელექტრონული ხელშეკრულების სახეები

2.1 ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი და ყველაზე გავრცელებული ფორმაა ელ.ფოსტის გამოყენებით. ამ დროს წერილობითი ინფორმაციის გაცვლით მყარდება ელექტრონული კომუნიკაცია. ფოსტისგან განსხვავებით იგი უფრო მცირე დროს საჭიროებს. საინტერესოა, თუ როდიდან ჩაითლება ელ.ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება ნამდვილად?

როგორც წესი, ხელშეკრულების დასადასტოვებლად საჭიროა, რომ ოფერტი (შეთავაზება) მიიღოს აქცეპტანტმა. მოცემულ კითხვაზე სრულ პასუხს გვაძლევს UNCITRAL-ის კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (კონკრეტულად, მე-15 მუხლი). თუ შემდგენი და ადრესატი არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, მონაცემთა შეტყობინების შესრულება ხდება იმ მომენტში, როცა იგი ხვდება შემდგენელის ან მისი სახელით მონაცემთა გამგზავნის კონტროლის ფარგლებს გარეთ.

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება #ას-898-848-2015

მარტივად რომ ვთქვათ, იმ მომენტიდან, როდესაც პროგრამა ატყობინეს მოსარგებლეს მისი შეტყობინების გაგზავნის თაობაზე.

2.2 ხელშეკრულების დადების მეორე ფორმაა ვებ-გვერდის მეშვეობით. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როცა მომსახურების ან პროდუქციას განათავსებს პირი ინტერნეტში. ეს შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ტექსტს, ვიდეოს, გრაფიკას თუ სხვას. იგი ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. სამართლებრივი კუთხით, როდესაც პირი აქვეყნებს ინფორმაციას, ის მიიჩნევა ოფერტად, ხოლო მასზე თანხმობის გაცხადება სირთულეს არ წარმოადგენს აქცეპტანტის მხრიდან. მსგავსი ხელშეკრულებების დროს მხარეებს შორის კომუნიკაცია ნაკლებად მყარდება, თუმცა სამომხმარებლო ურთიერთობებში საკმაოდ გავრცელებულია ხელშეკრულების ეს ფორმა.

2.3 მესამე ფორმას წარმოადგენს ისეთი ხელშეკრულებების დადება, როდესაც პირებს ბმულების მეშვეობით უწყევთ სხვადასხვა ვებ-გვერდზე გადასვლა, სასურველი პროდუქციის მოძებნა და შემდგომ შეძენა.⁴³

2.4 ასევე უნდა გამოვყოთ Shrinkwrap, Clickwrap და Browsewrap ხელშეკრულებები:

2.4.1. Shrinkwrap ხელშეკრულებები ასოცირდება ისეთ ხელშეკრულებებთან, როდესაც აქცეპტი მომხმარებლის მხრიდან უმოქმედობით ხორციელდება.

2.4.2 ClickWrap ხელშეკრულებები ძირითადად ონლაინ გარემოებებშია გავრცელებული.

მოცემულ შემთხვევაში მომხმარებლები საკუთარ ნებას აფიქსირებენ, ღილაკ „ვეთანხმები-ზე“ დაჭერით. მყიდველს ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესაძლებლობა არ გააჩნია.

⁴³ გოცირიძე.ს - ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება თბილისი 2019 წელი. გვ.19

2.4.3 Browserwrap ხელშეკრულებების შემთხვევაში კი მომხმარებელი პირობებს ისე ეთანხმება, რომ რაიმე მოქმედების შესრულება არ უწევს. ისინი პირობების გასაცნობად უნდა გადავიდნენ მითითებულ ბმულზე. მათი გაცნობა სავალდებულობა ხელშეკრულების დადების ნამდვილობისთვის.

3. ელექტრონულად დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა

საზოგადოდ, ხელშეკრულების დასადავად სამი კომპონენტის არსებობაა საჭირო: ნება, იგი აუცილებლად უნდა იყოს გამოვლენილი და ამასთანავე, აუცილებელია მათი ურთიერთშეთანხმება. ეს სამივე პირობა თუ არ გვექნება სახეზე კუმულატიურად, ხელშეკრულება ნამდვილად არ ჩაითვლება. თუ ნება არის გამოვლენილი, მაგრამ მეორე მხარემ ეს ნება ვერ მიიღო ობიექტური გარემოებების გამო, იგი ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ასევე, როცა ის გამოვლენილია მართლსაწინააღმდეგოდ ან მოჩვენებითად, ნება გამოვლენილად ჩაითვლება, ხოლო მისი ნამდვილობა ვერ დამტკიცდება.

როდესაც ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება ოფერტი ცალმხრივი ნების გამოვლენა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვებგვერდის მეშვეობით გაკეთებული ოფერტი, როცა მხარეები დისტანციურ რეჟიმში იმგვარად მოქმედებენ, რომ ხელშეკრულების დასადავად მხოლოდ ღილაკზე დაჭერაც საკმარისია. ელექტრონულ ხელშეკრულებებში ოფერტისა და აქცეპტის არსებობა მნიშვნელოვანი ელემენტია. ოფერტი წარმოდგენილია ციფრული სახით, ხშირ შემთხვევაში, ხოლო აქცეპტი, როგორც უკვე აღვნიშნე, ღილაკზე დაჭერით, ბმულზე გადასვლითა თუ ელექტრონული ხელმოწერით.

აღსანიშნავია ინგლისური კანონმდებლობით მოწესრიგებული ხელშეკრულების ნამდვილობა და მისი აღსრულება. ამისათვის ისინი ექვს ელემენტს გამოყოფენ:

- „ ა) სამართლებრივი ურთიერთობების შექმნის განზრახვა;
- ბ) ოფერტი და აქცეპტი;
- გ) განსაზღვრული ღირებულება;
- დ) ხელშეკრულების შედგენის სამართლებრივი შესაძლებლობა;
- ე) ნამდვილი თანხმობა ხელშეკრულებაზე;
- ვ) ობიექტების კანონიერება.“⁴⁴

შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისას მხარეებს უნდა ჰქონდეთ გაცნობიერება და განზრახვა იმისი, რომ იქნებიან შებოჭილები ამ ხელშეკრულებით. ამასთანავე, მათ არ უნდა იმოქმედონ შეცდომით, თაღლითობით თუ საეჭვო ფაქტორებით. ამიტომ, მათი განზრახვები ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას სავალდებულოა, რომ იყოს ნათელი, როგორც ოფერტის, აგრეთვე აქცეპტის დროსაც.

4. აღსრულების გამოწვევები

ელექტრონული ხელშეკრულებების აღსრულება AI-ის მიერ მოდიფიცირებული სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებში ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. ციფრული გარიგების აღსრულების მექანიზმები საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესებთან არის დაკავშირებული ხელშეკრულების შედგენის, საჭირო მონაცემების შეგროვების, ანალიზის და კონტრაქტორებს შორის მოლაპარაკებების წარმოების გათვალისწინებით. ხელოვნურ ინტელექტს უკვე შეუძლია ამოიცნოს სტანდარტული ხელშეკრულების პუნქტები, შეადგინოს შაბლონები, მოიპოვოს პერსონალური მონაცემები, შესთავაზოს ალტერნატივები და ა.შ. აღნიშნული, თავის მხრივ, კომპანიებს აძლევს ხელშეკრულებათა სწრაფი გადახედვის, დიდი რაოდენობის მონაცემების მარტივად შეგროვების, შეთანხმებათა მიღწევის რიცხვის გაზრდისა და სახელშეკრულებო დავების წარმოშობის რისკის შემცირების

⁴⁴ Gatt A., Electronic Commerce – Click- Wrap Agreements, Computer Law and Security Report, Vol 18 2002, pg.406

შესაძლებლობას. თუმცა, ამის საპირისპიროდ, უნდა ითქვას, რომ ალგორითმებში საკმაოდ ბევრი ხარვეზი და მონაცემების უზარმაზარი დეფიციტია, უფრო მეტიც, დაფიქსირებული ინფორმაცია ხშირად არაზუსტი და შეუსაბამოა. ხელოვნური ინტელექტი სწორედ ალგორითმზე მომუშავე ოპერაციული სისტემაა, რაც ელექტრონული გარიგებებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სისტემის მიმართ გარკვეულ ეჭვს ბადებს.

აღსრულების გამოწვევებთან დაკავშირებით „საკვანძო პრობლემები მოიცავს ციფრული გარიგების უსაფრთხოებისა და მთლიანობის უზრუნველყოფას, მარეგულირებელი ჩარჩოების არარსებობას და ტრანსსასაზღვრო სამართლებრივი აღიარების საკითხების მოგვარებას. ავტენთიფიკაციისა და გადამოწმების მექანიზმები საჭიროა თაღლითობის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ტექნოლოგიის განვითარებადი ბუნება კანონმდებლობის მუდმივად ადაპტაციას საჭიროებს“.

ელექტრონული ხელშეკრულებები მათი ბუნებიდან გამომდინარე ხშირად საერთაშორისო ხასიათს ატარებს, რამდენადაც მხარეთა შორის ურთიერთობებში ასეთ დროს სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები მონაწილეობენ. შესაბამისად, დავის წარმოშობის შემთხვევაში საკმაოდ დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული საკითხი, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება აღნიშნული დავის განხილვა. ელექტრონული სივრცის დეცენტრალიზებული ბუნება კიდევ უფრო ართულებს აღნიშნულ პროცესს. როდესაც ელექტრონულ ხელშეკრულებაში სხვადასხვა იურისდიქციაში მყოფი პირები მონაწილეობენ, ხშირად რთულია ხელშეკრულების გაფორმების ადგილის დადგენა. სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციაში მცხოვრებ პირებს შორის ელექტრონული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის წარმოშობისას, ერთი სახელმწიფოს მოწესრიგება არ ვრცელდება მეორე ქვეყანაზე, ან ერთ ქვეყანა-

ში არსებული დარღვევა შესაძლებელია მეორეში სულაც არ წარმოადგენდეს დარღვევას. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ, საინტერესოა, ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს საქმე *Bachchan v. India Abroad Publications Incorporated*,⁴⁵ რომლის მიხედვით, ინდოეთის მოქალაქემ დიდ ბრიტანეთში საქმე მოიგო, თუმცა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხდა ნიუ-იორკში შესაბამისი რეგულაციების არარსებობის გამო.⁴⁶ ამდენად, როდესაც სახელმწიფოებს შორის არ არსებობს უნიფიცირებული საკანონმდებლო ბაზა, არსებობს საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ დავის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება გართულდეს.

რაც შეეხება მტკიცებულებებთან დაკავშირებულ გამოწვევებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ ხელშეკრულებას დედანი არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მოცემულ კონტექსტში სასამართლოში მტკიცებულების წარდგენა დაკავშირებულია ავთენტიფიკაციასთან, მონაცემთა მთლიანობასა და დასაშვებობასთან. სასამართლოებს შესაძლოა დასჭირდეთ ელექტრონული ხელმოწერების ნამდვილობის, ციფრული ჩანაწერების მთლიანობის და ელექტრონული მტკიცებულებების საიმედოობის დადგენა. ამ მხრივ, საგულისხმოა, აშშ-ს კანონმდებლობა, რომელიც დამატებით უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტების მტკიცებულების სახით დასაშვებობას საკანონმდებლო დონეზე. მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესების 1001-ე წესი განმარტავს, რომ ნაწერები და ჩანაწერები შეიძლება არსებობდეს ელექტრონული ფორმითაც. ამდენად, სამართლებრივი ჩარჩოები უნდა მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ელექტრონული მტკიცებულებების და-

⁴⁵ <https://casetext.com/case/bachchan-v-india-publs>

⁴⁶ Mrinali Komandur, Jurisdiction and Enforcement of E-Commerce Contracts, 5 *IJCLP* 90, 2017, 92

საშვებობა, სანდოობა და ციფრულ ეპოქაში სამართლიანი პროცესისათვის საჭირო სტანდარტებთან შესაბამისობა.

5. ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სამართლო პრაქტიკა საქართველოში

საკანონმდებლო რეგულირების სიმწირესთან ერთად, ქართული სახელშეკრულებო სამართალი ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკის ნაკლებობასაც განიცდის. პრინციპების დონეზეც კი, საზოგადოებისთვის ფაქტობრივად უცნობია, თუ რამდენად ხშირად უწევთ მაგავსი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა და რა სამართლებრივ შედეგებთან არის ყოველივე ეს დაკავშირებული. პრაქტიკული თვალსაზრისით, ხელოვნურ ინტელექტს ქართულ სახელშეკრულებო სამართალში, გარდა ელექტრონული ვაჭრობისა, კომერციული ბანკები ძალიან აქტიურად იყენებენ. ბოლო რამდენიმე წლის მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ საბანკო მობილური აპლიკაციის მეშვეობით განვადების, სესხისა და კრედიტის ხელშეკრულებების, მათ შორის უზრუნველყოფილი სესხების, ერთი დაწკაპუნებით, მობაილბანკის საშუალებით დადება. აღნიშნული ავტომატიზებული სისტემა ხელს უწყობს სახელშეკრულებო შეთავაზებების მიწოდებას. ხელშეკრულების პირობების განსაზღვრას, უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებისა და მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ერთდროულად, სულ რამდენიმე წუთში შემოწმებას. გარდა კომერციული დანიშნულებისა, ბოლო რამდენი წლის განმავლობაში საკმაოდ აქტუალური გახდა ელექტრონული კომუნიკაციების დახმარებით შრომითი ხელშეკრულებისა თუ დაზღვევის ხელშეკრულებების დადებაც. თუმცა ცალსახაა, რომ რიგ შემთხვევებში პრობლემური საკითხებიც იჩენს ხოლმე თავს. მაგალითად, 2020 წლის თუმცა ცალსა-

ბაა, რომ რიგ შემთხვევებში პრობლემური საკითხებიც იჩენს ხოლმე თავს. მაგალითად, 2020 წლის 15 ოქტომბრის №ას-1161-2018 გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა ელექტრონული ფოსტით დადებულ შრომით ხელშეკრულებას. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ყურადღება უნდა გამახვილებულიყო შრომითი ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საქმეში, დამსაქმებელმა კომპანიამ დასაქმებულს ელექტრონული შეტყობინების სახით გაუგზავნა დასაქმების შეთავაზება ვაკანტურ პოზიციაზე, რაზეც ადრესატმა დადებითი პასუხი დააბრუნა. საკასაციო პალატა, მსგავსად გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ განხორციელებული მსჯელობისა, 2022 წლის 6 ოქტომბრის (VII ZR 895/21) გადაწყვეტილებაში, მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის ნამდვილი შრომითი ხელშეკრულებაა დადებული, ვინაიდან სამუშაოს მაძიებლის მიერ დაბრუნებული პასუხი მიუვიდა დამსაქმებელს, ეს პასუხი მისი ძალაუფლების სფეროში მოექცა და ამ შეთანხმებიდან გამომდინარე მხარეების ხელშეკრულების არსებით პირობებზეც იყვნენ შეთანხმებული, როგორცაა ვაკანსიით განსაზღვრული თანამდებობა, ანაზღაურების ოდენობა, სამუშაოს ადგილი, დრო და ა.შ. დამატებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ელექტრონული მიმოწერის საფუძველზე მხარეებს შორის დადებული იყო წერილობითი ხელშეკრულება და არა ზეპირი. აღნიშნულ დასკვნამდე კი სასამართლო, "ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლების მოხმობის გარდა, მსჯელობის საფუძველზე მივიდა, რაც ელექტრონულ სივრცეში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში აქცეპტის, როგორც მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის მოქცევას გულისხმობს, მეორე მხარის ძალაუფლების სფეროში. ეს ნება კი, თავის მხრივ აღქმადი უნდა იყოს აქცეპტის მიმღები მხარის მიერ და მისი ფორმა უნდა ხდი-

დეს პასუხს იდენტიფიცირებადს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ელექტრონული ხელშეკრულების ადგილი სამართლებრივ სივრცეში წერილობითი ხელშეკრულების გვერდით უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, სასამართლო მიღებულად მიიჩნევა ელექტრონულ სივრცეში დადებული ხელშეკრულების ფორმას, წერილობითი ფორმის ალტერნატივად, ვინაიდან აღნიშნული ყველა დამახასიათებელი ელემენტით ითვალისწინებს თანამედროვე პრაქტიკას ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება მხარეებს შორის დადებულად მიიჩნია, რის საფუძველზეც განახორციელა შემდგომი მსჯელობა, კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უკანასკნელ წლებში სამართლებრივ სივრცეში სულ უფრო მზარდია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულებების დადება. ამ ტიპის ხელშეკრულებაში კონტრაქტირება შესაძლებელია როგორც წინასწარ შედგენილი ხელშეკრულების ფორმულარზე თანხმობის ფანჯრის მონიშვნით, ისე განსახილველი შემთხვევის ანალოგიურად, ელექტრონული მიმოწერის ფარგლებში ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებითა და თანხმობის გამომხატველი ნების გამოვლენის მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ასეთი აქცეპტის დროს განმსაზღვრელია, რომ აქცეპტი, როგორც მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, მოექცეს მეორე მხარის ძალაუფლების სფეროში, და ამავედროულად, მეორე მხარისათვის აქცეპტანტის ნება იყოს აღქმადი, ანუ აქცეპტის ფორმა მეორე მხარეს უნდა აძლევდეს აქცეპტანტის პასუხის იდენტიფიცირების საშუალებას. ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფართოდ გავრცელებულ და აპრობირებულ მეთოდს. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ტრადიციული წერილობითი კომუნიკაციის ციფრული ანალოგი, რომელიც ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ჩვეულებრივი ფოსტა. ელექტრონული ფოსტა

ხშირად გამოიყენება ოფერტისა და აქცეპტის გასაცვლელად, ასევე სარეკლამო განცხადებების გასაგზავნად. როდესაც მხარე ელექტრონული ფოსტით ახდენს ოფერტზე აქცეპტის გაკეთებას, ეს წარმოშობს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულება შეიძლება მივაკუთვნოთ მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებათა კატეგორიას. ეს იმით არის განპირობებული, რომ ასეთი მეთოდით შედგენილი დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა დადგინდეს როგორც მისი შემდგენის ვინაობა, ასევე გამოვლენილი ნების შინაარსი. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ წერილობითი ფორმის ალტერნატივად შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფორმა. ეს მოიცავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის თანამედროვე პრაქტიკას მისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტით, მათ შორის კვალიფიციურ ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას.

საქართველოს კანონი "ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" განმარტავს ელექტრონულ დოკუმენტს როგორც ელექტრონული ფორმით შენახულ ტექსტობრივ, ხმოვან, ვიზუალურ ან აუდიოვიზუალურ ინფორმაციას ან/და მონაცემთა ერთობლიობას. ამავე კანონის თანახმად, ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა იმ შემთხვევაში, სადაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს საკანონმდებლო რეგულაცია ადასტურებს, რომ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით შექმნილი ვიზუალიზებადი ტექსტი განიხილება როგორც წერილობითი დოკუმენტის ტოლფასი მნიშვნელობის დოკუმენტი. ეს კიდევ უფრო ამყარებს არგუმენტს, რომ ელექტრონული ფოსტით მიღწეული შეთანხმება უნდა ჩაითვალოს წერილობით ხელშეკრულებად.

თუ დეტალურად გავაანალიზებთ ზეპირი და წერილობითი ხელშეკრულებების სამართლებრივ ბუნებას, ნათელი გახდება, რომ ელ-

ექტრონული ფოსტით გაცვლილი ოფერტი და აქცეპტი უფრო მეტად შეესაბამება წერილობითი ხელშეკრულების კონსტრუქციას. ზეპირი ხელშეკრულება, როგორც წესი, იდება თანმყოფ პირებს შორის. ასეთ დროს შეთანხმება მიიღწევა დაუყოვნებლივ და შედეგსაც მაშინვე წარმოშობს. ზეპირი ხელშეკრულებები ძირითადად გამოიყენება ყოველდღიურ, მარტივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, სადაც არ არის მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო რისკები. არათანმყოფ პირებს შორის ზეპირი ხელშეკრულების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სატელეფონო საუბრის შედეგად მიღწეული შეთანხმება. ზეპირი ხელშეკრულებისთვის მთავარი მახასიათებელია, რომ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება ხდება ვერბალური, ზეპირ-სიტყვიერი კომუნიკაციის გზით.

დასკვნა:

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენა, საერთაშორისო დოკუმენტებზე, სამეცნიერო ნაშრომებსა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით სახელშეკრულებო სამართლის კონცეფციის ევოლუციის კომპლექსური ანალიზი საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების ჭრილში, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის თვალსაზრისით მიღებული შედეგების გაანალიზება და არსებული პრობლემატიკის აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიება.

ელექტრონული ხელშეკრულებები წარმოადგენს მატერიალური ხელშეკრულებების ციფრულ ალტერნატივას, რომელიც თანამედროვე ციფრულ სამყაროში სულ უფრო ხშირად გამოიყენება და გვთავაზობს მნიშვნელოვან უპირატესობებს: სიმარტივე და ეფექტურობა; დროის და ხარჯების დაზოგვა; გარემოსდაცვითი სარგებელი; უსაფრთხოება და ვერიფიკაცია და ა.შ. თუმცა, ციფრულ გარიგებებთან დაკავშირებით გარკვეული გამოწვევებიც არსებობს, როგორიცაა კიბე-

რუსაფრთხოების რისკები, იურიდიული ვალიდურობის საკითხები სხვადასხვა იურისდიქციაში და ციფრული უთანასწორობა - ზოგიერთ ადამიანს შესაძლოა არ ჰქონდეს წვდომა აუცილებელ ტექნოლოგიებზე, მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ელექტრონული ხელშეკრულებები კვლავ წინ გადადგმული ნაბიჯია ციფრულ ეპოქაში.

ელექტრონული ხელშეკრულებების ნამდვილობის დადგენა, როგორც უკვე აღინიშნა, უნდა განხორციელდეს არსებული სამართლის ნორმების შესაბამისად, მათი მატერიალური ხელშეკრულებებისგან განსხვავების გარეშე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნამდვილობის შეფასებისას გამოყენებულ იქნას UNCITRAL-ის მოდელური კანონით გათვალისწინებულ არადისკრიმინაციის პრინციპი ან მისი ეკვივალენტი: გარიგების მხარეებს არ აქვთ უფლება ეჭვქვეშ დააყენონ ხელშეკრულების ნამდვილობა და სავალდებულობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის დადებული და ხელმოწერილია ელექტრონული საშუალებებით. UNCITRAL-ის მოდელური კანონით გათვალისწინებული ტექნოლოგიური არადისკრიმინაციის პრინციპის ეკვივალენტმა ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონში ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ. ინფორმაციისთვის იურიდიული ძალის წართმევა არ შეიძლება იმის გამო, რომ მას ელექტრონული შეტყობინების ფორმა აქვს.

ბიბლიოგრაფია

1. <https://casetext.com/case/bachchan-v-india-publs>
2. *Gatt A.*, Electronic Commerce – Click- Wrap Agreements, Computer Law and Security Report, Vol 18 2002, pg.406
3. *Komandur, Mrinali.* Jurisdiction and Enforcement of E-Commerce Contracts 5 IJCLP 90, 2017, 92
4. *გოცირიძე, ს.*, ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება (სამაგისტრო ნაშრომი)

5. *ედიშერაშვილი, თ.*, ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში
6. ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-814-2019
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება #ას-898-848-2015
9. *ჯორბენაძე, ს.*, „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2016

SALOME NACHKEBIA

MARIAM GOGISHVILI

Supervisor: Giorgi Rusiashvili,

Associate Professor, Tbilisi 28.07.2024

Students of the Faculty of Law, Tbilisi State University

ELECTRONICALLY CONCLUDED CONTRACTS AND CHALLENGES IN THEIR ENFORCEMENT

Introduction

The 21st century is referred to as the era of technological development. It intervenes in people's lives daily and significantly impacts them. The significant development of market economies in the modern world has led to an increase in the pace of trade, which subsequently established electronic commerce, with the internet playing a major role in this process.

As you know, electronic communication is more convenient, saving time and energy. In this case, from a private law perspective, electronic transactions facilitate trade but raise problematic issues regarding the validity of transactions.

In today's reality, electronic commerce is no longer a novelty. The spread of Covid-19 restricted online trading, as well as the delivery of parcels and food in various countries around the world. These specific restrictions particularly affected business development, as the problem also affected online trading, but in today's reality, the latter has been eliminated. Moreover, Georgia's integration with other countries in the world has facilitated its active involvement in online trading, and electronic contracts with Chinese companies such

as Temu.com, Aliexpress.com, and American companies like Amazon.com, eBay.com, etc., have become quite widespread.

Regardless of which part of the world the parties are in, the electronic form of contract conclusion is more comfortable for them in any case, as they can select, approve, purchase, and receive the desired products from the comfort of their home at any desired time of the day.

Despite all this, the current legislation in Georgia does not separately regulate the rules for concluding such contracts, which creates problematic issues. Since the existence of electronic commerce and the development of e-commerce is impossible without the existence of electronic contracts, it is important that these issues are regulated in detail.

This paper will present the peculiarities of electronically concluded contracts and the challenges of their enforcement.

1. The Concept of Electronic Contract

The Civil Code of Georgia does not recognize the definition of a contract, but according to existing practice, "a contract is the result of an agreement between parties, which implies the expression of their converging will. It is important that the legal outcome that the parties are trying to achieve can only be established as a result of consensus. The legal outcome between the parties may involve the creation of a new legal relationship, as well as the change or termination of existing rights and obligations." A contract can be concluded in written and oral form, although the written form is more convenient, as it simplifies the burden of proof between parties if necessary. In Georgia, the legislative record for electronic contracts was defined in 2023, although it does not fully cover this topic and only applies to the law on electronic commerce.

Opinions on electronic contracts are divided. Some think it is a variety of written contracts, while others think it represents a new form of contract. The Law of Georgia on Electronic Documents and Electronic Trust Services defines the legal bases for the use of electronic documents, electronic signatures, and electronic trust services. It is also noteworthy that the Supreme Court of Georgia equated a transaction executed with an electronic signature to a material document and reasoned that "the potential seller and buyer did not use an electronic signature," which is why it was not considered to be executed in accordance with Article 323 of the Civil Code of Georgia (hereinafter CCG) due to non-compliance with the form.

Therefore, according to the prevailing opinion, an electronic contract is a variety of a written contract, which can be executed through an online platform, special systems, or email.

2. Types of Electronic Contracts

2.1 One of the most common forms of contract conclusion is using email. In this case, electronic communication is established by exchanging written information. Unlike mail, it requires less time. It is interesting to note when a contract concluded via email is considered valid? As a rule, to conclude a contract, it is necessary for the offeree to accept the offer (proposal). The UNCITRAL Law on Electronic Commerce (specifically, Article 15) gives a complete answer to this question. Unless the originator and the addressee have agreed otherwise, the dispatch of a data message occurs when it enters an information system outside the control of the originator or of the person who sent the data message on behalf of the originator. Simply put, from the moment the program notifies the user about sending their message.

2.2 The second form of contract conclusion is through a website. The latter occurs when a person posts a service or product on the internet. This may include only text, video, graphics, or other. It should be accessible to everyone. From a legal point of view, when a person publishes information, it is considered an offer, and it is not difficult for the offeree to express consent to it. During such contracts, communication between parties is less established, however, this form of contract is quite common in consumer relationships.

2.3 The third form represents the conclusion of such contracts when persons have to navigate to different websites through links, find the desired product, and then purchase it.

2.4 We should also distinguish Shrinkwrap, Clickwrap, and Browsewrap contracts:

2.4.1. Shrinkwrap contracts are associated with contracts where acceptance is carried out by inaction on the part of the consumer.

2.4.2 Clickwrap contracts are mainly common in online transactions. In this case, users express their will by clicking the "I agree" button. The buyer does not have the ability to change the terms of the contract.

2.4.3 In the case of Browsewrap contracts, users agree to the terms without having to perform any action. They must go to the specified link to familiarize themselves with the terms. Familiarizing oneself with them is mandatory for the validity of the contract conclusion.

3. Authenticity of Electronically Concluded Contracts

Generally, three components are necessary for the conclusion of a contract: intent, which must be expressed, and mutual agreement. If any of these three conditions are not present cumulatively, the contract cannot be considered authentic. If intent is expressed but the other party cannot accept

it due to objective circumstances, it cannot be considered authentic. Similarly, if the intent is expressed in a manner that is unlawful or fictitious, while the intent is considered expressed, its authenticity cannot be proven.

When using technology to make an offer, it is a unilateral expression of intent. For example, an offer made through a website, where parties act remotely in such a way that pressing a button is sufficient to conclude the contract. In electronic contracts, the presence of the offer and acceptance is a significant element. The offer is usually presented in digital form, while acceptance, as mentioned, is done by pressing a button, following a link, or using an electronic signature.

It is noteworthy that English legislation regulates the authenticity and enforcement of contracts through six elements: a) Intention to create legal relations; b) Offer and acceptance; c) Consideration; d) Legal capacity to form a contract; e) Genuine consent to the contract; f) Legality of the objects.

Accordingly, when concluding a contract, the parties must be aware and intend to be bound by the contract. Additionally, they should not act under mistakes, fraud, or dubious factors. Thus, their intent during the conclusion of an electronic contract must be clear, both during the offer and acceptance.

4. Challenges in Enforcement

Enforcement of electronic contracts within the framework of contract law modified by AI represents one of the key issues. The mechanisms for enforcing digital transactions are associated with complex and lengthy processes, including the drafting of contracts, gathering of necessary data, analysis, and negotiations between contractors. Artificial intelligence can already identify standard contract clauses, create templates, obtain personal data,

offer alternatives, and so on. This, in turn, provides companies with the ability to quickly review contracts, easily gather large amounts of data, increase the number of agreements reached, and reduce the risk of contract disputes. However, it must be noted that algorithms contain many flaws and a significant lack of data, and moreover, the information recorded is often inaccurate and inconsistent. Artificial intelligence is essentially an operational system based on algorithms, which raises some doubts about the regulatory system for legal relations arising from electronic transactions.

Regarding enforcement challenges, "key issues include ensuring the security and integrity of digital transactions, the absence of regulatory frameworks, and addressing cross-border legal recognition issues. Mechanisms for authentication and verification are necessary to prevent fraud, and the evolving nature of technology requires constant adaptation of legislation."

Electronic contracts often have an international character due to the participation of residents of different countries in the relationships between parties. Consequently, in the case of disputes, determining which country's court has jurisdiction becomes quite complicated. The decentralized nature of the electronic space further complicates this process. When parties in different jurisdictions are involved in an electronic contract, it is often difficult to determine the place of contract formation. In disputes arising from electronic contracts between parties residing in different countries, one state's regulation does not extend to the other country, or a violation in one country may not constitute a violation in another. An illustrative case is *Bachchan v. India Abroad Publications Incorporated*, decided by the New York Supreme Court, where an Indian citizen won a

case in the UK, but enforcement of the court's decision in New York could not be achieved due to the absence of relevant regulations. Thus, when there is no unified legislative framework between states, there is a significant risk that enforcement of a decision in a dispute may be complicated.

As for challenges related to evidence, it should be noted that electronic contracts do not have physical originals. Therefore, presenting evidence in court involves authentication, data integrity, and admissibility. Courts may need to determine the authenticity of electronic signatures, the integrity of digital records, and the reliability of electronic evidence. In this regard, U.S. legislation is noteworthy as it provides additional assurance for the admissibility of electronic documents as evidence at the legislative level. Federal Rule 1001 of Evidence provides that writings and records can exist in electronic form as well. Thus, legal frameworks need to be modified to ensure the admissibility, reliability, and compliance with the standards necessary for a fair process in the digital age.

5. Judicial Practice Regarding Electronic Contracts in Georgia

In addition to the lack of legislative regulation, Georgian contract law suffers from a lack of judicial practice regarding this issue. At the level of principles, the public is essentially unaware of how frequently they enter into such contractual relationships and what legal consequences this entails. From a practical perspective, artificial intelligence is actively used in Georgian contract law, in addition to electronic commerce, by commercial banks. A notable achievement in recent years is the ability to conclude loan, credit, and secured loan contracts through a mobile banking application with a single click. This

automated system facilitates the delivery of contractual offers, the simultaneous determination of contract terms, the use of security measures, and the verification of the user's payment ability within a few minutes. In addition to commercial purposes, electronic communications have become quite relevant in recent years for concluding employment contracts and insurance contracts. However, there are clearly problematic issues in certain cases. For example, in the decision of the Supreme Court of Georgia on October 15, 2020, No. 1161-2018, the court considered a case involving an employment contract concluded via email. The Supreme Court held that attention should be paid to the form of the employment contract. In this case, the employer sent an offer for a vacant position to the employee via electronic notification, to which the addressee responded positively. The Cassation Chamber, similar to the reasoning of the German Federal Court in its decision of October 6, 2022 (VII ZR 895/21), found that a genuine employment contract was concluded between the parties, as the response from the job seeker reached the employer, fell within the employer's sphere of authority, and the parties had agreed on the essential terms of the agreement, such as the position defined by the vacancy, the amount of remuneration, the place of work, time, etc. Additionally, the Cassation Chamber found that based on the existing electronic correspondence, the parties had concluded a written contract rather than an oral one. The court reached this conclusion not only based on the relevant provisions of the Georgian Law on Electronic Document and Electronic Trusted Services but also through reasoning, which implies that in the context of electronic space, the expression of acceptance as a required manifestation of intent should be in the sphere of

authority of the other party. This intent must be perceivable to the recipient of the acceptance, and the form of acceptance should allow identification of the respondent. The Cassation Chamber points out that in recent years, the use of electronic communication methods for concluding contracts is increasingly common. Such contracts can be concluded either by marking a checkbox in a pre-drafted contract form or through electronic correspondence by agreeing on the essential terms and notifying the other party of the intent to accept. In such cases, it is crucial that the acceptance, as a manifestation of required intent, falls within the authority of the other party, and at the same time, the acceptance should be perceivable to the other party, meaning that the form of acceptance should provide the ability to identify the response of the acceptor. Email is a widely used and accepted method for concluding contracts. It can be regarded as a digital analog of traditional written communication, fulfilling the same function as regular mail. Email is frequently used to exchange offers and acceptances, as well as for sending promotional messages. When a party makes an acceptance of an offer via email, it creates contractual obligations.

An electronic contract can be classified as a simple written form of contract. This is because such a method of documentation allows for the determination of both the identity of the party and the content of the expressed intent. Legislation provides that electronic form can be used as an alternative to written form. This includes modern practices of electronic document flow with all its characteristic elements, including qualified electronic signatures.

The Georgian Law on Electronic Document and Electronic Trusted Services defines an electronic document as text, audio,

visual, or audio-visual information or data stored in electronic form. According to this law, an electronic document can be used in all cases where a written form of material document is required unless otherwise provided by law. This legislative regulation confirms that visual text created through electronic communication is considered equivalent to a written document. This further supports the argument that an agreement reached via email should be considered as a written contract.

If we analyze the legal nature of oral and written contracts in detail, it becomes clear that an offer and acceptance exchanged via email more closely aligns with the structure of a written contract. Oral contracts are usually made between parties in person. In such cases, the agreement is reached immediately and produces results right away. Oral contracts are mainly used in everyday, simple contractual relationships where there are no significant contractual risks. An example of an oral contract between non-present parties could be an agreement reached via a phone call. The main characteristic of an oral contract is that the agreement on essential terms is made through verbal, oral communication.

Conclusion:

The purpose of this paper is to highlight the legal problems associated with electronically concluded contracts, provide a comprehensive analysis of the evolution of contract law concepts in the context of international and national experience, analyze the results achieved in terms of legislative improvements, and explore effective ways to address existing issues.

Electronic contracts represent a digital alternative to material contracts, which is increasingly used in the modern

digital world and offers significant advantages: simplicity and efficiency; saving time and costs; environmental benefits; security and verification, etc. However, there are certain challenges related to digital transactions, such as cybersecurity risks, legal validity issues in different jurisdictions, and digital inequality – some people may not have access to necessary technologies. Despite these challenges, electronic contracts remain a step forward in the digital age.

Bibliography

- Bachchan v. India Abroad Publications Incorporated
- Gatt A., "Electronic Commerce – Click-Wrap Agreements," *Computer Law and Security Report*, Vol. 18, 2002, p. 406
- Komandur, Mrinali. "Jurisdiction and Enforcement of E-Commerce Contracts," *5 IJCLP* 90, 2017, p. 92
- Gotsiridze, S., *The Legal Nature of Electronic Contracts* (Master's Thesis)
- Edisherashvili, T., *The Legal Nature of Electronic Contracts in Private Law Relations*
- First Article of the Georgian Law on Electronic Document and Electronic Trust Services
- Decision of the Civil Chamber of the Supreme Court of Georgia, October 4, 2019, Case # 16-814-2019
- Decision of the Supreme Court of Georgia, March 9, 2016, Case # 16-898-848-2015
- Jorbenadze, S., *Limits of Freedom of Contract in Civil Law*, Tbilisi, 2016

მარიამ ლომიძე

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის საერთაშორისო
ურთიერთობების პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

ნანა ცხიისთავი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

იესოს საზოგადოება და საქართველო

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია კათოლიკური ორდენის „იესოს საზოგადოების“ მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ, მისი როლი მსოფლიო პოლიტიკაში. ნიშანდობლივია, რომ სხვა კათოლიკურ ორდენებთან ერთად აღნიშნულ ორდენს ჰქონდა მცდელობა საქართველოსთან ურთიერთობისა .

ჩვენი ძირითადი მიზანი იყო გვეჩვენებინა სწორედ ეს მცირე მონაკვეთი წარსულისა თუ რა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური წინაპირობა არსებობდა „იესოს საზოგადოების“ ანუ იეზუიტების დაინტერესების თაობაზე საქართველოსთან ურთიერთობით. ასევე ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან იყო გადადგმული ნაბიჯები ამ ურთიერთობის დასაწყარებლად.

იესოს საზოგადოება და საქართველო

ისტორიის ჩარხის ტრიალისას საუკუნეების განმავლობაში კათოლიკური ორდენების მნიშვნელობა და როლი მსოფლიო ისტორიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში განუზომლად დიდი იყო, არის და იქნება. ეს აზრი მათი მოქმედებებიდან და საქმიანობიდან იკვეთება და დაიმკვიდრა კიდევ თავისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში.

XVI საუკუნეში დაწყებულმა კათოლიკური რელიგიის რეფორმაციამ და მასთან დაკავშირებულმა რელიგიურმა ომებმა რომის კათოლიკური ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. წმინდა პეტრეს ტახტი იძულებული გახდა, მისთვის კონტრრეფორმაციით ეპასუხა, რაც პირველ რიგში, ევროპაში კათოლიკური ეკლესიის გავლენების განახლებას გულისხმობდა და მისი გაძლიერებისათვის იყო მიმართული. მთავარი დამრტყმელი ძალა კონტრრეფორმაციასთან ბრძოლაში „იესოს საზოგადოება“ („იეზუიტთა ორდენი“) იყო, რომელიც ესპანელმა სამხედრო-ინვალიდმა იგნასიო ლოიოლამ (1492-1556) დაარსა. 1540 წლის 27 სექტემბერს პაპლე III-მ (ერისკაცობაში - ალესანდრო ფარნეზე (1534-1549)) ბულით დაამტკიცა ეს ახალი ორდენი. იეზუიტებმა რეფორმაციისათვის სახასიათო ჰუმანისტური კულტურის იდეები და მეთოდოლოგია საკუთარ პრაგმატულ მიზნებსა და ზრახვებს მორგეს და თავბრუდამხვევი, საოცარი სისწრაფით გავრცელდნენ და მოედნენ მთელ კათოლიკურ სამყაროს. კათოლიკური ორდენებისადმი ინტერესი და მათთან ურთიერთობის სურვილი საქართველოში ოდითგანვე არსებობდა გამომდინარე ძლიერ ძალასთან ურთიერთობიდან, მეტადრე ქართული სახელმწიფოს დაქუცმაცებულიობისა და მუსლიმური გარემოცვის აგრესიის პირობებში.

ორდენის პირველი ნაბიჯები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ამის შესახებ ერთ-ერთი გამოჩენილი პროფესორი წერდა: „ყველგან, სადაც კი იეზუიტები გამოდიოდნენ, ცნობილი ხდებოდნენ, როგორც

სახალხო კანონმდებლები, როგორც საეკლესიო ქველმოქმედების ორგანიზატორები.“

იესოს საზოგადოების მთავარი ამოცანა რეფორმაციასთან უკომპრომისო ბრძოლა გახლდათ, რასაც მშვენივრად გაართვეს თავი და დაიმკვიდრეს კიდევ ძღვევამოსილი სახელი. როგორც ცოდნისა და სწავლებების გამავრცელებლები, იეზუიტები სწრაფად იქცნენ პროტესტანტული რეფორმისა და კონტრეფორმაციის ხანაში კათოლიკური სარწმუნოების ყველაზე გავლენიან დამცველებად. ქრისტიანული განათლების მიმართულებით, რომელიც ძირითადად უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სკოლებში მიმდინარეობდა, ორდენის არსებობის ისტორიაში იეზუიტებმა მრავალ სხვა სფეროშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ისინი იყვნენ: განმანათლებლები, სულიერი მოძღვრები, დიდგვაროვანთა აღმსარებელნი, მისიონერები წარმართთა შორის და სწავლულები. ჩვენი ინტერესი გახლავთ, განვიხილოთ საქართველოსა და ორდენებს შორის ურთიერთობები- როდის, რატომ და რა მიზნით დაიწყო და განვითარდა; რა შედეგით დასრულდა ქართველთა მცდელობა იეზუიტებთან ურთიერთობის მიმართულებით. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში მე-17-18 საუკუნეებში მოღვაწეობდნენ კათოლიკეთა ორი ორდენის წარმომადგენლები: თეატინელები და კაპუცინელები. მანამდე მე-14-15 საუკუნეებში ფრანცისკელი და დომინიკელი ბერები შემოვიდნენ საქართველოში გიორგი ბრწყინვალეს მოღვაწეობის პერიოდში, როდესაც კათოლიკურ რომთან გამყარდა საქართველოს ურთიერთობები. სოხუმში გენუელები პირველად 1280 წელსაა მოხსენიებული, რაც მიუთითებს სოხუმში მუდმივი კათოლიკური მოსახლეობის არსებობაზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მე-14 საუკუნეში კათოლიკეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. 1318 წელს პაპმა დააფუძნა ე.წ. „სულთნის სამთავარების-კოპოსო ილხანთა სახელმწიფოში“, ხოლო ცოტა ხნით ადრე საფუძველი ჩაეყარა ქალაქ სულთანის (ყაზვინთან ახლოს), რომელიც მა-

ლე მისიონერთა ცენტრად იქცა. 1315 წელს იქ უკვე 25 ეკლესია არსებობდა. პაპმა მთავარეპისკოპოსის კათედრა დააწესა, რომელსაც დამხმარედ ექვსი ეპისკოპოსი ჰყავდა, რომელთაგან ორი საქართველოში იყო: ერთი თბილისში, ხოლო მეორე სოხუმში. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინგლისელი პეტრუს გერალდის მიერ გაგზავნილი წერილი კენტერბერის მთავარეპისკოპოსთან, რომელიც 1330 წლითაა დათარიღებული. წერილიდან ჩანს, რომ გარდა სჯულშემწყნარებლობისა, რომელიც მე-14 საუკუნის სოხუმში იყო, ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელის მამია დადიანის დროს კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების შესახებ აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რომის პაპს იოანე XXII-სა და საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეს შორის. გერალდის წერილის მიხედვით, მამია დადიანი მზად იყო ამგვარ გაერთიანებაზე და პირადად კათოლიკობის მიღებაზეც. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია ქართველი დიდგვაროვნების დაინტერესებისა კათოლიკობის მიღებით.

იესოს საზოგადოება ანუ იეზუიტების ორდენი ყველა სხვა ორდენზე მეტად ძლიერი აღმოჩნდა და ისტორიის ავანსცენაზე გამოჩენისთანავე მე-16-ე საუკუნეში რეფორმაციისაგან შერყეულ კათოლიკე ეკლესიას რესტავრატორისა და მხსნელის როლში მოვევლინა. კათოლიკე ეკლესიისა და კონტრეფორმაციის ძირითად დასაყრდენს სწორედ იეზუიტების ორდენი წარმოადგენდა, რომლის სამშობლოც ესპანეთი იყო, ხოლო იესოს საზოგადოების ანუ იეზუიტების ორდენის ფუძემდებლად ითვლება წმიდა ეგნატე ლოიოლა.

მე-17-18 საუკუნეებში ზოგადად საქართველო—რომის ურთიერთობებს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ინტერესები განსაზღვრავდა. ყოველივე ეს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული. გარდა კონტრეფორმაციის ფუნქციისა, იესოს საზოგადოებას რომის პაპისგან დაევალა ისლამურ სამყაროზე შეტე-

ვის მომზადება და ეს სავესტით ლოგიკური და მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მე-16-18 საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორიის დინამიკას, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ ძირეულ გარდატეხას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. სწორედ ამ ინტერესთა ერთობლიობამ განაპირობა იესოს საზოგადოების აქტიური მისიონერული საქმიანობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც.

ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთდახმარების ინტერესები ევროპისა და ქართული მხრიდან თანაბარი იყო. ევროპის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატორად რომის პაპი გამოდიოდა. კოალიციაში ევროპის სახელმწიფოებთან ერთად (ინგლისი, ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი და ა.შ.) ირანი და საქართველო უნდა გაერთიანებულიყო. ქართველი მეფე-მთავრები ევროპასთან ურთიერთობას ეკონომიკურ მიზნებსაც უკავშირებდნენ. მათი პროექტით, უნდა აღდგენილიყო ძველი „აბრეშუმის გზა“, რომელსაც საქართველოზე უნდა გაეწეო და ევროპა აზიასთან დაეკავშირებინა.

იეზუიტთა ორდენთან საქართველოს ურთიერთობა მე-17 საუკუნიდან იწყება. როგორც მიქელ თამარაშვილი თავის წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ აღნიშნავდა.

მისიონერებმა მალე სამეგრელოში (ოდიშში) გადაინაცვლეს, სადაც ლევან II (1611-1657) დადიანი მათ საუკეთესო პირობებს ჰპირდებოდა. ლევან დადიანს კათოლიკე მისიონერების დახმარებით სურდა, ერთი მხრივ, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება და, მეორე მხრივ, ოსმალეთის ეკონომიკაზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა და ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება. კათოლიკე მისიონერებმა ოდიშში დიდი პოპულარობა მოიპოვეს, რადგან მათ მოქმედებით იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ცოდნა, ნერგავდნენ სამკურნალო, სამეურნეო, საინჟინრო და სხვა სიახლეებს, ასწავლიდნენ უცხო ენებს. ლევან დადიან-

მა მისიონერებთან ერთად შეიმუშავა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის გეგმა. მას სურდა, ოდიშის სამთავროზე გავლით ევროპელებისათვის შეეთავაზებინა სპარსეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი სავაჭრო გზა, რაც მისაღები უნდა ყოფილიყო ირანისთვის და ევროპული ქალაქებისთვისაც, ხოლო თავად ოდიშს დიდ ეკონომიკურ მოგებას და კულტურულ წინსვლას მოუტანდა.

არქანჯელო ლამბერტი- ცნობილი კათოლიკე მოგზაური და დიპლომატი ლევან დადიანის შესახებ წერდა, რომ ეს მთავარი თუ მათ განათლებულ ქვეყანაში აღიზრდებოდა და მათი საუკეთესო მასწავლებლებისგან სწავლა-განათლებას მიიღებდა, ვერცერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებით ჩვენ შევეცადეთ გაგვეზრებინა, თუ რა იყო იეზუიტების საქართველოში ფეხის მოკიდების მცდელობის მიზეზები, რა გეგმები ჰქონდათ ამ გამჭოიას და პრაგმატულად მოაზროვნე კათოლიკე მოღვაწეებს. იყო ეს მათი ერთიანი სტრატეგიის ნაწილი თუ მხოლოდ მცდელობა თავიანთი ინტერესების გატარებისა, რატომ ამჯობინეს მეორე პლანზე გადასვლა და ადგილის დათმობა სხვა ორდენებისათვის, რომლებმაც გაცილებით დიდი როლი შეასრულეს მისიონერულ საქმიანობაში? ხომ არ შეინიშნებოდა მათი უჩინარი ხელი სხვა დანარჩენი ორდენების საქმიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე ანდა მეზობელ სახელმწიფოებში? რა თქმა უნდა, ეს ჩასაფიქრებელი კითხვებია, რომელზეც, ვიმედოვნებთ, რომ თანდათანობით გამოიკვეთება სათანადო პასუხები.

ორდენმა თავისი არსებობის მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო მეცნიერების, კულტურულ-საგანმანათლებლო და მისიონერულ საქმიანობაში, არამედ პოლიტიკის სფეროში და დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „რელიგიები საქართველოში“, თბილისი: სახალხო დამცველის აპარატი, 2008. — გვ. 223-227, ISBN 978-9941-0-0902-0.
2. ენციკლოპედია „თბილისი“, თბ., 2002. — გვ. 511, ISBN 99928-20-32-2.
3. .თამარაშვილი მ., „საქართველოს ეკლესიის ისტორია“, რომი, 1910.
4. თამარაშვილი მ., „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტფილისი, 1902.
5. „იესოს საზოგადოების (იეზუიტების) და საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის“ გამოქვეყნდა ჟურნალში „საბა: საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე“ #7, 2007.

MARIAM LOMIDZE

*a second-year student of the International Relations Program
of the New Higher Education Institute-NEWUNI
Supervisor: Associate Professor Nana Tsikhistavi,
affiliated to the New Higher Education Institute-NEWUNI*

SOCIETY OF JESUS AND GEORGIA

Abstract:

Some aspects of the work of the Catholic order "Society of Jesus", in particular, its role in world politics, are discussed in the work. It is significant that together with other Catholic orders, the said order had an attempt to have relations with Georgia.

Our main goal was to show this small part of the past and what political, economic and ideological prerequisite existed for the interest of the "Society of Jesus" or the Jesuits in the relationship with Georgia. Georgian politicians have also taken steps to establish this relationship.

Society of Jesus and Georgia

During the turning of history, the importance and role of Catholic orders in world history and international relations was, is and will be immeasurably great. This idea can be seen from their actions and activities and has even established its place in world politics.

The reformation of the Catholic religion that began in the 16th century and the related religious wars put the Roman Catholic Church in a difficult position. The throne of St. Peter was forced to

respond to him with a counter-reformation, which primarily meant renewing the influence of the Catholic Church in Europe and was aimed at strengthening it. The main striking force in the fight against the counter-reformation was the "Society of Jesus" ("Jesuit Order"), which was founded by the Spanish military-disabled Ignacio Loyola (1492-1556). On September 27, 1540, Paul III (as a layman - Alessandro Farnese (1534-1549)) approved this new order with a bull. The Jesuits adapted the ideas and methodology of the humanist culture characteristic of the Reformation to their own pragmatic goals and intentions, and they spread and invaded the entire Catholic world with dizzying, amazing speed. The interest in Catholic orders and the desire to interact with them existed in Georgia since time immemorial due to the relationship with a strong power, especially in the conditions of the fragmentation of the Georgian state and the aggression of the Muslim environment.

The first steps of the order turned out to be quite successful. One of the prominent professors wrote about this: "Everywhere, wherever the Jesuits appeared, they became known as popular legislators, as organizers of church charity."

The main task of the Society of Jesus was an uncompromising struggle with the Reformation, which they managed perfectly and even earned a powerful name. As disseminators of knowledge and teachings, the Jesuits quickly became the most influential defenders of the Catholic faith during the Protestant Reformation and Counter-Reformation. In the direction of Christian education, which was carried out mainly in universities and high schools, the Jesuits played an important role in many other areas in the history of the Order. They were: educators, spiritual teachers, confessors of the nobles, missionaries among the pagans and scholars. Our interest is to consider the relations between Georgia and the orders

- when, why and for what purpose it started and developed; What was the result of the effort of Georgians in the direction of relations with the Jesuits? It is known to everyone that representatives of two Catholic orders worked in Georgia in the 17th-18th centuries: Theatines and Capuchins. Prior to that, in the 14th-15th centuries, Franciscan and Dominican monks came to Georgia during the period of activity of Giorgi the Magnificent when Georgia's relations with Catholic Rome were strengthened. The Genoese in Sukhumi were mentioned for the first time in 1280, which indicates the existence of a permanent Catholic population in Sukhumi. Here we would like to mention that in the 14th century the number of Catholics increased even more. In 1318, the Pope founded the so-called "Sultan's Triarchate in the State of the Ilkhans", and shortly before that, the foundation of the city of Sultaniye (near Qazvin) was laid, which soon became a missionary center. In 1315 there were already 25 churches. The pope established the chair of the archbishop, who had six assistant bishops, two of whom were in Georgia: one in Tbilisi, and the other in Sukhumi. In this regard, we consider the letter sent by the Englishman Petrus Gerald to the Archbishop of Canterbury, which is dated 1330, to be important. It can be seen from the letter that in addition to the tolerance that existed in Sukhumi in the 14th century, during the time of the Saeristavo of Tskumi and Mamia Dadiani, the owner of Odisha, there were active negotiations between Pope John XXII and King George the Magnificent about the unification of the Catholic and Orthodox churches. According to Gerald's letter, Mamia Dadiani was ready for such a union and to accept Catholicism personally. This is an important fact of the interest of the Georgian nobles in accepting Catholicism.

The Society of Jesus, or the Order of the Jesuits, proved to be more powerful than all other orders, and as soon as it appeared on

the forefront of history, it played the role of restorer and savior to the Catholic Church shaken by the Reformation in the 16th century. The main support of the Catholic Church and the counter-reformation was the Jesuit order, whose homeland was Spain, and Saint Ignatius Loyola is considered the founder of the Society of Jesus, or the Jesuit order.

In the 17th and 18th centuries, political, economic and religious interests generally determined the relations between Georgia and Rome. All this was caused by the political situation of Georgia. In addition to the counter-reformation function, the Society of Jesus was instructed by the Pope to prepare an attack on the Islamic world, and this was quite logical and expected, considering the dynamics of the history of the European countries of the 16th-18th centuries, the fundamental transformation in the political, economic, social and cultural spheres characteristic of that period. It is the combination of these interests that led to the active missionary activity of the Society of Jesus in many countries of the West and East, including Georgia.

The interests of mutual rapprochement and mutual assistance were equal from the European and Georgian sides. The Pope of Rome was the initiator of the creation of the European anti-Ottoman coalition. Iran and Georgia should be united in a coalition with European states (England, Spain, Poland, Russia, etc.). Georgian kings and princes connected their relationship with Europe to economic goals. According to their project, the old "Silk Road" should be restored, which should pass through Georgia and connect Europe with Asia.

Georgia's relationship with the Jesuit order dates back to the 17th century. As Mikel Tamarashvili mentioned in his book, "Georgian Church from the beginning to the present".

The missionaries soon moved to Samegrelo (Odish), where Levan II (1611-1657) Dadiani promised them the best conditions. With the help of Catholic missionaries, Levan Dadian wanted, on the one hand, to raise the cultural level of the population and, on the other hand, to get rid of dependence on the Ottoman economy and establish trade and economic ties with Europe. Catholic missionaries gained great popularity in Odisha because they brought the advanced knowledge of the world at that time, introduced healing, agricultural, engineering and other innovations, taught foreign languages. Levan Dadian together with missionaries developed a plan for trade with European countries. He wanted to offer Europeans the shortest trade route connecting Persia through Odisha principality, which should be acceptable to Iran and European cities, and would bring great economic profit and cultural progress to Odisha itself.

Archangelo Lambert - the famous Catholic traveler and diplomat wrote about Levan Dadiani that if this chief was brought up in their educated country and received education from their best teachers, no chief could surpass him.

With the above facts, we tried to understand what were the reasons for the Jesuits trying to set foot in Georgia, what were the plans of these shrewed and pragmatic Catholic figures. Was it part of their unified strategy or just an attempt to pursue their interests, why they preferred to move to the background and give way to others. For the orders that played a much larger role in missionary work? Was their invisible hand visible in the activities of other orders on the territory of Georgia or in the neighboring states? Of course, these are thought-provoking questions to which, we hope, appropriate answers will emerge gradually.

During its existence, the Order played a great role not only in scientific, cultural-educational and missionary activities, but also

in the field of politics and continues its activities successfully even today.

Used literature:

1. "Religions in Georgia", Tbilisi: Office of the Public Defender, 2008. — p. 223-227, ISBN 978-9941-0-0902-0.
2. Encyclopedia "Tbilisi", volume, 2002. — p. 511, ISBN 99928-20-32-2.
3. Tamarashvili M., "History of the Church of Georgia", Rome, 1910.
4. Tamarashvili M., "History of Catholicism among Georgians", Tbilisi, 1902.
5. "The relationship between the Society of Jesus (Jesuits) and Georgia." for the issue" was published in the magazine "Saba: Catholicism of Georgia Monthly Herald" #7, 2007.

მარიამ მსხვილიძე

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

ასპათ შამუგია

ეკონომიკის დოქტორი,

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

ელექტრონული კომერციის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ანოტაცია

XXI საუკუნე ციფრული ეპოქაა, სადაც ყველაფერი, რაც გვსურს შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ერთი მოქმედებით. 2019 წელი შესანიშნავი აღმოჩნდა ელექტრონული კომერციის ინდუსტრიისთვის, რადგან მისმა მსოფლიო შემოსავალმა 3.53 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა და 2023 წლის ბოლოსთვის 6.54 ტრილიონ დოლარს მიაღწია ელექტრონული კომერციის ზრდის თვალსაზრისით; ეს ციფრები ყველაფერზე მეტყველებს, ეჭვგარეშეა, რომ ელექტრონული კომერცია, ციფრულ ბაზარზე პოზიციებს დღითიდღე გაზრდის.

გლობალურმა პანდემიამ უდავოდ მოახდინა ერთ – ერთი ყველაზე დიდი გავლენა ელექტრონულ კომერციაზე. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის ფონზე კომერციული ობიექტები დაიხურა, კრიზისის განმავლობაში მათზე მარტივი წვდომა იყო და ჩვენ, ყველანი, სულ უფრო და უფრო მეტ ონლაინ მაღაზიას მივმართავდით. ექსპერტების აზრით, კორონავირუსის გავლენა არ იყო მოკლევადიანი ელექტრონული კომერციის ზრდისთვის, COVID-19 დასრულების შემ-

დეგაც ინარჩუნებს პოზიციებს ბაზარზე და აგრძელებს ზრდას. ელექტრონული კომერციის ინდუსტრია მუდმივად ვითარდება და ამ ინდუსტრიის საცალო ვაჭრობისთვის აუცილებელია დამატებითი ზრუნვა უახლესი ტენდენციების შესაბამისად, რადგან მას შეუძლია ბრენდის შექმნა ან გაწყვეტა სამუდამოდ. უმჯობესია თანამედროვე ინოვაციური კომპანიები მოერგონ ამ ტენდენციებს ახლა და მომავალში, რათა დარწმუნდნენ, რომ ყოველთვის უსწრებენ დროს.

მოცემულ საკონფერენციო ნაშრომში წარმოდგენილია ელექტრონული კომერციის უპირატესობები და ნაკლოვანებები. გააანალიზებულია ელექტრონული ბიზნესის განვითარების ტენდენციები. ასევე განხილულია ელექტრონული კომერციის ხელშემწყობი გარემოებები. შემოთავაზებულია ელექტრონული კომერციისთვის საჭირო ეტაპები. საბოლოოდ კი ჩამოყალიბებულია დასკვნა.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული, კომერცია, ციფრული, ონლაინ, ბიზნესი, კომპანია.

ელექტრონული კომერციის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ ელექტრონული კომერციის უპირატესობები. ესენია:

- **სიმარტივე:** ტრადიციული ბიზნესისგან განსხვავებით, ონლაინ მაღაზიის გახსნა უკვე ძალიან მარტივია, არ საჭიროებს განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას ან ფინანსურ ინვესტიციას.
- ამის შესაძლებლობას ქმნის ელექტრონული კომერციის გლობალური და ადგილობრივი მზა პლატფორმები.

- **ფასი:** 1999 წელს ონლაინ მაღაზიის შექმნის ღირებულება დაახლოებით, 100 000\$ იყო. ტექნოლოგიების განვითარების კვალ-დაკვალ, პროდუქტის გაყიდვა ონლაინ სავაჭრო პლატფორმაზე
- ან საკუთარი ონლაინ მაღაზიის შექმნა თვეში მინიმალური თანხითაა შესაძლებელი.
- **მოქნილობა:** ონლაინ მაღაზია დროში შეუზღუდავად, სტანდარტული სამუშაო საათების მიღმა ფუნქციონირებს, რაც ტრადიციულ მაღაზიასთან შედარებით, მისი დიდი უპირატესობაა.
- **ანალიტიკა:** ონლაინ მაღაზიაში ინტეგრირებული ანალიტიკური ხელსაწყოები და თავად ონლაინ მაღაზიის სამართავი პანელი საიტზე შესული მომხმარებლის ქცევის შესახებ,
- დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა – რომელი კატეგორიით ან პროდუქციით ინტერესდება მეტად, რა პროდუქტს ეძებს და ა. შ. ამ მონაცემების გაანალიზების
- საფუძველზე, შესაძლებელი ხდება, მომხმარებლებს მიეწოდოს მათზე მორგებული შეთავაზებები.
- **აუდიტორია:** ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მომხმარებლებს გეოგრაფიული არეალის შეზღუდვის გარეშე მიეწოდოს პროდუქტისა, თუ სერვისის შესახებ ინფორმაცია.
- ელექტრონული კომერციის ნაკლოვანებებია:

ვირტუალური პროდუქცია

მომხმარებელთა დიდი ნაწილისთვის ისევ მნიშვნელოვანია პროდუქტის ფიზიკურად ნახვა და შემდეგ შეძენა. ROBO – Research Online Buy Offline (მოძებნე ონლაინ, შეიძინე ფიზიკურ სივრცეში) ბოლო პერიოდის აქტუალური ტენდენციაა. იმისთვის, რომ მომხმარებელს პროდუქციის ონლაინ შეძენის პროცესი გაუმარტივდეს, აუცილებელია, საიტზე წარმოდგენილი პროდუქტის შესახებ, დეტალური ინფორმაციის მიწოდება (ფოტოები, სადაც კარგად ჩანს პროდუქტი,

სიტყვიერი და ვიდეო აღწერილობა, მომხმარებლის შეფასებები), რაც მას ონლაინ შესყიდვის გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ამასთან, მნიშვნელოვანია, ეცნობოს გარანტიისა და ნივთის უკან დაბრუნების პირობებიც.

ტექნიკური გამართულობა

ონლაინ მაღაზიის შექმნის სიმარტივის პარალელურად, არცთუ ისე იშვიათია ტექნიკური პრობლემები. საიტის გათიშვა, ჩატვირთვის სისწრაფე, მობილური ვერსიისთვის არაოპტიმიზებული საიტი და სხვ. – აუცილებლად მოსაგვარებელი ტექნიკური პრობლემებია, რათა ონლაინ მაღაზიამ მიიზიდოს და შეინარჩუნოს მომხმარებელი.

ნდობა

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია უსაფრთხოება გადახდისას. ქართული ონლაინ მაღაზიების უმეტესობისთვის დამახასიათებელია ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდა, როდესაც მომხმარებელს ნაცვლად იმისა, რომ შეიყვანოს ბარათის მონაცემები ან გადარიცხოს საბანკო ანგარიშიდან, ურჩევნია პროდუქტის ადგილზე მიღებისას, თანხა კურიერს გადაუხადოს.

მიწოდება

როგორც წესი, საქართველოში არსებული ონლაინ მაღაზიების მიწოდების სერვისი, სტანდარტულად, 2-3 სამუშაო დღეს გულისხმობს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ონლაინ მაღაზია პროდუქციას საკუთარი საწყობიდან არ ყიდის, უწევს მისი მომწოდებლისგან ჩამოღება და შესაბამისად, მიწოდების დრო ხანგრძლივდება. მომხმარებელთა უმრავლესობისთვის ეს მოუხერხებელია და დისკომფორტს ქმნის.

კონკურენცია

გამომდინარე იქიდან, რომ ონლაინ მაღაზიის შექმნა მარტივია, რა თქმა უნდა, იზრდება კონკურენციაც.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩამოვაცალიბოთ ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშემწყობი გარემოებები. ესენია:

1990 წელს პირველი ვებბრაუზერი Netscape აღმოჩნდა ხელშემწყობი ონლაინ შოპინგის განვითარებისთვის: ინტერნეტ მომხმარებლებს მარტივად შეეძლოთ ენახათ, რასაც ეძებდნენ, ხოლო კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ, უფრო ფართო აუდიტორიისთვის გაეცნოთ საკუთარი პროდუქცია. Netscape's SSL-ით (Secure Sockets Layer) კი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლებელი გახდა უსაფრთხო ტრანზაქციების ონლაინ განხორციელება.

პირველი ონლაინ ტრანზაქცია 1994 წლის 11 აგვისტოს განხორციელდა: ფილ ბრენდენბერგერმა NetMarket-ზე შეიძინა სტინგის CD დისკი: Ten Summoners' Tales. ამ ფაქტს სპეციალური სტატიაც მიეძღვნა ნიუ იორკ ტაიმსში სათაურით: Attention Shoppers: Internet is Open. „ყურადღება მყიდველებო: ინტერნეტი ღიაა“.

1995 წელს ამაზონისა და იბეის ბაზარზე შემოსვლით, ონლაინ სავაჭრო პლატფორმების ბუმი დაიწყო. ელექტრონული კომერციის განვითარება სწორედ ამ ორი კომპანიის სახელთანაა დაკავშირებული. ამაზონმა ონლაინ მაღაზიის სწორ დროს შექმნითა და მუდმივი სიახლეებით შეძლო მომხმარებელზე ორიენტირებული ელექტრონული კომერციის განვითარება. იბეის დამფუძნებლის, პიერ ომიდიარის მიერ AuctionWeb-ის სახელწოდებით დაწყებულ პლატფორმაზე ნებისმიერ მომხმარებელს (არა მხოლოდ მეწარმეს ან ტექნოლოგიებში გარკვეულ პირს) მიეცა შესაძლებლობა, დარეგისტრირებულიყო და გაეყიდა პროდუქტი. ეს იმ დროისთვის სიახლე იყო და შედეგმაც არ დააყოვნა: 2007 წელს იბეის უკვე 220 მილიონი მომხმარებელი ჰყავდა.

1998 წელს ჩნდება ფეიფალი, როგორც თანხის გადარიცხვის უსაფრთხო საშუალება და მისი პოპულარობა სწრაფად იზრდება. სწრაფი გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მეწარმეები უამრავ ონლაინ მაღაზიას ხსნიან, ელექტრონულ კომერციაში მილიონობით დოლარის ინვესტიცია ხორციელდება, თუმცა, 2000 წელს მომხიბლავი Dot-com bubble2 გასკდა და შედეგად, უამრავი ონლაინ მაღაზია გაკოტრდა.

2006 წელს მზა ონლაინ პლატფორმების შექმნით, როგორიცაა Shopify, BigCommerce და ა. შ. ელექტრონული კომერციით დაინტერესებულ მეწარმეებს დიდი ფინანსური ინვესტიციისა და ადამიანური რესურსის გარეშე მიეცათ საშუალება, მარტივად შეექმნათ ონლაინ მაღაზიები. 2020 წლის გლობალური პანდემიის გამო, მაღაზიები ფიზიკურად დაიხურა, რამაც დაახლოებით, 5 წლით მაინც დააჩქარა ონლაინ ტრანსფორმაციის პროცესი. ჩვენი ვარაუდით, 2040 წლისთვის შესყიდვების 95% სწორედ ონლაინ წარიმართება.

2023 წლის მონაცემებით, ამერიკაში პოპულარული საიტები, ყოველთვიური ვიზიტორების მიხედვით, ასე გამოიყურება: ამაზონი – 2.5 მილიარდი; იბეი – 940 მილიონი; ვოლმარტი – 450 მილიონი.

ყველაზე პოპულარული ელექტრონული კომერციის პლატფორმა WooCommerce-ია, რომელსაც ბაზრის 26% უკავია. შემდეგ მოდის Shopify – 17% და Wix – 13%.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ელექტრონული კომერციისთვის საჭირო ეტაპებს. ესენია:

პირველი

პროდუქტის ან მომსახურების ონლაინ გასაყიდად, ბევრი არჩევანია და შესაბამისად, სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება აუცილებელი. პირველ ყოვლისა, ინოვაციურმა კომპანიებმა საჭიროა მიიღ-

ონ გადაწყვეტილება, თუ როგორ გეგმავენ ონლაინ გაყიდვებს: საერთაშორისო ან ადგილობრივ სავაჭრო პლატფორმებზე მოახდენენ პროდუქციის რეალიზაციას თუ შექმნიან საკუთარ ონლაინ მაღაზიას. ამისათვის კი მათ შეუძლიათ ააწყონ ვებგვერდი ნულიდან ან ისარგებლონ ელექტრონული კომერციის მზა პლატფორმებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის გადაწყვეტა, თუ როგორ განხორციელდება ონლაინ მაღაზიის მართვა: საკუთარი პროდუქტით საწყობში თუ სხვისი პროდუქტით. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს (პირებს) თავად შეუძლია პროდუქციის წარმოება ან საწყობში მომარაგება, არჩევანი ამ მიმართულებით უნდა გაკეთდეს. მისი უპირატესობაა მარაგების კონტროლის შესაძლებლობა. თუმცა, პროდუქტის დასაწყობება ფინანსურად მეტ ინვესტიციასთან არის დაკავშირებული. პროდუქტის არათვითწარმოების შემთხვევაში, საჭიროა, სწორად შეირჩეს გაყიდვადი და აქტუალური მოდელები და შეისყიდონ იმ რაოდენობით, რომ მისი დროულად რეალიზება შესაძლებელი იყოს. თუ თავდაპირველად დიდი ინვესტიციის განხორციელება არასასურველია ან არაა შესაძლებელი, არსებობს პირდაპირი მიწოდების ე.წ. დროფშიფინგის მოდელი. დროფშიფინგის დროს, დროფშიფერი თანხას მხოლოდ მაშინ უხდის მიმწოდებელს, როდესაც მომხმარებელი საიტზე ნივთს შეუკვეთს. მისი უპირატესობა მცირე კაპიტალი, სიმარტივე და გასაყიდი პროდუქციის ფართო არჩევანია. რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ეს არის დიდი კონკურენცია, მცირე ფასნამატი, მარაგების კონტროლის სირთულე, ტრანსპორტირება, მიმწოდებლის მიერ პროდუქციის გაგზავნისას დაშვებული შეცდომა და სხვ. თუ ინოვაციურ კომპანიებს აქვთ იდეა, რომ შექმნან კონკრეტული პროდუქტი ან გაყიდონ მათი რჩეული პროდუქტი საკუთარი ბრენდით ისე, რომ თავად არ აწარმოონ, ამისთვის არსებობს ე. წ. **white labeling**. ასეთ შემთხვევაში, პროდუქტის შექმნას ისინი უკვეთენ მესამე პირს, მწარმოებელს, მათივე ბრენდირებით.

მეორე

უნდა შეირჩეს ისეთი პროდუქტი და მომსახურება, რომელზეც მაღალი მოთხოვნაა. ეს მარტივი არ არის, თუმცა, ბაზარზე დაკვირვებით, შესაძლებელია. მაგალითად, ამაზონზე მოთხოვნადი და გაყიდვადი პროდუქტების კვლევა შესაძლებელია Jungle Scout-ის ვებპორტალის საშუალებით. კვლევის დაწყება მარტივია Amazon Best Sellers List-ით.

მესამე

პროდუქტიდან გამომდინარე, საჭიროა სამიზნე აუდიტორიის კვლევა, ვინ არის გასაყიდად არჩეული პროდუქტის იდეალური მომხმარებელი. როგორია მათი დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ფსიქოგრაფიული და ქცევითი მახასიათებლები: საკმარისია თუ არა ამ სეგმენტის მოცულობა მათზე თარგეთირებისთვის.

მეოთხე

თუ ბიზნესმოდელი, პროდუქტი და სეგმენტი განსაზღვრულია, დროა ბიზნესის იურიდიული ფორმა და სახელწოდებაც შეირჩეს. ონლაინ მაღაზია სამეწარმეო საქმიანობას გულისხმობს, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ბიზნესს იურიდიული მხარე მოგვარებული ჰქონდეს. ყველაზე ხშირად ირჩევენ ინდივიდუალურ მეწარმეს ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. ამ ორ ფორმას შორის, ძირითადი განსხვავება არის ბიზნესის დავალიანებაზე პასუხისმგებლობა. დასაწყისისთვის, შესაძლებელია მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსით სარგებლობა. მიკრო ბიზნესის შემთხვევაში, მეწარმე საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფალია, ხოლო მცირე ბიზნესის შემთხვევაში, შეღავათიანი დაბეგვრით სარგებლობს.

მეხუთე

პლატფორმა, დომენი, ჰოსტინგი. დომენი ვებგვერდის მისამართია ონლაინ სივრცეში. დომენების რეგისტრაცია საქართველოში შესაძლებელია რამდენიმე რეგისტრატორთან: დომენის რეგისტრაციასთან ერთად, შესაძლებელია ჰოსტინგის არჩევა. ჰოსტინგი გულისხმობს ჰოსტინგის პროვაიდერი კომპანიის მიერ შემოთავაზებულ სერვისის ვებგვერდის ინტერნეტში განსათავსებლად. პლატფორმის არჩევისას, ყურადღება უნდა მიექცეს: სიმარტივეს, ვიზუალურ მხარეს, ფუნქციონალს, გადახდის არხების ინტეგრაციას, მომსახურების ღირებულებას, სეო ოპტიმიზაციის შესაძლებლობას, ანალიტიკური პროგრამების ინტეგრაციას და ა. შ.

მეექვსე

ამ ყველაფრის შემდეგ, ვებგვერდის ინტერნეტ სივრცეში პოპულარიზაციისა და გაყიდვებისათვის, საჭიროა კარგად გამართული ციფრული მარკეტინგული სტრატეგია. სოციალური მედია არხები, საძიებო სისტემისთვის ოპტიმიზებული საიტი, თარგეტირებული რეკლამა, იმეილ მარკეტინგი, კონტენტ მარკეტინგი, რომელიც განაპირობებს არა მხოლოდ ვიზიტორთა და რეგისტრირებულ მომხმარებელთა რიცხვის ზრდას ონლაინ მაღაზიაში, არამედ უშუალოდ გაყიდვების რაოდენობასაც.

დასკვნა:

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესისთვის დღეს უკვე აუცილებლობაა. ნებისმიერ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ტექნოლოგიები საკუთარი ბიზნესის წარმატებისთვის. ინოვაციურმა კომპანიებმა საჭიროა დაისახონ მიზნები, განსაზღვრონ სტრატეგია, შეაფასონ და გააანალიზონ მიღებული შედეგები და იყონ მუდამ მზად ცვლილებებისთვის,

რათა მათ ონლაინ ბიზნესი მაქსიმალურად მოარგონ თანამედროვე მოთხოვნებსა და მომხმარებელთა საჭიროებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვეკუა გ., ბოლოთაშვილი მ., პაპიაშვილი ა., „ბიზნესი ონლაინ“, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, თბ., 2022
2. ელექტრონული კომერცია საქართველოში, სექტორის მიმოხილვა, 20 ივლისი, 2021 წელი, <https://galtandtaggart.com/en/reports/research-reports/e-commerce-georgia>
3. Desk.ge-პლატფორმაზე ონლაინ მაღაზიის შექმნის ღირებულება: <https://desk.ge/pricing> 2021 წელი 1
4. Unishop.ge-ს პლატფორმაზე ონლაინ მაღაზიის შექმნის ღირებულება: <https://unishop.ge/pricing> 2021 წელი
5. ონლაინ მაღაზიის შექმნის ღირებულება wix.com-ზე: <https://www.wix.com/upgrade/website>
6. ონლაინ მაღაზიის შექმნის ღირებულება შოპიფაიზე: <https://www.shopify.com/pricing> 2021 წელი
7. Statista.com, <https://www.statista.com/statistics/242235/number-of-ebays-total-active-users>
8. firstsiteguide.com
9. Dot-com bubble – „დოტ-კომპების კრიზისი“, <https://www.investopedia.com/terms/d/dotcom-bubble.asp>
10. სტატიის ბმული: <https://www.nytimes.com/1994/08/12/business/attention-shoppers-internet-is-open.html>
11. <https://www.mygo.ge/ka/43/blog/2021-wlis-elektronuli-kommerciis-ganviTarebis-tende.html>

მარიამ ქარუმი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
საერთაშორისო ურთიერთობების
საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

თეა ლორთქიფანიძე

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
აფილირებული პროფესორი

ბრიუსელი - ევროკავშირის პოლიტიკური დედაქალაქი (ისტორიული ანალიზი)

ევროკავშირი (EU) არის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური და წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება თანამედროვე ისტორიაში. ის, რაც დაიწყო, როგორც მშვიდობისა და ომის შედეგად განადგურებულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხედვა, გადაიქცა კომპლექსურ ერთეულში, რომელიც აყალიბებს 450 მილიონზე მეტი ევროპელის ცხოვრებას. ეს ესე იკვლევს ევროკავშირის საფუძვლებს, მიღწევებს, გამოწვევებს და სამომავლო პერსპექტივებს.

ევროკავშირი უნიკალური გაერთიანებაა, რომელიც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე უწყვეტად ვითარდება. ევროკავშირი ხელმძღვანელობს შეთანხმებებით, კანონქვემდებარე აქტებით, ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული დებულებებით, დირექტივებითა და რეკომენდაციებით, რაც ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასთან ერთად არის იმ გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებსაც იღებენ ევროკავშირის საბჭო (წარმოადგენს ეროვნულ მთავრობებს), ევროპარლამენტი (წარმოადგენს ხალხს), ევროკომისია (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებისგან დამოუკიდებელი ორგანო და იცავს საერთო ევროპულ ინტერესებს) და სხვა ევროკავშირის ინსტიტუტები და ორგანოები.

ის არის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. ევროკავშირი ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, კანონის უზენაესობის პატივისცემა, აგრეთვე, ადამიანის უფლებების პატივისცემა. ეს ფასეულობები აერთიანებს ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანას რომელსაც ახასიათებს პლურალიზმი, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და თანასწორობა მის 446 მილიონი მოქალაქის მიმართ.

ევროკავშირის ფესვები იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, სადაც ომის განადგურებამ აიძულა ევროპელი ლიდერები ეძიათ გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა ეკონომიკური ინტეგრაციის გზით. 1957 წელს რომის ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC), რომელიც ფოკუსირებული იყო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების თანდათანობით მოხსნაზე. დროთა განმავლობაში, ევროკავშირმა გააფართოვა თავისი სფერო ეკონომიკური საკითხების მიღმა და მოიცავდა პოლიტიკურ თანამშრომლობას, სოციალურ პოლიტიკას და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

ევროკავშირმა დაარსების დღიდან მიაღწია მნიშვნელოვან ეტაპებს:

მშვიდობა და სტაბილურობა: ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და პოლიტიკური თანამშრომლობის ხელშეწყობით ევროკავშირმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშვიდობის შენარჩუნებაში ევროპაში, განსაკუთრებით ისტორიულად კონფლიქტისკენ მიდრეკილ რეგიონებში.

ერთიანი ბაზარი: ერთიანი ბაზრის შექმნამ საქონლის, სერვისების, კაპიტალისა და შრომის თავისუფალი გადაადგილებით გაზარ-

და ეკონომიკური ზრდა, გაზარდა მომხმარებელთა არჩევანი და გაზარდა კონკურენტუნარიანობა წევრ ქვეყნებს შორის.

სავალუტო კავშირი: ევროს, როგორც ერთიან ვალუტად მიღებამ ბევრ წევრ სახელმწიფოში ხელი შეუწყო ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას, შეამცირა ტრანზაქციის ხარჯები და ხელი შეუწყო ეკონომიკურ სტაბილურობას ევროზონაში.

სოციალური ერთიანობა: სხვადასხვა პოლიტიკისა და დაფინანსების პროგრამების მეშვეობით ევროკავშირმა ხელი შეუწყო სოციალურ ერთიანობას, შეამცირა ეკონომიკური უთანასწორობა რეგიონებს შორის და მხარი დაუჭირა დაუცველ ჯგუფებს.

გარემოს დაცვა: ევროკავშირი იყო გლობალური ლიდერი გარემოსდაცვითი პოლიტიკის კუთხით, რომელიც ადგენს ამბიციურ მიზნებს განახლებადი ენერგიის, ემისიების შემცირებისა და მდგრადი განვითარებისთვის.

მიუხედავად წარმატებებისა, ევროკავშირი რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას:

ბრექსიტი და ევროსკეპტიციზმი: გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილებამ დატოვოს ევროკავშირი, (Brexit) ხაზი გაუსვა სუვერენიტეტთან, იმიგრაციასა და ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ განხეთქილებასა და გამოწვევებს. ევროსკეპტიკური განწყობა გაიზარდა სხვა წევრ ქვეყნებშიც.

ეკონომიკური უთანასწორობა: ეკონომიკური უთანასწორობა შენარჩუნებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპას შორის, რაც გამოწვევებს უქმნის ეკონომიკურ კონვერგენციასა და სოციალურ ერთიანობას.

მიგრაცია და საზღვრის უსაფრთხოება: მიგრაციული ნაკადების მართვა და საზღვრის ეფექტური უსაფრთხოების უზრუნველყოფა რჩება საკამათო საკითხებად, რაც გამწვავებულია გეოპოლიტიკური არასტაბილურობითა და ჰუმანიტარული კრიზისებით.

დემოკრატიული დეფიციტი: ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების კრიტიკამ გამოიწვია მეტი გამჭვირვალობისა და დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნილება.

მომავალს რომ ვუყურებ, ევროკავშირი თავისი ისტორიის გადამწყვეტი მომენტის წინაშე დგას.

ინტეგრაცია სუვერენიტეტის წინააღმდეგ: გრძელდება დებატები ეროვნულ სუვერენიტეტსა და შემდგომ ინტეგრაციას შორის ბალანსის შესახებ, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ფისკალური პოლიტიკა, თავდაცვის თანამშრომლობა და სოციალური პოლიტიკა.

ციფრული ტრანსფორმაცია: ციფრული ინოვაციების მიღება და ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა გადამწყვეტი იქნება კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის.

კლიმატის ქმედება: კლიმატის მოქმედებისადმი ვალდებულებების გაძლიერება და 2050 წლისთვის კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევა ევროკავშირის გრძელვადიანი მდგრადობის მიზნებისთვის ცენტრალურია.

გლობალური ლიდერობა: გლობალური დინამიკის განვითარებასთან ერთად, ევროკავშირის აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს თავი მულტილატერალიზმის, ადამიანის უფლებებისა და გლობალური მმართველობის ჩემპიონად.

ევროკავშირი ადასტურებს თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ძალას ისტორიული განხეთქილების დასაძლევად და მის წევრ ქვეყნებს შორის მშვიდობის, კეთილდღეობისა და სოლიდარობის ხელშეწყობაში. მიუხედავად გამოწვევებისა, ევროკავშირი ერთგული რჩება დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ფუძემდებლური პრინციპების მიმართ. ამ გამოწვევების გა-

დალახვით და რეფორმებისა და განახლების შესაძლებლობების გამოყენებით, ევროკავშირის შეუძლია გააგრძელოს გადამწყვეტი როლის შესრულება ევროპისა და მსოფლიოს უფრო აყვავებული და მდგრადი მომავლის ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა ქალაქებს, როგორებიცაა: სტრასბურგი, ლუქსემბურგი და ბერლინი აქვთ უნიკალური უპირატესობები, ბრიუსელი გამოირჩევა, როგორც ოპტიმალური არჩევანი ევროკავშირის ინსტიტუტების მასშინძლობისთვის. მისი ცენტრალური მდებარეობა, მდიდარი ისტორიული მნიშვნელობა ევროპულ ინტეგრაციაში, ფართო ინფრასტრუქტურა, მაღალი მულტიკულტურალიზმი და ძლიერი ეკონომიკური სტაბილურობა მას ევროკავშირის მმართველობის, დიპლომატიის და საერთაშორისო თანამშრომლობის იდეალურ ცენტრად აქცევს. ბრიუსელი არა მხოლოდ ევროპის ერთიანობისა და მრავალფეროვნების სიმბოლოა, არამედ უზრუნველყოფს პრაქტიკულ უპირატესობებს ევროკავშირის ეფექტური ოპერაციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებისთვის.

ევროკავშირი არის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური და წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება თანამედროვე ისტორიაში, რომელიც განასახიერებს უნიკალურ ექსპერიმენტს ზესახელმწიფოებრივ მმართველობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული, ომით განადგურებულ კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის ფუნდამენტური მიზნით, ევროკავშირი გადაიქცა მრავალმხრივ ორგანიზაციად, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ მის 27 წევრ სახელმწიფოზე, არამედ გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლანდშაფტზე. თავისი სხვადასხვა ინსტიტუტისა და პოლიტიკის მეშვეობით, ევროკავშირი ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას, საკანონმდებლო ჰარმონიზაციას და სო-

ციალურ ერთობლიობას, ამასთან ერთად ებრძვის რთულ გამოწვევებს, როგორიცაა პოლიტიკური ფრაგმენტაცია, ეკონომიკური უთანასწორობა და გარე ზეწოლა. ეს შესავალი იძლევა კარიბჭეს ევროკავშირის წარმოშობის, მისი მრავალმხრივი როლისა და მუდმივი ძალისხმევის შესასწავლად, რათა დააბალანსოს ერთიანობა მრავალფეროვნებასთან მუდმივად ცვალებად სამყაროში.

ბრიუსელს, ბელგიის დედაქალაქს, აქვს გამორჩეული პატივი იყოს ევროკავშირის დედაქალაქი. ეს სტატუსი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ან ისტორიული შემთხვევითობის საკითხი, არამედ არის მთელი რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური მოსაზრებების შედეგი, რამაც ბრიუსელი ევროკავშირის ინსტიტუტებისა და საქმიანობის ცენტრალურ ცენტრად აქცია. იმის გაგება, თუ რატომ გაჩნდა ბრიუსელი ევროკავშირის დედაქალაქად, საჭიროა მისი ისტორიული კონტექსტის, სტრატეგიული მდებარეობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და საერთაშორისო დიპლომატიის ჩამოყალიბებული ქალაქის ინფრასტრუქტურის შესწავლა.

ისტორიული კონტექსტი და ნეიტრალიტეტი

გადაწყვეტილება ბრიუსელის ევროკავშირის დედაქალაქად ქცევის შესახებ შეიძლება მივიჩნიოთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული ინტეგრაციის საწყისად. ბელგია, თავისი ცენტრალური მდებარეობით ევროპაში და შემოჭრისა და ოკუპაციის ისტორიული გამოცდილებით, სურდა მხარი დაეჭირა ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან მშვიდობასა და სტაბილურობას კონტინენტზე. როგორც ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების (ECSC) ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი 1951 წელს, შემდეგ კი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC) 1957 წელს, ბელგია აქტიურად იყო ჩართული ევროპული ინტეგრაციის ადრეულ ეტაპში.

ბრიუსელის არჩევანზე გავლენა იქონია მისმა პოლიტიკურმა ნეიტრალიტეტმა და უფრო პატარა ევროპული ქვეყნის სტატუსმა, რამაც შეამსუბუქა შემოფოთება დიდი ერების დომინირებასთან დაკავშირებით.

სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა

გეოგრაფიულად, ბრიუსელი იკავებს ცენტრალურ პოზიციას ევროპაში, რაც მისაწვდომს ხდის მას ევროპის სხვადასხვა დიდი ქალაქებისთვის. ეს ცენტრალურობა გადამწყვეტია ორგანიზაციისთვის, რომელიც მოიცავს კონტინენტზე გავრცელებულ მრავალფეროვან ერებს. ბრიუსელის მდებარეობა ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს შორის მოგზაურობასა და კომუნიკაციას, რაც ზრდის ევროკავშირის ოპერაციების ეფექტურობას. მისი პოზიცია დასავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე აქცევდა მას პრაქტიკულ და სიმბოლურ არჩევანს გაერთიანებისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპულ ქვეყნებს შორის ერთიანობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას.

დიპლომატიური ინფრასტრუქტურა

ბრიუსელის შექმნილმა ინფრასტრუქტურამ საერთაშორისო დიპლომატიის და მმართველობისთვის ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის ევროკავშირის დედაქალაქად არჩევაში. ჯერ კიდევ სანამ ევროკავშირის დედაქალაქი გახდებოდა, ბრიუსელი უკვე მასპინძლობდა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასა და დიპლომატიურ მისიებს. 1967 წლიდან ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინის არსებობამ კიდევ უფრო გააძლიერა ქალაქის, როგორც საერთაშორისო დიპლომატიის ცენტრის სტატუსი. ეს ადრე არსებული ინფრასტრუქტურა ნიშნავდა იმას, რომ ბრიუსელი კარგად იყო აღჭურვილი ევროკავშირის მზარდი ინსტიტუტების ადმინისტრაციული და ლოგისტიკური საჭიროებების მხარდასაჭერად.

ევროკავშირის ინსტიტუტების კონცენტრაცია

წლების განმავლობაში ბრიუსელი გახდა ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების სახლი, რაც აძლიერებს მის, როგორც ევროკავშირის დედაქალაქის როლს. ევროკომისია, ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო, დაფუძნებულია ქალაქში, ევროპულ საბჭოსთან ერთად, სადაც იკრიბებიან წევრი ქვეყნების სახელმწიფოების ან მთავრობების მეთაურები ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგის დასადგენად. ევროპარლამენტი, რომელსაც ასევე აქვს ადგილები სტრასბურგსა და ლუქსემბურგში, პლენარული სესიებისა და კომიტეტის შეხვედრების უმეტესობას ბრიუსელში ატარებს. ინსტიტუტების ეს კონცენტრაცია ქმნის დინამიურ გარემოს, სადაც მიმდინარეობს პოლიტიკის შემუშავება, საკანონმდებლო პროცესები და საერთაშორისო მოლაპარაკებები, რაც ხელს უწყობს უნიკალურ პოლიტიკურ ეკოსისტემას.

ბრიუსელის ევროკავშირის დედაქალაქად აღიარება მისი სტრატეგიული მდებარეობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და კარგად განვითარებული დიპლომატიური ინფრასტრუქტურის დასტურია. ამ ფაქტორებმა, ევროინტეგრაციისადმი ქალაქის ისტორიულ ერთგულებასთან და ევროკავშირის ინსტიტუტების კონცენტრაციასთან ერთად, განამტკიცა მისი სტატუსი, როგორც ევროპული მმართველობის გულის. სანამ ევროკავშირი აგრძელებს განვითარებას, ბრიუსელი რჩება კავშირის მისწრაფების სიმბოლოდ მშვიდობის, თანამშრომლობისა და ერთიანობისკენ ევროპის მრავალფეროვან ერებს შორის.

მიზა კუჭავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობით
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-2 კურსის
სტუდენტი

ხელმძღვანელი:

დავით ბაჟარიძე,

საერთაშორისო სამართლის დოქტორი, პროფესორი

გაერო გზაჯვარედინზე: რეფორმები გლობალური კრიზისის ეპოქაში

„ცივი ომის“ დასრულებისთანავე და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებისას ნათელი გახდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო არსებულ ფორმატში ვეღარ ასრულებს თავის ვალდებულებებს. ეს გამოიკვეთა ვერ 2008 წლის რუსეთის ფედერაციის აგრესიის დროს საქართველოს წინააღმდეგ, სირიაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებისას, 2014 წლიდან უკრაინაში მიმდინარე პროცესებისას, რომელიც 2022 წელს გადაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის კონტინენტზე ყველაზე დამანგრეველ და სისხლისმღვრელ ომში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები თავიანთი ინტერესიდან გამომდინარე იყენებენ ვეტოს უფებას, რის გამოც ვერ ხერხდება კონფლიქტების გადაჭრა. მოგვსენებათ გაეროს თავდაპირველი ამოცანა გახლდათ შეიარაღებული კონფლიქტების აღმოფხვრა. დღეს გაეროს რეფორმას განიხილავს მრავალი სახელმწიფო რათა არსებულ ვითარებაში უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი მსოფლიო მშვიდობა.

ნაშრომში ვეცდებით განვიხილოთ გაეროს რეფორმირების აუცილებლობა.

ისტორია

მოგეხსენებათ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვერსალის შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაცია სახელად “ერთა ლიგა”, რომლის მთავარი მიზანი იყო მსოფლიოში მშვიდობისა და კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყანათა შორის არსებული უთანხმოებების მოგვარება დიპლომატიური მოლაპარაკებებით.

თუმცა “ერთა ლიგის” სისტემა აღმოჩნდა არასრულყოფილი და მან ვერ შეძლო მეორე მსოფლიო ომის შეჩერება.

თვითონ იდეა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც გააერთიანებდა მსოფლიოში არსებულ ყველა სუვერენულ სახელმწიფოს გაჩნდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. 1941 წელს სამხედრო ხომალდზე, ატლანტიკურ ოკანეში, აშშ-ს პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა და გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრა უინსტონ ჩერჩილმა გააფორმეს „ატლანტიკური ქარტია“. ამ დოკუმენტში აისახა ორი ქვეყნის მიზანი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით აგრეთვე მათი ხედვა ომის შემდგომ პერიოდის მოწყობაზე.

1945 წელს სან-ფრანცისკოში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე, მონაწილეობდა 50 სახელმწიფო, რომლებიც იყვნენ გაერო-ს დამფუძნებლები. კონფერენცია მოწვეულ იქნა დიდი ბროტანეთის, სსრკ-ს და აშშ-ს ეგიდით.

ახალი ორგანიზაციის ძირითადი მიზანი გახდა მსოფლიო მშვიდობის და უსაფრთხოების დამყარება, მეგობრული ურთიერთობების დამყარება ერებს შორის და ასევე სოციალური პროგრესისთვის ხელშეწყობა.

თუმცა როგორც არისტოტელე ამბობდა ადამიანი პოლიტიკური ცხოველია და მსოფლიოში ომის როგორც მოვლენის სრული აღმოფხვრა შეუძლებელია.

გაეროს მეორე გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ “გაერო შეიქმნა არა იმისთვის, რომ მიიყვანოს კაცობრიობა სამოთხეში, არამედ იმისთვის რომ დაიცვას კაცობრიობა ჯოჯოხეთისგან”

სტრუქტურა

სწორედ ამ ამბიციური მიზნების მისაღწევად იქნა შექმნილი გაერო-ს მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა, რომელიც შედგება სხვადასხვა ორგანოსგან, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი უნიკალური ფუნქციები და ვალდებულებები.

ესენია: გაეროს გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო და გაერო-ს სამდივნო. თუმცა ჩემი დღევანდელი მოხსენების ძირითადი თემაა გაეროს უშიშროების საბჭო და მისი რეფორმირება. მსურს მასზე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო.

უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭოს ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოთა შორის მშვიდობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფაში. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთა შორის 5 მუდმივი და 10 არამუდმივი.

ეს 5 ადგილი ეკუთვნის ხუთ დიდ სახელმწიფოს - ინგლისი, აშშ, რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი და საფრანგეთს. არამუდმივ ათ წევს ორი წლის ვადით ირჩევენ გენერალური ასამბლეა.

სწორედ უშიშროების საბჭოს ეკისრება ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება, სამშვიდობო ჯარების განლაგება კონფლიქტის ზონაში და ამათუ იმ ქვეყანის დასანქცირება.

გარდა იმ ფაქტისა რომ ე.წ. ხუთ პოლიციელს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსი აქვთ მათ ასევე გააჩნიათ ვეტოს უფლება. თავის მხრივ ვეტოს უფლება წარმოადგენს ისეთ უფლებამოსილებას, რომელსაც შეუძლია დაბლოკოს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი რეზოლუცია. ამგვარი უფლება თავის მხრივ წარმოადგენს გარანტიას, რომ არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული ხუთივე მუდმივი წევრის თანხმობის გარეშე. ამგვარი პრივილეგიებული მდგომარეობა ამ ხუთი ქვეყნის განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით, კერძოდ

1. ისტორიული კონტექსტი.

ზემოთ ხსენებული ხუთეული წარმოადგენს ანტიჰიტლერულ კოალიციას, მოგეხსენებათ გერმანია დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში. ისინი აღჭურვილნი იყვნენ ვეტოს უფლებით როგორც გამარჯვებულები.

2. ძალების ბალანსი

3. მოტივაცია.

ასევე ვეტოე უფლება შეთავაზებული იყო დიდი ქვეყნებისთვის როგორც მოტივატორი გაერთიანდნენ ორგანიზაციაში და არ დატოვონ იგი. იდეა მდგომარეობს იმაში რომ დიდი ქვეყნების მონაწილეობა ორგანიზაციაში უფრო მიმზიდველი იყოს.

მართალია “ცივი ომის” პერიოდში და ბიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების ვითარებაში გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა ეს არ გამოორიცხავს იმ ფაქტს რომ უშიშროების საბჭოს ქვეყნები ვეტოს უფლების გამოყენებას საკუთარ ეროვნულ ინტერესებში არ ერიდებოდნენ “ცივი ომის” დროსაც.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, როდესაც იდეოლოგიური დაპირისპირება აღარ არსებობდა უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო

კონსესუსის მიღწევა დიდ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ სწორედ ამ დროს იჩინა თავი სახელმწიფოების ვიწრო ინტერესებმა, გლობალურმა ტერორიზმმა და აგრესიულმა ეთნო-კონფესიურმა კონფლიქტებმა.

ზოგ კონფლიქტში, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარეობს, ამა თუ იმ მხარეს ზურგს უმაგრებს დიდი სახელმწიფოები.

მაგალითად აშშ-მ XXI საუკუნეში თავისი გამოყენებული ვეტოებიდან უმრავლესობა ისრაელ პალესტინის კონფლიქტს ეხება. მოგეხსენებათ აშშ არის ისრაელის მთავარი მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში.

ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული ვეტოს უმრავლესობა იყო მიმართული მისი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. მაგალითად სირიის კონფლიქტის დროს რუსეთის ფედერაციამ თოთხმეტჯერ დაადო ვეტო სირიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე მათ არაერთხელ გამოიყენეს ვეტო-ს უფლება უკრაინასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთმა და ჩინეთმა 2008 წელს დაადეს ვეტო ზიმბაბვესთან დაკავშირებულ საკითხებს. მოგეხსენებათ მაგ დროს ზიმბაბვეში პრეზიდენტი იყო რობერტ მუგაბე, რომლის მმართველობის დროსაც შეინიშნებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევა და პოლიტიკური ძალადობა.

რუსეთის ფედერაციამ და ჩინეთმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვეტო დაადეს რეზოლუციას, რომელიც ეხებოდა ზიმბაბვეს დასაწყვირებას.

ამ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები თავიანთი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, ან თუნდაც ერთმანეთის ჯინაზე იყენებენ ვეტოს უფლებას. აქვე ხაზგასმით მსურს ავღნიშნო, რომ ჯინაობის პოლი-

ტიკას “ცივი ომის” პერიოდში ადგილი არ ჰქონდა. ქვეყნები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ბალანსი საკუთარ ინტერესებსა და გლობალურ ინტერესებს შორის.

რეფორმის აუცილებლობა.

როგორც მოხსენების დასაწყისში ავლნიშნე, გაერო შეიქმნა წინა საუკუნის 40-იან წლებში და ორგანიზაცია წარმოადგენს ერთგვარ ანარეკლს როდესაც მსოფლიო ჰეგემონიის პრეტენზია გააჩნდა აშშ-სა და სსრკ-ს.

თუმცა დრო იცვლედა, მსოფლიო აღარაა დაყოფილი ე.წ. დასავლეთად და აღმოსავლეთად. გაეროს წევრ ქვეყნების რაოდენობა 193მდე გაიზარდა.

თუ XX საუკუნის 50-60-ი წლების თაობისათვის ნორმალური იყო გამარჯვებულთა პრივილიგირებული მდგომარეობა.

დღეს ახალგაზრდა თაობის ადამიანებისთვის გაურკვეველი და ბუნდოვანია, თუ რა კავშირში აქვს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულების მდგომარეობას დღევანდელ რეალობასთან. სწორედ ამიტომ მრავალმა ქვეყანამ წარადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმის სხვადასხვა წინადადება.

გაეროს რეფორმირების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1979 წელს იყო. გაეროს 34-ე გენერალურ ასამბლეაზე იყო პირველი მცდელობა გაეზარდათ უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობა.

მაგრამ, გაეროს კომპლექსური რეფორმირების იდეა შემოთავაზებულ იქნა მხოლოდ 1992 წელს გაეროს იმჟამინდელი გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს-გალის მიერ. 1993 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის 48-ე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება განსაკუთრებული სამუშაო ჯგუფის შექმნისა რათა „განიხილოს წევრობის გაფართოების საკითხის ყველა ასპექტი და უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებული სხვა საკითხები“. ამ ჯგუფის შედეგი გახლდა რეზო-

ლუცია, სადაც დაფიქსირებულ იქნა დებულება, სოლიდარული და სამართლიანი წარმომადგენლობა, ასევე უშიშროების საბჭოს საერთო შემადგენლობის გაზრდა. აღნიშნული მიზნის მისახივეად გადაწყდა, რომ რეზოლუციის მიღება შესაძლებელია თუ მას მხარს დაუჭერს გენერალური ასამბლეის წევრთა 2/3. გადაწყვეტილების მიღება ჭიანჭურდებოდა.

1997 წელს შეთავაზებულ იქნა მორიგი გეგმა გაეროს ახალი გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ, რომელიც დაკავდა გაეროს რეფორმის ფორმულირებით, რომლის მიზანი იყო ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა. კონკრეტული წინადადებების შემუშავებისათვის შეიქმნა რამოდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომლებაც რეკომენდაციები უნდა შეემუშავათ. გაეროს რეფორმირებისათვის შემუშავებული მასშტაბური ინსტიტუციონალური რეკომენდაციები და წევრ-სახელმწიფოების ვალდებულებების გადახედვა მოითხოვდნენ გაეროს ფინანსირების მნიშვნელოვან გაზრდას.

2002 წელს შემოთავაზებულ იქნა გაეროს რეფორმირების მეორე ვარიანტი - „შემდგომი გარდაქმნების პროგრამა“, რომელიც მიმართული იყო ადამიანის უფლებების დაცვაზე და ჰუმანიტარული საქმიანობის განვითარებაზე.

2007 წელს გაეროს ახალმა გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გააგრძელა მუშაობა გაეროს რეფორმირებაზე, მოახდინა რა ინიცირება სამთავრობოთაშორის მოლაპარაკებებზე შესაბამისი წინადადებების შესამუშავებლად. რეფორმირების ნაწილი ხორცშესხმულ იქნა, თუმცა რიგ საკითხებზე დისკუსია არ წყდება. ძირითადი სადაო საკითხებია გენერალური ასამბლეის რეფორმირება, გაეროს ეგიდით სხვადასხვა სააგენტოების ფუნქციონირება, გაეროსა და მისი სამშვიდობო ოპერაციების ფინანსირება და ყველაზე სადაო - უშიშროების საბჭოს გაფართოება და ვეტოს უფლების ბედი.

სერიოზულ დავებს იწვევს გაეროს ფინანსირების საკითხი. გაეროს ბიუჯეტი შედგება წევრ-სახელმწიფოების შენატანისგან. შესატანს ითვლიან ქვეყნის კეთილდღეობის საშუალო მდგომარეობით. მაგრამ უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის შესატანი უფრო მეტია, რადგან მათ მეტი უფლება-მოსილება და შესაბამისად მეტი პასუხისგებლობა გააჩნიათ. 2020 წლის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი შენატანი მოდის აშშ-ზე (22%), ჩინეთი (12%), იაპონია (8,56%), გერმანია (6,09%) და საფრანგეთი (4,42%). რუსეთის წვლილია (2,41%), ხოლო ღარიბი და განუვითარებელი ქვეყნების - 0,001%.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომელსაც აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უჭერს მხარს. მისი აზრით გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების სტატუსი უნდა მიენიჭოს ისეთ სახელმწიფოებსაც, რომლებსაც გაეროს ბიუჯეტში დიდი წვლილი შეაქვთ. თუმცა ამგვარი მიდგომისას შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უშიშროების საბჭოში ფაქტობრივად შესაძლებელი იქნება ადგილის ყიდვა.

და ასევე იგი შეიძლება ითქვას გაამართლებს მდიდარი ქვეყნების ბატონობას ღარიბებზე.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, გაერო დაფუძნდა ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის ნანგრევებზე. თუმცა დღეს ეს ქვეყნები წარმოადგენენ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია ქონდეთ მუდმივი ადგილი გაეროს უშიშროების საბჭოში. 2004 წელს, გერმანიამ, ინდოეთმა, ბრაზილიამ და იაპონიამ ჩამოაყალიბეს ჯგუფი - G4, რათა მოითხოვონ უშიშროების საბჭოს რეფორმა, რომელიც იქნებოდა უფრო დაბალანსებული და წარმომადგენლობითი, რომელშიც ზემოხსენებული სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ მუდმივი წევრები უშიშროების საბჭოში.

როდესაც ვსაუბრობთ გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმაზე არ უნდა გამოგვრჩეს აფრიკის კავშირის შემოთავაზება. მათი ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ითხოვენ აფრიკიდან უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსით იქნეს წარმოდგენილი ორი ქვეყანა და არამუდმივი წევრების რაოდენობის გაზრდილ იქნეს ხუთამდე.

თუმცა, აფრიკის კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტი ნაკლებად შესაძლებელია რომ იქნას მიღებული, რადგან აფრიკის ქვეყნები ნაკლებად განვითარებულნი არიან, უახლოეს მომავალში მათი ქვეყნების ეკონომიკის განვითარება ვერ მიუახლოვდება წამყვან სახელმწიფოების ეკონომიკის დონეს, ხოლო ეროვნული მთავრობები, ხშირ შემთხვევაში, კორუმპირებული და არალეგიტიმურები არიან. შესაბამისად, ხსენებული მიზეზების გამო, არის საშიშროება, ამგვარი სახელმწიფოები ვეტოს უფლებას გაყიდონ.

ლიხტენშტეინმა მოამზადა რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმად იმ ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ ვეტოს უფლება, უნდა დაასაბუთონ თუ რატომ დაბლოკეს ესა თუ ის დოკუმენტი. ჯერ კიდევ გენერალურ ასამბლეაზე ამ დოკუმენტის გატანამდე მას მხარი 57 ქვეყანამ დაუჭირა. ამ პროექტის თანახმად, თუ უშიშროების საბჭოს წევრმა-ქვეყანამ გამოიყენა ვეტოს უფლება გენერალური ასამბლეა 10 დღის განმავლობაში უნდა შეიკრიფოს და ვეტოს დამდებს მოსთხოვოს განმარტება თუ რატომ დაბლოკა გადაწყვეტილება.

ამ დოკუმენტს მხარი დაუჭირა შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც აქვს ვეტოს უფლება.

დღეს უშიშროების საბჭოს რეფორმირების შესახებ დისკუსია ორი მიმართულებით მიმდინარეობს. პირველი, უშიშროების საბჭოს როგორც მუდმივი, ისე არამუდმივი წევრთა რაოდენობის გაზრდა; მეორე ვეტოს უფლების შეზღუდვა. 2013 წელს საფრანგეთმა შესთავაზა უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს არ გამოეყენებინათ ვეტოს უფ-

ლება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებთან, ჰუმანიტარულ კრიზისებთან დაკავშირებულ საკითხებში და გენოციდთან დაკავშირებულ რეზოლუციებთან მიმართებით. მოგვიანებით ამ ინიციატივის თანაავტორი გახდა მექსიკა. ამ ინიციატივას 114 სახელმწიფომ მოაწერა ხელი. თუმცა რუსეთმა ეს ინიციატივა მიუღებლად ჩათვალა. „გაეროს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი რეფორმა უნდა პასუხობდეს რუსეთის ფედერაციის და სხვა ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ქვეყნების ინტერესებს“, - განაცხადა რუსეთის ფედერაციის ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგორი კარასინმა.

როგორც დღევანდელ მოხსენებაში არაერთხელ ავლნიშნე ვეტოს უფლებამ არაერთხელ შეუშალა ხელი სხვადასხვა კონფლიქტების მოგვარებას. ჩემი მოსაზრებით სწორედ ვეტოს შეზღუდვამ შესაძლოა უზრუნველყოს გაეროს უშიშროების საბჭოს ავტორიტეტის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე. ვეტოს შეზღუდვაში მოიაზრება არამხოლოდ მისი გამოყენების უფლებას, არამედ მისი დაძლევის მექანიზმსაც კვალიფიციური უმრავლესობით უშიშროების საბჭოში.

ნინო მაჭავარიანი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
საერთაშორისო ურთიერთობების
საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

ნანა ცინისტავი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუენის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ეთნიკური რუკა

აბსტრაქტი:

ნაშრომში განხილულია საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური ცვლილებების სურათი, რომელიც პირობითად დაყვავით 4 ეტაპად. ძირითადი მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ როგორ იცვლებოდა ეთნიკური შემადგენლობა საუკუნეების მანძილზე საქართველოში და საბოლოოდ ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების რა შედეგი მივიღეთ.

ასევე აქტუალურია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებდნენ აღნიშნულ პროცესზე და შედეგებზეც.

ამგვარად, ნაშრომში მოცემულია მთლიანი სურათი, რაც საშუალებას იძლევა ეპოქების მიხედვით დავინახოთ არსებული გამოწვევები და საბოლოო შედეგები.

საქართველოს ეთნიკური რუკა

საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტენსიური მიგრაციების არეალში. განსაკუთრებით აქტიურად მიგრაციული პროცესები საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებს შორის მიმდინარეობდა. შემოდინოდნენ და მკვიდრდებოდნენ როგორც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, ასევე ცალკეული ჯგუფები მახლობელი აღმოსავლეთიდან. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაითქვიფა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკა.

საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. იგი ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებების მიხედვით 4 ძირითადი ეტაპით ხასიათდება:

- 1) შუა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე;
- 2) XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გასაბჭოებამდე;
- 3) 1921 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე;
- 4) 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე

დროთა ცვალებადობასთან ერთად, XV-XVI საუკუნეებში მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო თურქმანული მოდგმის (ქართული წყაროებით - თათრები, დღევანდელი აზერბაიჯანელების წინაპრები) ტომების ჩამოსახლებამ. ამას განაპირობებდა ისტორიული რეალობა და სახელმწიფოთა საზღვრების ცვლილება.

XVII საუკუნის დამდეგს შაჰ აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის «საჩუქარი» მოსთხოვა, რაც წინააღმდეგობის გარეშე მიიღო

კიდევ. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა ირანის შაჰებთან საქართველოს მესვეურების ურთიერთობებისას.

შაჰმა «ნაჩუქარ» მიწაზე ღორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალოს მუსლიმი ტომები ჩამოასახლა.

XVII-XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლდა აგრეთვე ჰასანლუს ტომის ერთი

ნაწილი. ისინი, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და

გარდაბნის რაიონები) დანაწილდნენ.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კაკ-ენისელის სასულთნოსა და კახეთში ჩამოსახლება დაიწყო ჩრდილო კავკასიიდან დაღესტნელებმა. ესეც ერთგვარი დათმობის ნაწილი იყო საქართველოს მხრიდან ძლიერი მუსლიმური გარემოცვის მიმართ.

ირან-თურქეთის მეტოქეობის პერიოდში (XVI ს.) აღმოსავლეთ საქართველოში (მესხეთში) გამოჩნდნენ ცალკეული ქურთული ტომებიც. საქართველო ამ დროს დაშლილ-დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა და დიდი დობით ვერ უწევდა წინააღმდეგობას ძლიერი ქვეყნების მიგრაციულ პოლიტიკას.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე მეორემ ქართლში ოსები შემოიყვანა. მისივე ძალისხმევით შედგა ბერძენთა პირველი მცირერიცხოვანი დასახლებების გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ერეკლე მეფემ შეგნებულად გააკეთა მუშახელის გაზრდასთან დაკავშირებით ამ რეგიონში, რადგან მოსახლეობის სიმცირე იგრძნობოდა. ომან მდივანბეგ ხერხეულიძის ცნობით, სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების განვითარების მიზნით, ერეკლე II-მ ბერძენები ჩამოასახლა ახტალაში, სომეხი მელიქების მამულებში, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. მიგრანტებისათვის შეღავათები წესდებოდა, ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა. ამან სე-

რიოზულად დადებითად იმოქმედა სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების გაზრდაზე და სახელმწიფო ხაზინის შევსებაზე ერეკლეს დროს.

მთლიანობაში თუ განვიხილავთ, შუა საუკუნეებში არაქართველი მოსახლეობის შემოსვლა შედარებით შეზღუდული მასშტაბით მიმდინარეობდა. ეს პროცესი მართული იყო სახელმწიფოს მესვეურების მხრიდან და კონტროლს ექვემდებარებოდა. ამიტომაც XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ქართული მოსახლეობა უმრავლესობაში იყო და ქართველების ხვედრითი წილი 4/5-ს უახლოვდებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გასაბჭოებამდე ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა და 1910-იანი წლების ბოლოსათვის აღარ აღემატებოდა მთელი მოსახლეობის 2/3-ს. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე, როდესაც რუსეთის იმპერიამ მიიერთა საქართველო, არ შეჩერებულა ქართველთა წინააღმდეგობრივი ბრძოლა, რომელიც გამოხატული იყო აჯანყებებით, შეთქმულებებით. ასევე აღსანიშნავია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გააქტიურება საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებთან მიმართებაში, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე, რაც გარკვეულად საქართველოს ტერიტორიასაც მოიცავდა. რათქმა უნდა, ამან იქონია გავლენა ქართველი მოსახლეობის შემცირებაზე.

საქართველოში გაბატონების პირველივე წლებში რუსულმა მმართველობამ სასურველი ეთნიკური სიტუაციის შესაქმნელად პრაქტიკული ღონისძიებების გატარება დაიწყო. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს თან ერთვოდა რესკრიპტი საქართველოს კოლონიზაციის თაობაზე. მასში იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელ კნორინგს მიუთითებდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საზღვარგარეთიდან საქართველოში

ქრისტიანი კოლონისტების მოზიდვისათვის. ამ მიზნით 1819 წლის 22 დეკემბერს მიიღეს საგანგებო დებულება, რომლითაც საქართველოში გადმოსახლებულ კოლონისტებს მთელი რიგი შეღავათები ენიჭებოდათ. ეს იმპერიული პოლიტიკა გახლდათ, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს მონორეთნიკური რეგიონების „აჭრელება“ ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობით და შემდგომ ამ განსხვავებულებზე სახელმწიფოს დაყრდნობა.

იმპერიული „შეღავათებით“ სარგებლობდნენ XIX საუკუნეში ცარიტული რეჟიმის ძალისხმევით გადმოსახლებულ მიგრანტთა ჯგუფები (რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირებული რელიგიური ჯგუფები- სომხები, ბერძნები, გერმანელები და ა.შ.).

საიმპერატორო კარი მიზნად ისახავდა რუსების, განსაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლებას საქართველოსა და კავკასიაში. ესეც ერთ-ერთი ხერხი გახლდათ იმპერიის პოლიტიკის გაძლიერებისა კოლონიაში. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს ტერიტორიაზე რჩებოდა. რუსი კოლონისტების ეს დასახლებები შემდგომში სოფლებად გადაიქცნენ, რაც მოასწავებდა რუსული მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას.

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ე.წ. ერეტიკოსების გადმოსახლება საქართველოში. ერთ-ერთი პირველნი იყვნენ დუხობორები, რომლებიც ახალქალაქის რაიონში გადმოსახლეს. მათ მალაკნებიც მოჰყვნენ. რუსული მართლმადიდებლობის სექტების ჩამოსახლებაც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე იყო ცარიზმის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ცენტრიდან იშორებდა ამ უმართავ ჯგუფებს და მათ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობასა და ფუნქციას ანიჭებდა კოლონიურ ტერიტორიაზე.

მთავრობა ცდილობდა გადასახლებისას არ დაერღვია რელიგიური თემის ერთიანობა და, როგორც წესი, მათ ცალკე საცხოვრებელ ადგილს უყოფდა. საქართველოში ჩამოსახლებული სექტანტები, ძირითადად, დუხობორები და მალაკნები იყვნენ. ცარიზმი დუხობობის სექტების არსებობაში სახელმწიფოსა და რელიგიისადმი საფრთხეს ხედავდა და 1837 წელს იმპერატორმა მათი კავკასიაში გადასახლების განკარგულება გასცა.

1841 წელს ისინი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, ახალქალაქის მაზრაში გადასახლეს. სამხრეთ კავკასიაში რუსული მოსახლეობის ჩასახლებით, ცარისტული მთავრობა სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტას ფიქრობდა, რადგან სექტანტები მთავრობის საიმედო დასაყრდენად მიიჩნეოდა.

საქართველოში სექტანტური მოსახლეობა ძირითადად დასახლებული იყო ორ გეოგრაფიულ არეალში: სამხრეთ-დასავლეთში, ნინოწმინდის (აღრე ბოგდანოვკა) რაიონის რვა სოფელში და აღმოსავლეთში, საგარეჯოს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონებში.

1818 წლებში საქართველოში ცარიზმის ხელშეწყობით ჩამოსახლდნენ ვიურტემბერგელი გერმანელები, რომელთა წარმომადგენლები 1817 წელს ვენის კონგრესიდან მომავალ ალექსანდრე I-ს შტუტგარტში შეხვდნენ და კავკასიაში გადმოსახლება სთხოვეს. რუსეთის იმპერატორმა შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა და გადმოსახლების მსურველებს რწმენის ხელშეუხებლობასა და საცხოვრებელი ადგილებით დაკმაყოფილებას დაჰპირდა. გერმანელებმა აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე კოლონია შექმნეს. გერმანელი სექტანტების დასახლების მიზანი დაუსახლებელი ადგილების ათვისება და ეკონომიკის გამოცოცხლება იყო და, ასევე, საიმედო დასაყრდენის შექმნა რუსეთის იმპერიისათვის. ეს ნაბიჯიც გათ-

ვლილი ჰქონდა რუსულ მმართველობას და გერმანელ კოლონისტებშიც ხედავდა თავის საიმედო დასაყრდენს.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ, ადრიანოპოლის ზავის თანახმად, იმპერიის მესვეურებმა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველები აიძულეს ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულიყვნენ. ჯავახეთში თითქმის აღარ დარჩა ქართული მოსახლეობა. საომარი ოპერაციების დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორიიდან (არზრუმის ვილაიეთი) რუსებმა ახლად შემოერთებულ ქართულ მიწაზე, სამცხე-ჯავახეთში, არზრუმიდან დევნილი 30 ათასი სომეხი ლტოლვილი დაასახლეს. საინტერესოა, რომ რუსეთის იმპერიამ აქ გამოიყენა მე-19 საუკუნეში ცნობილი ქრისტიანების მიმართ დაცვისა და მათზე ზრუნვის ლოზუნგი და ამ კუთხით სომეხი ლტოლვილები საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა.

ნიკოლოზ I-მა აღმოსავლეთ ანატოლიის ვილაიეტებში მცხოვრებ ბერძნებს საქართველოში დასახლების უფლება მისცა. ბერძნები ძირითადად ბორჩალოს მაზრის მიწებზე დასახლდნენ. 1830 წლისათვის წალკის მიდამოებში უკვე 18 ბერძნული სოფელი არსებობდა. ქართველები მიმდებარე მიდამოებიდან უკვე დიდი ხნის გახიზნულები იყვნენ. ამავე პერიოდში დასახლდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის თურქეთის ვილაიეტებიდან გადმოსული ბერძნები დმანისის რაიონშიც. ეს ნაბიჯიც, როგორც ადრე სხვა რუსეთის მხრიდან ნაკარნახევი იყო საქართველოს ტერიტორიის „აჭრელებით“ ეთნიკურად განსხვავებული ერების განსახლებით.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო აფხაზთა იძულებითი მიგრაცია («მუჰაჯირობა») ოსმალეთის იმპერიაში. ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში ოსმალეთში დაახლოებით 135 ათასამდე აფხაზი და აბაზი წავიდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს თურქეთში გადავიდა სამცხე-ჯავახეთის მუსლიმ ქართველთა უმეტესობაც. სამაგიეროდ,

რუსული ადმინისტრაცია ხელს უწყობდა ქრისტიანების ჩამოსახლებას.

ასევე მოვიდნენ საქართველოში მიგრანტთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები - ჩეხები, უკრაინელები. იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ სამუშაოდ გამოგზავნილი ბალტიისპირელები, რომელთაც მოგვიანებით გამოქცეულნი და XIX საუკუნეში გამოსახლებული პოლონელებიც შეემატნენ. ფიქრობენ, რომ XIX საუკუნეშივე უნდა გამოჩენილიყვნენ პირველად ბოშებიც.

I მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში ხდება საქართველოში ასურელებისა და ქურთების მასობრივი დასახლება. ოსმალეთის იმპერიაში დევნის შედეგად საქართველოსა და სომხეთს ასურელებთან ერთად თავი იეზიდური რელიგიის მიმდევარმა ქურთებმაც შეაფარეს. იეზიდი ქურთები იძულებულნი იყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები მიეტოვებინათ, რადგან მათ რელიგიურ ნიადაგზე სდევნიდა ოსმალთა იმპერიის მუსლიმი მოსახლეობა, მათ შორის მუსლიმი ქურთებიც.

ეთნიკური მიგრაციები XX საუკუნეშიც გაგრძელდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო ქურთი-იეზიდები. ისინი თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ დევნას გამოექცნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში (ყოფილ ზინობიანში) აზერბაიჯანიდან, ნუხის ოლქის სოფ. ვართაშნიდან, გადმოსახლდნენ აზერბაიჯანელებისა და სომხების თავდასხმებით შეწუხებული უდიეები, კავკასიის მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელნი.

XX საუკუნის 40-იან წლებში, ნაცისტურ გერმანიასთან ომის დროს, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან მოსახლეობის ევაკუაციის შემდეგ მრავალმა რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა თუ სხვა ეროვნების ადამიანმა საქართველოს შეაფარა თავი და აქვე დარჩა.

40-იანი წლების შემდგომ ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

საქართველოში სხვა ეროვნებების შემოსვლა გრძელდებოდა 1950 წლების მეორე ნახევრამდე. ამის შემდეგ, კერძოდ 1951 წლიდან ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა და საქართველო ხასიათდება უარყოფითი მიგრაციული ბალანსით, რისი მიზეზიც არის საქართველოს სოფლის მოსახლეობის ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ უფრო ინტენსიური გადასვლა ქალაქებში საცხოვრებლად, რითაც საქართველოს ქალაქები კმაყოფილდებოდა მუშახელით და სხვა რესპუბლიკებიდან მათი შემოსვლა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.

ყოველივე ეს აისახა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე. 1959-1989 წლებში ქართველების წილი 64,3-დან გაიზარდა 70,1 %-მდე. ასევე გაიზარდა აზერბაიჯანელების წილი - 3,8-დან 5,7 %-მდე. აფხაზების ხვედრი წილი გაიზარდა უმნიშვნელოდ, 1,6-დან 1,8 %-მდე. დანარჩენი ეროვნებების წილი შემცირდა, განსაკუთრებით რუსების - 10,1-დან 6,3 %-მდე და სომხების - 11-დან 8,1 %-მდე.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა. ემიგრაციაში წავიდა ქართველი და განსაკუთრებით არაქართველი მოსახლეობა.

დასკვნები:

1800-იანი წლებისთვის ქართველების ხვედრი წილი მთელ მოსახლეობაში სხვადასხვა გამოკვლევით 78-89 %-ის ფარგლებში მერყეობდა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად 1897 წელს ქართველების წილი 70 %-მდე შემცირდა, დანარჩენი ეროვნებების კი გაიზარდა; აღნიშნული პოლიტიკა წარმატებით გააგრძელა საბჭოთა იმპერიამაც. ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაში „დახმარების“ მიზნით, საქართველოში ჩამოასახლეს მრავალი უცხოთომელი,

რის შედეგადაც ქართველების წილი 1939 წელს ისტორიაში ყველაზე დაბლა - 61%-მდე დაეცა, დანარჩენი ეროვნებების კი - გაიზარდა; მოსახლეობის შემოდინება საქართველოში გრძელდებოდა 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე. მას შემდეგ დაიწყო უკუპროცესი, რის შედეგადაც ქართველების წილი 1990-იან წლებში გაიზარდა 70 %-მდე. განსაკუთრებით ინტენსიური გადინება არაქართველი მოსახლეობისა დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ქართველი მოსახლეობის წილმა მიაღწია 84,5 %-ს, დანარჩენებისა - შემცირდა (გარდა აზერბაიჯანელებისა).

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973. 311 გვ.
- 2 გუგუშვილი პ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973. 218 გვ.
- 3 თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. თბ., 2011. 236 გვ.
- 4 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. თბ., 2003. 220 გვ.
- 5 ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. 275 გვ.
- 6 ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996. 429 გვ.
- 7 წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი. 2015. 333 გვ.

Nino Machavariani –
second year student of International Relations program
Supervisor: Associate Professor Nana Tsikhistavi, affiliated to the
New Higher Education Institute-NEWUNI

ETHNIC MAP OF GEORGIA

Abstract:

The paper discusses the picture of the ethnic changes of the population of Georgia, which we conventionally divided into 4 stages. The main goal was to show us how the ethnic composition changed over the centuries in Georgia and what the result of ethnic and religious diversity was.

Also relevant are political, economic, social and cultural factors that influenced the mentioned process and the results.

In this way, the paper provides an overall picture, which allows us to see the challenges and the final results by era.

Ethnic map of Georgia

The territory of Georgia has been in the area of intense migrations since ancient times. Migration processes were particularly active between Georgia and its neighboring regions. Both representatives of the peoples of the Caucasus and separate groups from the Near East came and settled. Over time, some groups of migrants merged into the local population or other ethnic units, while others kept their national specificity until the end.

The population of the state of Georgia has been changing for centuries. It is characterized by 4 main stages according to changes in the ethnic composition:

- 1) from the Middle Ages to the end of the 18th century;
- 2) from the beginning of the 19th century until the Sovietization of Georgia;
- 3) from 1921 until the collapse of the Soviet Union;
- 4) From the time Georgia gained independence in 1991 until now.

Along with the changes of time, as a result of the political changes in the Middle East in the XV-XVI centuries, the settlement of the tribes of the Turkmen tribe (according to Georgian sources - Tatars, the ancestors of today's Azerbaijanis) took an intensive character in Eastern Georgia. This was caused by the historical reality and the change of state borders.

In the 17th century, Shah Abas the first demanded a "gift" from King Giorgi of Kartli, which he accepted without objection. This kind of thing often happened in the relations of the rulers of Georgia with the shahs of Iran.

The Shah created Lore Khanate on the "gifted" land and settled Borchalu Muslim tribes there. In the 17th-18th centuries, one of the Hasanlu tribe also settled in Eastern Georgia part. They are mainly in Kakheti and Kvemo Kartli (today's Marneuli and Gardabani districts) were divided.

After the campaigns of Shah-Abbas, Dagestanis from the North Caucasus began to settle in the Sultanate of Kak-Eniseli and Kakheti. This was also part of a kind of concession on the part of Georgia towards the strong Muslim entourage.

During the period of Iran-Turkey rivalry (XVI century), separate Kurdish tribes also appeared in Eastern Georgia

(Meshkheti). At that time, Georgia was a fragmented country and could not resist the migration policy of powerful countries.

In the middle of the 18th century, Erekle II brought Ossetians to Kartli. The result of his own efforts is the emergence of the first small settlements of Greeks in Eastern Georgia. This statue was deliberately made by the king in connection with the increase of the workforce in this region, because the lack of population was felt. According to Oman Mdivanbeg Sarkeulidze, in order to develop copper and silver mining, Erekle II settled the Greeks in Akhtala, in the estates of the Armenian Meliks, where there were copper and silver deposits. Benefits were established for migrants, so return migration had insignificant dimensions. This had a seriously positive effect on increasing copper and silver mining and filling the state treasury during Erekle's time.

If we consider it as a whole, in the Middle Ages, the entry of non-Georgian population took place on a relatively limited scale. This process was managed by the rulers of the state and was subject to control. Therefore, at the end of the 19th century, the Georgian population was in the majority in almost all parts of Georgia, and the share of Georgians was close to 4/5.

From the beginning of the 19th century until the Sovietization of Georgia, the specific share of the Georgian population gradually decreased and by the end of the 1910s it did not exceed 2/3 of the entire population. This had its reasons. Throughout the 19th century, when the Russian Empire annexed Georgia, the conflicting struggle of Georgians did not stop, which was expressed by rebellions and conspiracies. It is also worth noting the activation of Russia's aggressive policy in relation to the individual kingdoms of Georgia, the Russo-

Turkish and Russo-Iranian wars throughout the 19th century, which to some extent included the territory of Georgia. Of course, this had an impact on the reduction of the Georgian population.

In the very first years of their rule in Georgia, the Russian government began to take practical measures to create the desired ethnic situation. The manifesto of September 12, 1801 was accompanied by a rescript regarding the colonization of Georgia. In it, Emperor Alexander I indicated to the then Governor of Georgia Knoring to pay special attention to attracting Christian colonists from abroad to Georgia. For this purpose, on December 22, 1819, an extraordinary regulation was adopted, by which a number of benefits were granted to the colonists who moved to Georgia. This was an imperial policy, the main goal of which was to "cut" the mono-ethnic regions of Georgia with ethnically different populations and then to base the state on these differences.

Imperial "benefits" were enjoyed by groups of migrants who were resettled by the tsarist regime in the 19th century (religious groups opposed to the Russian Church - Armenians, Greeks, Germans, etc.).

The Imperial Gate aimed to settle Russians, especially Cossacks, in Georgia and the Caucasus. This was also one of the ways to strengthen the policy of the empire in the colony. After the expiration of the term of service, some of the Russian officers and soldiers remained permanently in the territory of Georgia. These settlements of Russian colonists later turned into villages, which led to the increase of the Russian population.

In the 20-30s of the 19th century, the so-called Migration of heretics to Georgia. One of the first were the Doukhobors, who

were resettled in Akhalkalaki district. They were followed by Malaknes. Settlement of sects of Russian Orthodoxy in the territory of Georgia was also an important step in the policy of tsarism. Decentralized these ungoverned groups and gave them ideological and political importance and function in the colonial territory.

The government tried not to break the unity of the religious community during the resettlement and, as a rule, separated them into separate residences. The sectarians who settled in Georgia were mainly Doukhobors and Malakans. The tsarism saw the existence of the Dukhobi sects as a threat to the state and religion, and in 1837 the emperor issued a decree to exile them to the Caucasus.

In 1841, they were relocated to Akhalkalaki Mazra in the south-west of Georgia. By settling the Russian population in the South Caucasus, the tsarist government thought of solving problems of a military-strategic, political and economic nature, because the sectarians were considered a reliable support for the government.

The sectarian population in Georgia was mainly settled in two geographical areas: in the south-west, in eight villages of Ninotsminda (formerly Bogdanovka) district, and in the east, in Sagarejo, Sighnaghi and Lagodekhi districts.

In 1818, the Germans from Württemberg settled in Georgia with the support of the tsarism, whose representatives met the future Alexander I from the Congress of Vienna in 1817 in Stuttgart and asked them to move to the Caucasus. The Russian emperor agreed to the proposed proposal and promised those who wanted to emigrate to be satisfied with their faith and residence. Germans created several colonies in eastern Georgia.

The goal of the settlement of the German sectarians was to utilize uninhabited places and revive the economy, and also to create a reliable base for the Russian Empire. This step was also calculated for the Russian government and it saw its reliable base in the German colonists.

After Turkey's defeat in the Russo-Turkish War of 1828-1829, according to the Treaty of Adrianople, the rulers of the empire forced the Muslim Georgians living in Samtskhe-Javakheti to emigrate to the Ottoman Empire. There is almost no Georgian population left in Javakheti. Russians settled 30,000 Armenian refugees displaced from Arzrum in Samtskhe-Javakheti from the Turkish territory (Arzrum Province) occupied during the military operations. It is interesting that in the 19th century, the Russian Empire used the slogan of protecting and caring for Christians, and in this regard settled Armenian refugees on the territory of Georgia.

Nicholas, I allowed Greeks living in Eastern Anatolia to settle in Georgia. Greeks settled mainly on the lands of Borchalo Mazri. By 1830, there were already 18 Greek villages in the vicinity of Tsalki. The Georgians from the surrounding areas had been disturbed for a long time. In the same period, Greeks who migrated from the provinces of North-Eastern Turkey settled in Dmanisi region. This step, as earlier, was dictated by the other side of Russia, by "carving" the territory of Georgia and resettling ethnically different nations.

In the 1970s, the forced migration of Abkhazians to the Ottoman Empire began. It is assumed that about 135,000 Abkhazians and Abazis went to the Ottoman Empire during that period. At the end of the 30s of the 19th century, most of the Muslim Georgians of Samtskhe-Javakheti also moved to

Turkey. Instead, the Russian administration encouraged the settlement of Christians.

Relatively small groups of migrants - Czechs, Ukrainians - also came to Georgia. From the second half of the same century, the Baltics sent to work appeared, who were later joined by Poles who fled and emigrated in the 19th century. They think that gypsies should have appeared for the first time in the 19th century.

In the period of World War I and its aftermath, mass settlement of Assyrians and Kurds takes place in Georgia. As a result of the persecution in the Ottoman Empire, the Kurds following the Yezidi religion took refuge in Georgia and Armenia along with the Assyrians. Yazidi Kurds were forced to leave their places of residence because they were persecuted on religious grounds by the Muslim population of the Ottoman Empire, including Muslim Kurds.

Ethnic migrations continued in the 20th century. In 1918, the government of independent Georgia accepted the Kurdish-Yezids. They escaped persecution by the Turkish government and a section of Muslim Kurds. In the 20s of the 20th century, in the village of Oktomberi (former Zinobiani), Kvarli district, from Azerbaijan, the village of Nukh district. Disturbed by the attacks of Azerbaijanis and Armenians, the Udyas, representatives of a small ethnic group of the Caucasus, moved from Vartashni.

In the 40s of the 20th century, during the war with Nazi Germany, after the evacuation of the population from the European part of the Soviet Union, many Russians, Ukrainians, Belarusians and people of other nationalities took refuge in Georgia and stayed here.

A lot has changed since the 1940s, especially after the end of World War II.

The entry of other nationalities into Georgia continued until the second half of the 1950s. After that, in particular, from 1951, the situation changed to the opposite, and Georgia is characterized by a negative migration balance, the reason for which is the migration of the rural population of Georgia to live in the cities almost twice as intensively as compared to the pre-war period, thus the cities of Georgia were satisfied with the labor force and their entry from other republics was no longer a necessity.

All this was reflected in the national composition of the population. In 1959-1989, the share of Georgians increased from 64.3% to 70.1%. The share of Azerbaijanis also increased - from 3.8 to 5.7%. The share of Abkhazians increased slightly, from 1.6 to 1.8%. The share of other nationalities decreased, especially Russians - from 10.1 to 6.3% and Armenians - from 11 to 8.1%.

In the post-Soviet period, the national composition of the Georgian population changed radically. Georgian and especially non-Georgian population emigrated.

Conclusions:

By the 1800s, the share of Georgians in the entire population varied between 78-89% according to various surveys. As a result of the Russian colonial policy, the share of Georgians decreased to 70% in 1897, while the share of other nationalities increased; The mentioned policy was successfully continued by the Soviet Empire as well. In order to "help" in the implementation of industrialization, many foreigners were resettled in Georgia, as a result of which the share of Georgians fell to the lowest in

history - 61% in 1939, while the share of other nationalities - increased; The influx of population into Georgia continued until the second half of the 1950s. After that, a reverse process began, as a result of which the share of Georgians increased to 70% in the 1990s. A particularly intense outflow of the non-Georgian population began after the collapse of the Soviet Union, and the share of the Georgian population reached 84.5%, while the share of the rest decreased (except for Azerbaijanis).

Used literature:

- 1 Antadze K. The population of Georgia in the 19th century. Vol., 1973. 311 p.
- 2 Gugushvili P. Issues of the population of Georgia. Vol., 1973. 218 p.
- 3 Totadze A. Ethnic composition of the population of Georgia. Tb., 2011. 236 p.
- 4 Results of the first national general census of the population of Georgia in 2002. Volume I. Tb., 2003. 220 p.
- 5 Jaoshvili V. Population of Georgia in XVIII-XX centuries. Tb., 1984. 275 p.
- 6 Jaoshvili V. Population of Georgia. Tb., 1996. 429 p.
- 7 Tsuladze G. Demographic Yearbook of Georgia. Tbilisi. 2015. 333 p.

წინო ფოფხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი:

ნანული ოქრუაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი

ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგში

*ძირითადი საკვანძო სიტყვები: ტექნიკური პროგრესი;
ციფრული ტრანსფორმაცია; ეკონომიკის გაციფრულება;
ციფრული მარკეტინგი; ციფრული ტექნოლოგიები; სოციალ-
ური მედია*

ანოტაცია

ეკონომიკის გაციფრულებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კვალდაკვალ, თვისებრივად იცვლება წარმოებისა და მომსახურების სისტემა, საბაზრო ურთიერთობათა შინაარსი, ფორმები და მექანიზმები.

თანამედროვე ეტაპზე ქართული ბიზნეს კომპანიებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ციფრული ტრანსფორმაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ინტეგრირება ბიზნეს პროცესებში.

როდესაც ვსაუბრობთ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაზე და მის შედარებას ვახდენთ ტრადიციულ მარკეტინგულ მეთოდოლოგიებთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ციფრული ტექნოლოგიები არ შე-

იძლება განვიხილოთ როგორც ტრადიციულ მარკეტინგული მეთოდოლოგიების ჩანაცვლება, ან ალტერნატივა მარკეტინგული საქმიანობის პროცესში, პირიქით ციფრული ტექნოლოგიებისა და ტრადიციული მარკეტინგული მეთოდოლოგიების სინთეზი მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილს ხდის მარკეტინგის სფეროს, აუმჯობესებს რა კვლევების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების, ინფორმაციის მრავალფეროვნების, შეღწევადობის, დინამიურობის ხარისხს და შესაბამისად განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს მარკეტინგის დარგი.

ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგში


ეკონომიკის გაციფრულებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კვალდაკვალ, თვისებრივად იცვლება წარმოებისა და მომსახურების სისტემა, საბაზრო ურთიერთობათა შინაარსი, ფორმები და მექანიზმები.

თანამედროვე ეტაპზე ქართული ბიზნეს კომპანიებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ციფრული ტრანსფორმაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ინტეგრირება ბიზნეს პროცესებში. მაგ., მარკეტინგის მიმართულებით მონაცემთა დამუშავება, კვლევა, ანალიზი და კომუნიკაცია შეუძლებელია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, მხოლოდ ტრადიციული მარკეტინგული მეთოდოლოგიით განხორციელდეს.

ციფრული ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების უპირატესობა ცალსახად ვლინდება პროცესების სისწრაფისა და შედეგების სიზუსტის თვალსაზრისით. აღნიშნული უპირატესობების გათვალისწინებით, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ პრაქტიკულად ყველა სფეროში შეაღწია. ტექნოლოგიური პროგრესი ფაქტობრივ გარემოებად იქცა გლობალიზაციის და ტრანსნაციონალური ბიზნეს გარემოს ფორმირებისთვის.

ტექნოლოგიური პროგრესის შეუქცევადობა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება. მაგ., საინტერესო მონაცემებს გვთავაზობს საერთაშორისო კვლევითი კომპანია „statista.com“, ბოლო 25 წელიწადში ციფრულ ტექნოლოგიებში მომხმარებლის ინტეგრაციის ზრდისა და მაჩვენებლების კუთხით. ნიშანდობლივია, რომ 2023 წლის მონაცემებით მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 8 მილიარდს აღწევს, საიდანაც ინტერნეტთან და ციფრულ ტექნოლოგიებთან წვდომის შესაძლებლობა, მთლიანი მოსახლეობის 64,4% აქვს, ხოლო ციფრულ ტექნოლოგიებთან ინტეგრირების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება.

დიაგრამა: ინტერნეტისა და სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში 2023 წლის იანვრის თვის მდგომარეობით:



წყარო: statista.com - <https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/>

ტრადიციული და ციფრული მარკეტინგული პროცესების გასაანალიზებლად პირველ რიგში უნდა განვიხილოთ, თითოეული მათგანის ორგანიზების სახეები, მეთოდოლოგიები, სამოქმედო არეალი და სტრატეგიული მიდგომები, რათა მოვახდინოთ აღნიშნული მარკეტინგული პროცესების გეგმარების დიფერენციაცია. ტრადიციული მარკეტინგი მოიცავს მომხმარებელსა და ბრენდს შორის კომერციული ურთიერთობის, კომუნიკაციისა და ურთიერთკავშირის ორგანიზებას, გეგმარებას, მართვას და განხორციელებას, ისეთი ტიპის არხების, საშუალებების, ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც გულისხმობს, ინფორმაციის მიმოცვლას არაციფრული საინფორმაციო, საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. მომხმარებელთან სავსელე შეხების წერტილების მოცვის რესურსები გულისხმობს შემდეგი სახის საინფორმაციო მატარებლების და მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებას:

- კვლევა - SWOT ანალიზი, თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევები, სხვადასხვა ტიპის პირდაპირი კომუნიკაციისა და სავსელე მეთოდოლოგიის გამოყენებით;

- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია ტრადიციული მარკეტინგული საკომუნიკაციო არხებისა და მეთოდების გამოყენებით:

- ბეჭდური მედია - ჟურნალები, გაზეთები, კატალოგები;
- ტელევიზია და რადიო;
- ბილბორდები, ფლაერები, ბროშურები და POS-მასალები;
- მომხმარებელთან პირისპირ შეხვედრები და პრეზენტაციები;
- Offline პარტიზანული მარკეტინგი (Offline Guerilla Marketing);

- მერჩენდაიზინგი - Off-Line სავაჭრო მარკეტინგული აქტივობები, კამპანიები და აქციები;

- ე.წ. Event Management;

- მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები - დაჯილდოვებები, საქველმოქმედო და სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები;

- გამოფენები, კონკურსები და კონფერენციები;

- პირდაპირი მარკეტინგი – ე.წ. სემპლინგი და დეგუსტაციები, პრემენტაციები;

- რეფერალური, იგივე ქსელური მარკეტინგი, PR (Word of mouth და publicity);

- ინფლუენს მარკეტინგი;

- ნეირომარკეტინგული ღონისძიებები და აქტივობები - ბრენდინგის კოგნიტური მარკეტინგული ელემენტები;

- კონტაქტ-ცენტრის (Call-Centre) მეშვეობით განხორციელებული პერსონალური ზარები;

ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობების პარალელურად აუცილებელია განვიხილოთ ციფრული მარკეტინგის თვისობრივი მაჩვენებლები, რათა უკეთესად დავინახოთ ტრადიციულ და ციფრულ მარკეტინგულ მეთოდოლოგიებს შორის განსხვავება. დავიწყეთ იმით, რომ ტრადიციული მარკეტინგის გლობალური მიზნებისა და ამოცანების მსგავსად, ციფრული მარკეტინგიც ემსახურება ბრენდსა და მომხმარებელს შორის კომერციული ურთიერთკავშირების, საზოგადოებრივი აზრის სიღრმისეული კვლევის, ორმხრივი კომუნიკაციის, სამიზნე აუდიტორიასთან ინტერაქციის, ბრენდინგის, ბრენდის ცნობადობის, აქტუალურობის უზრუნველყოფის, იმიჯის ფორმირების და პოზიციონირების, გაყიდვების სტიმულირებისა და მითხოვნა-მიწოდების ბალანსის დაცვის ამოცანებს, თუმცა მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი და გარემოება, ტრადიციულ და ციფრულ მარკეტინგს შორის არის სწორედ მართვისა და იმპლემენტაციის მეთოდები, ინსტრუმენტები, უკუგება და მასშტაბები. ციფრული და ტრადიციული მარკეტინგის იმ-

პლემენტაციის მეთოდოლოგიების შედარებითი ანალიზის კვალობაზე, ცალსახაა ციფრული მარკეტინგის რიგი უპირატესობები.

ტრადიციული მარკეტინგის რესურსებისა და ფუნქციონირების არსებული ტექნიკებისგან განსხვავებით, ციფრული მარკეტინგის ეკო-სისტემა სრულად დაფუძნებულია თანამედროვე ციფრულ, კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, რომლის სამოქმედო არეალი მოიცავს Online სივრცეში არსებული რესურსების, ინსტრუმენტების, ტექნოლოგიებისა და პროგრამების გამოყენებას ბიზნესის მართვის პროცესში. შესაბამისად, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებს წარმოადგენს:

- ვებ-გვერდები და ე.წ. ლენდინგ გვერდები;
- ვებ და მობილური აპლიკაციები;
- ციფრულ-ანიმაციური ვებ-რეკლამები;
- მრავალგანზომილებიანი პროექციული ციფრული გარე რეკლამები; (Digital Guerilla Marketing)
 - On-line გათამაშებები, აქციები, დაგროვებითი და საბონუსე სისტემები;
 - E-Mail და SMS მარკეტინგი;
 - სოციალური მედია მარკეტინგი;
 - ციფრული საკომუნიკაციო საშუალებები;
 - Google ინსტრუმენტები და სერვისები;
 - საძიებო სისტემების ოპტიმიზაციისა და მარკეტინგის ინსტრუმენტები (SEO & SEM);
 - ელექტრონული კომერცია;
 - მომხმარებელთან ურთიერთობისა და მომხმარებლის გამოცდილების მართვის მენეჯმენტ სისტემები (CRM და CXM და სხვ.);
 - სხვადასხვა ტიპის ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგული პლატფორმები, სისტემები და ხელსაწყოები (AI Marketing).

ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რიგი ციფრული მარკეტინგის საშუალებები და ინსტრუმენტები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია მონაცემთა მიღება-დამუშავების, ინფორმაციათა ურთიერთ მიმოცვლის, სტატისტიკური ანალიზისა და სისტემური ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, რაც ფაქტიურად ერთ მთლიან, უწყვეტ ჯაჭვს და სრულყოფილ ციფრულ ეკო-სისტემას ქმნის, როგორც კვლევისა და ანალიზის, ასევე გლობალურად, ციფრული მარკეტინგის სტრატეგიული გეგმისა და ამოცანების განხორციელების პროცესში.

როდესაც ვსაუბრობთ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაზე და მის შედარებას ვახდენთ ტრადიციულ მარკეტინგულ მეთოდოლოგიებთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ციფრული ტექნოლოგიები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ტრადიციული მარკეტინგული მეთოდოლოგიების ჩანაცვლება, ან ალტერნატივა მარკეტინგული საქმიანობის პროცესში. პირიქით, ციფრული ტექნოლოგიებისა და ტრადიციული მარკეტინგული მეთოდოლოგიების სინთეზი მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილს ხდის მარკეტინგის სფეროს, აუმჯობესებს რა კვლევების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების, ინფორმაციის მრავალფეროვნების, შელწევადობის, დინამიურობის ხარისხს და შესაბამისად განვითარების ახალ საფეხურზე აყვას მარკეტინგის დარგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Smart Insights. (თ.გ.). ციფრული მარკეტინგის სტრატეგია. Retrieved from www.smartinsights.com/digital-marketing-strategy/

Statista.com. (2022). გლობალური სოციალური-მედია არხების რეიტინგი მომხმარებლის რაოდენობის მიხედვით. Retrieved

from <https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/>

Statista.com. (2023). ციფრული მოსახლეობა მსოფლიოში. Retrieved from <https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/>

არჩილ ჩოჩია, კრისტი იოამეტსი. (2020 წელი). ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა შრომით ურთიერთობებზე. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი N1*.

ბრაიან თრეისი. (2018). *მარკეტინგი* გამომცემლობა პალიტრა L.

რაიან დაისი, რას ჰენებერი. (2021). *ციფრული მარკეტინგი*. თბილისი: პალიტრა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (n.d.). *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში*. Retrieved from

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi>

საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (SEO) დამწყების გზამკვლევი. (n.d.). *Google Guide*. Retrieved from <https://developers.google.com/search/docs/beginner/seo-starter-guide>

სეთ გოდინი. (2020). *ეს არის მარკეტინგი* გამომცემლობა პალიტრა L.

ფრიდმანი, მაქს. (2023 წელი). როგორ მუშაობს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა. Retrieved from <https://www.businessnewsdaily.com/15918-how-to-use-crm-analytics.html>

სარჩევი

ნია ჭელიძე, რევაზ ავთანდილაშვილი	3
<i>მშობლებსა და შვილებს შორის ალიმენტის დანიშვნის თავისებურებანი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით</i>	
ანანო გახარია, ქეთევან გიორგაშვილი	23
<i>ონლაინ ბაზრები და პროდუქტის პასუხისმგებლობის რისკები</i>	
ანანო სვიმონიშვილი	43
<i>ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში</i>	
გერონტი ონიანი	45
<i>მოგების გადასახადი საქართველოში და ესტონური მოდელის დეტალები</i>	
გიგი ვარაზანაშვილი	51
<i>ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფი ლტოლვილთა სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)</i>	
გიორგი დალაქიშვილი	62
<i>ციფრული მარკეტინგის ინოვაციური სტრატეგია კომპანია „გედაზნის“ პრაქტიკულ მაგალითზე</i>	
გიორგი ლაბარტყავა	73
<i>უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში</i>	
ნატალია ხარაიშვილი, გიორგი სანიკიძე	79
<i>სახელმწიფოთმორისი დავების გადაჭრის საშუალებები და ომი, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედება</i>	
გიორგი წიკლაური	94
<i>ეკოტურიზმი, ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველი</i>	
ლუკა ლაგურაშვილი, ელენე ჩოკორაია	101

საერთაშორისო სანქციები და მათი აღუსრულებლობის საკითხი
თანამედროვე ტექნო-პროგრესის ხანაში

ლიზი გოგოტიშვილი.....115

დაცული ტერიტორიების და ეროვნულ პარკების განვითარება
საქართველოში

სალომე ნაჭყებია, მარიამ გოგიშვილი122

ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებები და მისი აღსრულების
გამოწვევები

Salome Nachkebia, Mariam Gogishvili 138

*Electronically Concluded Contracts and Challenges in Their
Enforcement*

მარიამ ლომიძე.....144

იესოს საზოგადოება და საქართველო

Mariam Lomidze 157

Society of Jesus and Georgia

მარიამ მსხვილიძე.....163

ელექტრონული კომერციის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

მარიამ ქარუმი.....173

ბრიუსელი – ევროკავშირის პოლიტიკური დედაქალაქი (ისტორიული
ანალიზი)

მიშა კუჭავა.....182

გაერო გზაჯვარედინზე: რეფორმები გლობალური კრიზისის ეპოქაში

ნინო მაჭავარიანი192

საქართველოს ეთნიკური რუკა

Nino Machavariani202

Ethnic map of Georgia

ნინო ფოფხაძე210

ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგში



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯაძის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: gamomcemlobauniversal@gmail.com; universal505@ymail.com